

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა
სისხლის სამართლის საქმეებზე
(2017-2019 წლები)**

კრებული მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

შემდგენელი

რუსუდან ჭანტურიძე

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მთავარი კონსულტანტი

კრებულის შედგენაში მონაწილეობდა

ირაკლი გრძელიძე

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მთავარი კონსულტანტი

რედაქტორი

ნინო ძიძიგური

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი,
ფილოლოგიის დოქტორი

სარჩევი

წინათქმა	4
1. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები	5
1.1 სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში.....	5
1.1 სისხლის სამართლის კანონის უკუძალა	7
2. დანაშაული	9
3. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები	13
4. სასჯელი.....	14
4.1 სასჯელის მიზნები და სახეები	14
4.2. სასჯელის დანიშვნა	21
4.3. პირობითი მსჯავრი.....	34
5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება 36	
5.1 სასჯელისაგან გათავისუფლება.....	36
5.2 ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა.....	38
5. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ	46
5.2 დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ.....	46
5.2 დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	69
5.2 დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ...	79
6.5. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	81
7. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	82
8. ეკონომიკური დანაშაული	85
8.1. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ.....	86
8.2 დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში.....	115
9. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	118
9.1 დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ.....	118
9.2 ნარკოტიკული დანაშაული.....	123
9.3 სატრანსპორტო დანაშაული.....	130

10. დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ	132
10.1 სამოხელეო დანაშაული.....	132
10.2 დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ.....	134
11. დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ.....	139
11.1 დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ	139
11.2. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	141
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი	142
1. სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა და პრინციპები.....	142
1.1 სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მისი ამოცანები და მოქმედების სფერო.....	142
1.1 სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები	144
2. მტკიცებულება.....	148
2.1 მტკიცებულება, მტკიცების საგანი და პროცესი.....	148
2.2 შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი.....	161
3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, აღკვეთის ღონისძიების შერჩევა, საპროცესო შეთანხმება.....	164
4. სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი	167
5. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიებანი .	170
6. წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში.....	172
კასაცია.....	172
6.2 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი.....	189

წინათქმა

წინამდებარე კრებული მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების (ამჟამად ანალიტიკური განყოფილება) მიერ. ნაშრომი ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017-2019 წლების პერიოდში განხილული საქმეების ანალიზის საფუძველზე შესწავლილი ქვედა ინსტანციის სასამართლოების ტიპურ შეცდომებს, რაც გამოიხატება, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს დამხმარე მასალას საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. კრებულში შესული გადაწყვეტილებები თემატურად არის დალაგებული და ყოველ მათგანს წინ ერთვის მცირე განმარტება, კრებული საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისთვის, არამედ სისხლის სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, რათა უკეთ შეძლონ გაეცნონ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას.

სისხლის სამართლის კოდექსი

ზოგადი ნაწილი

1. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

1.1 სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში

დანაშაულის ჩადენის დროა ქმედების ჩადენის დრო (დანაშაულებრივი ნების გამოვლინება). დანაშაულის დროს გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. ჩადენილ ქმედებათა კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი ძველი ნორმის შესაბამის მუხლით იმ შემთხვევაში, თუ ახალი კანონი არ აუქმებს ქმედების დასჯადობას ან არ ამსუბუქებს სასჯელს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2, მე-3 და 140-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ნოემბრის განმარტება საქმეზე №299აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 22.08.2017 წლის განაჩენით გ.ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 20 წლით; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 11 წლით; სსკ-ის 140-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით; სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.04.2018 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 22.08.2017 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სასამართლომ დაადგინა, რომ გ.ნ-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ანგარებით, ჯგუფურად; ასევე – ყაჩაღობა, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე – სქესობრივი კავშირი წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. სრულწლოვანმა გ.ნ-მ წინასწარი შეცნობით ცოლად შეირთო ... მცხოვრები, არასრულწლოვანი, 16 წელს მიუღწეველი მ., რომელთანაც ნებაყოფლობით დაამყარა სქესობრივი კავშირი.

კასატორი – მსჯავრდებული გ.ნ. ითხოვდა მის მიმართ სსკ-ის 109-ე და 179-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში გამამართლებელი განაჩენის დადგენას. რაც შეეხება სსკ-ის 140-ე მუხლით მსჯავრდებას, კასატორის მითითებით, სასამართლომ დაარღვია კანონის უკუძალის პრინციპი და მსჯავრი დასდო კანონის უფრო მძიმე რედაქციით, მაშინ, როდესაც ქმედების ჩადენის დროს არსებული რედაქცია უფრო მსუბუქი იყო.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გ.ნ-ს ქმედების სსკ-ის 2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედი რედაქციის 140-ე მუხლით დაკვალიფიცირების ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დგინდება, რომ დაზარალებული მ. 2012 წელს 14 წლის ასაკში დაქორწინდა გ.ნ-ზე. გ-მ იცოდა, რომ მ. 14 წლის იყო, მასთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი, მათ ჰყავთ საერთო შვილი, რომელიც მას 15 წლისას შეეძინა. როდესაც შვილი შეეძინა, გ-სთან უკვე დაშორებული იყო. სამშობიარო სახლის აღმასრულებელი დირექტორის 26.11.2015 წლის .. ცნობით დგინდება, რომ 2013 წლის 2 ივლისს სამშობიარო სახლში იმშობიარა მ-მ, რომელსაც შეეძინა ცოცხალი მდებრობითი სქესის ბავშვი.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მ-ს შვილი შეეძინა 2013 წლის 2 ივლისს და ამ დროისთვის მეუღლესთან უკვე დაშორებული იყო, გ.ნ-ს ქმედების სსკ-ის 2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედი რედაქციის 140-ე მუხლით დაკვალიფიცირება ეწინააღმდეგება სსკ-ის მე-2 და მე-3 მუხლების დანაწესს, რომელთა თანახმადაც, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს; სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს, ვინაიდან 2013 წლის 31 დეკემბრიდან გამკაცრდა სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სანქცია, კერძოდ: აღნიშნული ქმედებისათვის სასჯელის სახით განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა შვიდიდან ცხრა წლამდე ვადით, მაშინ, როდესაც გ.ნ-ს მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას მოქმედი

რედაქცია სასჯელის სახით ითვალისწინებდა ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ გ.ნ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 140-ე მუხლით (2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 140-ე მუხლზე (2013 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) და გ.ნ-ს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შთანთქა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით აღნიშნულმა ყველაზე მკაცრმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 20 წლით და საბოლოოდ გ.ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით.

1.1 სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ამავე კოდექსის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილზე სწორად გადაკვალიფიცირდა, მაგრამ სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, მისთვის განესაზღვრა სასჯელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2015 წლის გადაწყვეტილებიდან (რომელიც კრძალავს 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმნისა და შენახვისათვის მსჯავრდებისას პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას) და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლები, 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 იანვრის განმარტება საქმეზე №456აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბ.ქ-ს ბრალი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნასა და შენახვაში, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 8 ივლისის რედაქცია), რაც გამოიხატა შემდეგში: ბ.ქ-მ დაუდგენელ დროსა და გარემოებაში უკანონოდ შეიძინა და შეინახა – ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“, რომელიც მისგან ამოიღეს ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე პროკურორმა წარადგინა ბრალის ახალი ფორმულირება, რომლის თანახმად, სსკ-ში 2017 წლის 26 ივლისის კანონის საფუძველზე შეტანილი ცვლილების გამო, ბ.ქ-ს ბრალდება შეიცვალა უფრო მსუბუქი ბრალდებით და მისი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 17.04.2018 წლის განაჩენით ბ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულმა.

პროკურორმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულისთვის ჯარიმის შეფარდება – 2000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულმა – გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.06.18 წლის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ბ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა. კასატორმა საჩივრით მოითხოვა უკანონო განაჩენის გაუქმება და სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა, ხოლო სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონმა სსკ-ში 273¹-ე მუხლის დამატებით, შეამსუბუქა ამავე კოდექსის 260-ე მუხლით – მცენარე კანაფსა და მარიხუანასთან მიმართებით დადგენილი პასუხისმგებლობა, რაც ბ.ქ-ს ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში სწორად გავრცელდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.06.2018 წლის განაჩენით, მაგრამ აღნიშნული გარემოების მიუხედავად, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ამ ცვლილების მიღებამდე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის მსჯავრდებულ ბ.ქ-ს

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უფრო ამსუბუქებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2015 წლის გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავს 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმნისა და შენახვისათვის მსჯავრდებისას პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბ.ქ-ს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონის მიღებამდე, როდესაც მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არ გააჩნდა არცერთი სხვა ალტერნატიული სასჯელი. მითითებული ცვლილების შემდეგ მოქმედი სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქცია კი ითვალისწინებს ჯარიმას ან 160-დან 200 საათამდე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. შესაბამისად, ვინაიდან შეიცვალა დანაშაულის კატეგორია, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განეკუთვნებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ხოლო ბ.ქ-ს ქმედების ამჟამინდელი კვალიფიკაცია მიეკუთვნება მსუბუქ კატეგორიას, მსჯავრდებულ ბ.ქ-ს ქმედება სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ამავე კოდექსის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილზე სწორად გადაკვალიფიცირდა, მაგრამ სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, მისთვის განესაზღვრა სასჯელი (საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე), რადგან, როგორც აღინიშნა, ბ.ქ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ის 260-ე მუხლის რედაქციის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას. ამდენად, ბ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით – სასჯელის დაუნიშნავად.

2. დანაშაული

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირე მნიშვნელობა, საკმარისი არ არის აპელირება მარტოოდენ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. მითითებულის დასადგენად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად – ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავეს პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის განმარტება საქმეზე №556აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 24.12.2015 წლის განაჩენით გ.ბ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მ.ბ. – სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

2015 წლის 2 მაისს, მ.ბ. და ქურდობისათვის ნასამართლევი გ.ბ. ფარულად დაეუფლნენ 19 ლარად ღირებულ ყავას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.07.2016 წლის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი გ.ბ-ს და მ.ბ-ს მიმართ: გ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წელი და 8 თვე შეეფარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 4 თვე ჩაეთვალა პირობით – 1 წლისა და 4 თვის გამოსაცდელი ვადით.

მ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 3 წელი და 4 თვე შეეფარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 8 თვე ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 8 თვის გამოსაცდელი ვადით.

მსჯავრდებულები საკასაციო საჩივრებით ითხოვნდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.07.2016 წლის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების გამართლებას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტები გ.ბ-ს და მ.ბ-ს ბრალეულობის თაობაზე და დამატებით მიუთითა, რომ სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის ნორმით გათვალისწინებული ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით, ხოლო იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირე მნიშვნელობა, საკმარისი არ არის აპელირება მარტოოდენ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. მითითებულის დასადგენად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად – ჩადენილი ქმედების ხასიათისა და

სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავეს პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქმის შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მ.ბ-მ და გ.ბ-მ დანაშაული ჩაიდინეს ჯგუფურად, ღლისით და ხალხმრავალ ადგილას – მაღაზიაში; ორივე მათგანი იყო წარსულში ნასამართლელი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ წარსულში მათ მიმართ გაავრცელა საშელავათო ღონისძიებები და ორივე მათგანს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეუცვალა პირობითი მსჯავრით, ისინი არ დაადგინეს გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.07.2016 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენისას, წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე ღროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა. მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის გამოიხატოს როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – ჟესტებსა და მიმიკებში.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2017 წლის 12 ივნისის საქმეზე №114აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ფოთის საქალაქო სასამართლოს 7.07.2016 წლის განაჩენით გ.ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობით, გ.ფ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20.12.2016 წლის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა მსჯავრდებულ გ.ფ-ს სასიკეთო

ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდებულ გ.ფ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხული ქმედება სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. გ.ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. კასატორი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და გ.ფ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა. მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის გამოიხატოს როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – ჟესტებსა და მიმიკებში.

სააპელაციო პალატამ შეაფასა ვიდეოფირებში ასახული გარემოებები და მიუთითა, რომ მათი გამოკვლევის შედეგად დადგინდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ გ.ფ. და გამოძიებით დაუდგენელი პირი ერთობლივად ახორციელებდნენ ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, თუმცა მიიჩნია, რომ ხსენებული მტკიცებულებებით არ დადასტურდა მათ შორის წინასწარი შეკავშირების არსებობა; კერძოდ, გამოკვლეულ ვიდეოფირზე არ ჩანდა მათ შორის რაიმე ისეთი ტიპის კომუნიკაცია, რაც სააპელაციო პალატას საშუალებას მისცემდა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ერწმუნა მათ შორის წინასწარი შეთანხმების არსებობა; არც სხვა მტკიცებულებებით დადასტურდა რაიმე მსგავსი ფაქტის შესახებ ინფორმაცია. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში ქმედება ჩადენილი იყო ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმების გარეშე.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა და აღნიშნა, რომ ვიდეოფირების დათვალიერების ოქმითა და მისი გამოკვლევის შედეგად დადგენილი იყო, რომ მასში ასახულ ორივე პირს ეკეთა ნილაბი და ორივე მათგანი სწორედაც რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის დაწყებამდე მოქმედებდა ერთობლივად, წინასწარი შეთანხმებით, რაც ნათლად დასტურდებოდა ვიდეოჩანაწერებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ.ფ-მ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

3. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები

აუცილებელი მოგერიება

აუცილებელი მოგერიების პირობაა, რომ პირმა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანოს ხელმყოფი.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 122-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2017 წლის 7 ივნისის განმარტება საქმეზე №742აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 7.07.2016 წლის განაჩენით მ.გ-ს ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 122-ე მუხლზე (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

2016 წლის 22 იანვარს, დაახლოებით 23:30 საათზე, მ.გ-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვან გ.კ-ს გულმკერდის მარცხენა ნახევარში დაარტყა დანა, რის შედეგადაც გ.კ-მ მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება – ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა პლევრის ღრუში შეღწევით.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მ.გ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 5.10.2016 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა. მ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლას და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვებას.

საკასაციო პალატის განმარტება: აუცილებელი მოგერიების პირობაა, რომ პირმა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანოს ხელმყოფი. საქმის მასალებიდან არ ირკვევა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა მ.გ-ს უშუალოდ გ.კ-სგან, რომელიც მოჩხუბრებს აშველებდა. ამდენად, თუ არ არსებობდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, შესაბამისად, ფარგლების გადაცილებაზე საუბარი უსაფუძვლოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 3.10.2016 წლის განაჩენში, სასჯელის ნაწილში, შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ მ.გ-ს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 1 წელი ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

4. სასჯელი

4.1 სასჯელის მიზნები და სახეები

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

სსკ-ის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელები დალაგებულია სასჯელთა სიმძიმის ზრდადობის მიხედვით, რომლის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს უფრო მძიმე სახის სასჯელს, ვიდრე ჯარიმა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულ სასჯელს – ჯარიმას შთაენთქა 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 40-ე, 44-ე მუხლები, 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ივლისის განმარტება საქმეზე №50აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 14.09.2017 წლის განაჩენით მ.ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 100 საათით, სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით მ.ჯ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა, განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში, კერძოდ, მ.ჯ-ს მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.11.2017 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელები დალაგებულია სასჯელთა სიმძიმის ზრდადობის მიხედვით, რომლის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს უფრო მძიმე სახის სასჯელს, ვიდრე ჯარიმა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას, ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს“. ამდენად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულ სასჯელს – ჯარიმას შთანთქა 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

ამასთანავე, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება 1-ლი და მე-2 ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს და აღნიშნა, რომ მ.ჯ-ს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ჰყავდა შვიდ წლამდე ასაკის შვილი, რისთვისაც მას სასჯელის სახით არ უნდა შეფარდებოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. აქედან გამომდინარე, მის მიმართ სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით მსჯავრდების ამ ნაწილშიც მას უნდა შეფარდებოდა ჯარიმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მ.ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი, სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეფარდებულმა სასჯელმა სრულად შთანთქა სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელი და დანაშაულთა

ერთობლიობით, მ.ჯ-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ანალოგიურია: სუსგ №162აპ-18, 25.09.2018

ჯარიმის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მსჯავრდებულისათვის განსაზღვრული სასჯელის – ჯარიმის მინიმუმადე შემცირება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლი, 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განმარტება საქმეზე №310აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.12.2017 წლის განაჩენით ა.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი.

ა.მ-ს მსჯავრად დაედო ბინაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, რომელიც არღვევს ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობას, რაც გამოიხატა შემდეგში: კ.მ-მ სს „ქ-დან“ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა ... მდებარე საცხოვრებელი ბინა. სესხის არაჯეროვნად გადახდის გამო მოხდა აღნიშნული ბინის რეალიზაცია და იგი დარეგისტრირდა სს „ქ-ს“ საკუთრებად. გამოსახლების შემდეგ, 2017 წლის 7 ივნისს, ამ ბინაში მცხოვრები კ.მ-ს ოჯახის წევრები ინფორმირებულები იყვნენ, რომ უძრავი ქონება ეკუთვნოდა სს „ქ-ს“ და მასში შესვლის უფლება მათ არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, კ.მ-ს დედამ – ა.მ-მ შეამტვრია – სს „ქ-ს“ კუთვნილი საცხოვრებელი ბინის კარი, შევიდა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ და უკანონოდ ცხოვრობდა იქ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.03.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ჯარიმის – 500 ლარის განსაზღვრა.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა.მ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნდა; პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მსჯავრდებული

აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს. იგი იყო 77 წლის, პენსიონერი, ნასამართლობის არმქონე. პალატამ მხედველობაში მიიღო აგრეთვე მსჯავრდებულის ეკონომიკური მდგომარეობა, რომ მის ოჯახს ჰქონდა ვალი, რის გამოც საცხოვრებელი ბინა იპოთეკით დატვირთეს, თუმცა, სესხის არაჯეროვანი დაფარვის გამო, ბინა სს „ქ-ს“ საკუთრებად დარეგისტრირდა. როდესაც მსჯავრდებული საავადმყოფოდან გამოწერეს, გამოსახლების მიუხედავად, იგი „თავის“ სახლში დაბრუნდა. მართალია, მსჯავრდებულს მისი ეკონომიკური მდგომარეობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი სასამართლოში არ წარუდგენია, მაგრამ თავად ბრალდების ხასიათიდან გამომდინარე ჩანდა, რომ მისი მატერიალური მდგომარეობა იყო მძიმე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა.მ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია დანიშნული სასჯელის მინიმუმადე შემცირება და ა.მ-ს სსკ-ის 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით.

ჯარიმის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა

ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით – არის სოციალურად დაუცველი, მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა შემოწირულობები, ხასიათდება დადებითად, – სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლიანი იქნებოდა მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება და სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმის – 500 ლარის განსაზღვრა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლი, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 3 იანვრის განმარტება საქმეზე №412აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 12.01.2018 წლის განაჩენით მ.თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ.თ-მ ჩაიდინა ადამიანის დევნა აღმსარებლობისა და რწმენის გამო და მის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2016 წლის 18 ივლისს, დაახლოებით 08:25 საათზე, -ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნ.ნ. და ი.გ. ქადაგებდნენ თავიანთი აღმსარებლობის – სარწმუნოება „ი-ის“ შესახებ, რა დროსაც გამვლელმა მ. თ-მ, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით, ნ.ნ-სა და ი.გ-ს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რამაც დაზარალებულების ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით – მ.თ. არის სოციალურად დაუცველი, მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს შემოწირულობები, ხასიათდება დადებითად, – სამართლიანი იქნებოდა მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება და სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმის – 500 ლარის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მ.თ-ს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ქონების ჩამორთმევა

არ არსებობდა სსკ-ის 52-ე მუხლში გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რაც შეიძლება გამხდარიყო ავტომობილის ჩამორთმევის საფუძველი.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი, 303-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ივლისის განმარტება საქმეზე №167აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თელავის რაიონული სასამართლოს 21.11.2017 წლის განაჩენით, შ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების

საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ხოლო ავტომანქანა „ზილ-131“ და ავტომანქანის ძარა დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს. თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა ძირითადი სასჯელის სახით უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით – დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ქონების „ზილ-131“ მარკის ავტომანქანის ჩამორთმევა იმ საფუძველზე, რომ სსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული ქმედების ჩასადენად აუცილებელია სპეციალურად აღჭურვილი ავტომანქანის გამოყენება, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში ამოღებული „ზილ-131“ მარკის ავტომანქანა უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ქონებად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.02.2018 წლის განაჩენით თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: შ.ბ-ს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, ავტომანქანა „ზილ-131“ და ძარა ჩამოერთვა და უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. მსჯავრდებული შ.ბ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა ავტომანქანა „ზილ-131-სა“ და ავტომანქანის ძარის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებას.

საკასაციო პალატის განმარტება: საქმის მასალების თანახმად, დადგენილია, რომ ჩამორთმეული „ზილ-131“ მარკის ავტომობილი, წარმოადგენდა არა შ.ბ-ს, არამედ ბ.ბ-ს საკუთრებას, რომელიც მის კანონიერ მფლობელობაში იყო შემთხვევის დღეს. ასევე დადგენილია, რომ ბ.ბ-მ არ იცოდა, რომ მისი ავტომანქანა გამოიყენებოდა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის. ამდენად, არ არსებობდა სსკ-ის 52-ე მუხლში გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რაც შეიძლება გამხდარიყო ავტომობილის ჩამორთმევის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ავტომანქანა „ზილ-131“ და ავტომანქანის ძარა დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქონების ჩამორთმევა

სსკ-ის 52-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, პირს დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაეკისროს ქონების ჩამორთმევა და შესაბამისად სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის განმარტება საქმეზე №492აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 9.11.2015 წლის განაჩენით თ.ფ. და ზ.ნ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მათვე სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 2 წლით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ.ფ-მ და ზ.ნ-მ ჩაიდინეს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ; მათვე ჩაიდინეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე – მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 5.07.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი თ.ფ-სა და ზ.ნ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თ.ფ-ისათვის ძირითად სასჯელთან ერთად, სსკ-ის 52-ე მუხლის გამოყენებით, მსჯავრდებულის კუთვნილი ქონების – საცხოვრებელი ბინის ჩამორთმევას, ვინაიდან მსჯავრდებულს ქონება შექმნილი ჰქონდა დანაშაულებრივი გზით.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატის აზრით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი იყო, რომ მსჯავრდებულმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხით შეიძინა ბინა და მას ეს ქონება ფორმალურად გადაფორმებული ჰქონდა მესამე პირის სახელზე, მაგრამ მის რეალურ მესაკუთრეს წარმოადგენდა თვითონ – თ.ფ.. ამასთანავე, ამ უკანასკნელს ჩადენილი ჰქონდა განზრახვი დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 52-ე მუხლის

იმპერატიული დანაწესის თანახმად, პირს დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაეკისროს ქონების ჩამორთმევა და შესაბამისად სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში თ.ფ-ის მიმართ დამატებითი სასჯელის ნაწილში ცვლილება იქნა შეტანილი: სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე თ.ფ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა მესამე პირის სახელზე რიცხული ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

4.2. სასჯელის დანიშვნა

თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შეცვლა ჯარიმით

სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე, 59-ე, 42-ე, 63-ე-64-ე მუხლები, 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2017 წლის 11 აპრილის საქმეზე №622აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.04.2016 წლის განაჩენით შ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 7.09.2016 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას და ძირითად სასჯელად, ნაცვლად თავისუფლების აღკვეთისა, ჯარიმის – 5000 ლარის ოდენობით განსაზღვრას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ შ.მ-ს სასჯელის დანიშნისას არ გაითვალისწინა, რომ იგი იყო ინდივიდუალური მეწარმე, იმპორტიორი, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს ყიდდა ბაზრობაზე, მას ხშირად და თითქმის ყოველ თვეს უხდებოდა საზღვარგარეთ გამგზავრება.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ შ.მ-მ სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული და გულწრფელად მოინანია, ხელი შეუწყო გამოძიების ორგანოებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში, ჰყავდა მძიმედ ავადმყოფი მეუღლე, რომელსაც სჭირდებოდა მუდმივი მოვლა-პატრონობა, აგრეთვე დაქვრივებული შვილი, რომელზეც ზრუნვა ევალებოდა მას, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი დიდი ოდენობით თანხის გამო გააჩნდა ფულადი ვალდებულებები, როგორც უცხოელი პარტნიორების, ისე მეგობრებისა და ნათესავების მიმართ, რომლებიც მას დაეხმარნენ ამ თანხის გადახდაში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამართლიანი იქნებოდა მსჯავრდებულ შ.მ-ის შეფარდებული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმით, რათა მას შეძლებოდა საზღვარგარეთ თავისი საქმიანობის გაგრძელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: შ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი), დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასჯელის შემსუბუქება

არ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მსჯავრდებულს ეკმაროს ის სასჯელი, რაც ფაქტობრივად უკვე მოიხდა, თუმცა შესაძლებელია მისთვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ზომის შემცირება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე და 39-ე მუხლები, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 1 აგვისტოს განმარტება საქმეზე №273აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 9.02.2018 წლის განაჩენით ზ.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ზ.კ-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. წარმოშობილი კონფლიქტის საფუძველზე ზ.კ-მ ფეხი ჩაარტყა არასრულწლოვან გერს ხ.დ-ს ნეკნების მიდამოში, რის შედეგადაც ხ.დ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ.კ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მის მიმართ სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 5.04.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ზ.კ-ს მიმართ დარჩა უცვლელად, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ, მის მიერ ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის განსაზღვრას და პირობითი მსჯავრის გამოყენებას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მსჯავრდებულ ზ.კ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმე დასტურდებოდა საქმეში წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტებით, რომ ის დაავადებული იყო აივ ინფექციის (შიდსი), მესამე სტადიით, აივ ასოცირებული კანდიდოზით, ტოქსიური ჰეპატიტით, ქრონიკული C ჰეპატიტით. იმავე დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ მისი დაავადებები არა მარტო ქრონიკული, არამედ პროგრესირებადიც იყო, რაც კიდევ უფრო ართულებდა მსჯავრდებულის მდგომარეობას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელი იყო სხვა გარემოებებიც: მსჯავრდებული წარსულში არ იყო ნასამართლევ; მან სასამართლოს წინაშე მოინანია ჩადენილი დანაშაული; იგი იყო ოჯახის მარჩენალი, სადაც არასრულწლოვან დაზარალებულთან ერთად ცხოვრობდა მცირეწლოვანი ბავშვიც. ყველა მითითებული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა საკმარისი საფუძველი, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებისა, თუმცა შესაძლებელი იყო მსჯავრდებულ ზ.კ-ისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ზომის შემცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ ზ.კ-ს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ანალოგიურია: სუსგ №694აპ-16, 18.05.17; №162აპ-18, 25.09.18; №310აპ-18, 12.11.18.

სასჯელის შემსუბუქება

სასჯელის დანიშვნის დისკრეცია შეზღუდულია არა მხოლოდ კონკრეტული სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზომის ფარგლებში სასჯელის განსაზღვრით, არამედ – საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო ელემენტებთან შესაბამისობის გათვალისწინებითაც.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე და 39-ე მუხლები, 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18 მარტის განმარტება საქმეზე №564აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2.03.2018 წლის განაჩენით თ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

განაჩენით მსჯავრდებულ თ.მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: „ბმვ-ს“ მარკის ავტომობილით მოძრაობა თ.მ-მ ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, ხელის შემშლელი მიზეზების გარეშე დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33.1 მუხლის მოთხოვნები, სიჩქარის შენელების მიზნით გამოიყენა მკვეთრი მუხრუჭი, რის შედეგადაც მოუცურდა ავტომობილი, გადავიდა საპირისპირო სამოძრაო ზოლზე, დატრიალდა და საპირისპირო სავალი ზოლის მარცხენა კიდიდან დაახლოებით ორ მეტრში დაეჯახა ქვეით დ.გ-ს, ხოლო შემდეგ შეეჯახა ელექტროგანათების ბოძს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებით ქვეითი დ.გ. ადგილზე გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელიც ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მინიმალური სასჯელის განსაზღვრას, კერძოდ: სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.06.2018 წლის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა. კასატორი საჩივრით ითხოვს განაჩენში, სასჯელის ნაწილში,

ცვლილების შეტანას და სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით, სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებით, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლას, ან/და სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

საკასაციო პალატის განმარტება: სასჯელის სამართლიანობასთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებსა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო ელემენტებზე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში თ.მ-ს მსჯავრი დაედო მძიმე კატეგორიის, სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენაში. პალატამ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღო მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული შედეგის სიმძიმე, თუმცა ამავედროულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება, პატიების თხოვნა, გულწრფელი მონანიება, წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, დამნაშავის ყოფაქცევა ქმედების ჩადენის შემდეგ (იგი ეცადა დაზარალებულთან ურთიერთობის დამყარებას, აღიარა დანაშაული).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასჯელის დანიშვნის დისკრეცია შეზღუდულია არა მხოლოდ კონკრეტული სასჯელის მინიმალური და მაქსიმალური ზომის ფარგლებში სასჯელის განსაზღვრით (განსახილველ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა ოთხიდან შვიდ წლამდე), არამედ – საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო ელემენტებთან შესაბამისობის გათვალისწინებითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია: მსჯავრდებულ თ.მ-ს ქმედების – შექმნილი ვითარების არაადეკვატურად შეფასების გამო თვითიმედოვნებით გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობისა და საჭიროების გარეშე მკვეთრი დამუხრუჭებისა, ასევე, მისი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხედველობაში მიღებით (ადამიანის სიცოცხლის მოსპობა), სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის ან/და 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი, მაგრამ დანაშაულის აღიარებისა და გულწრფელი მონანიების, ქმედების ჩადენის შემდეგ დამნაშავის ყოფაქცევის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ თ.მ-ს სასჯელის ზომად უნდა განსაზღვროდა სანქციის მინიმუმი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: თ.მ-ს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე 3 წლით ჩამოერთვია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

ანალოგიურია: სუსგ №15აკ-19, 9.07.2019; №265აკ-19
12.09.2019; 281აკ-19, 4.10.2019; №461აკ-19, 01.11.2019; №463აკ-19, 29.11.2019.

სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილება

საკასაციო პალატამ ინდივიდუალურად შეაფასა მსჯავრდებულის პიროვნება, სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები და მიუთითა, რომ გ.თ-ს მიერ ჩადენილი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განზრახვი მძიმე დანაშაული, რომლის შედეგადაც არსებითად დაზიანდა დაზარალებულის ინტერესები, რომელიც ითხოვდა გ.თ-ს მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად მიყენებული დიდი ოდენობით მატერიალური ზიანის სრულად ანაზღაურებას, რასაც მსჯავრდებულის გულგრილად ეკიდებოდა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, 53-ე, 39-ე მუხლები, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის განმარტება საქმეზე №332აკ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.01.2017 წლის განაჩენით გ.თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 5200 ლარი.

გ.თ-მ განიზრახა, მოტყუებით დაუფლებოდა დიდი ოდენობით თანხას. შუამავლის – ჯ.ბ-ის მეშვეობით მოიძია თანხის გასესხების მსურველი მ.ქ. და შეუთანხმდა, რომ მისგან ისესხებდა 20000 აშშ დოლარს, რის სანაცვლოდაც იპოთეკით დატვირთავდა ქ. თ-ში მდებარე თავის კუთვნილ ბინას, რაც იმ დროისთვის დაყადაღებული ჰქონდა შპს „ჯ-ს“. გ.თ-მ დაარწმუნა მ.ქ., რომ ყადაღის მოხსნამდე თანხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაეტვირთა სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით, რომლის საბაზრო ღირებულებაც სესხის თანხასთან შედარებით ნაკლები იყო. გ.თ-მ მოატყუა მ.ქ., რომ აღებული 20000 აშშ დოლარით ყადაღას მოხსნიდა -ში არსებულ ბინას და მასზე სოფელ მ-ში არსებული უძრავი ქონებიდან გადმოიტანდა იპოთეკას. 2009 წლის 29 ნოემბერს ქ. თ-ში მდებარე სანოტარო ბიუროში, მ.ქ-მ გ.თ-ს ხელშეკრულების შესაბამისად გადასცა 20000 აშშ დოლარი. გ.თ-მ ყადაღა მოხსნა ქ. თ-ში არსებულ ბინას, რის შესახებაც არ შეატყობინა მ.ქ-ს და მინდობილობის საფუძველზე 2009 წლის 10 დეკემბერს აღნიშნული სახლიც და სოფელში არსებული უძრავი ქონებაც

საკუთრების უფლებით გადასცა მ.ჩ-ს. გ.თ-ს ქმედებით მ.ქ-ს მიაღდა დიდი ოდენობით – 33600 ლარის ქონებრივი ზიანი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 5.05.2017 წლის განაჩენით შევიდა ცვლილება სასჯელის ნაწილში. მსჯავრდებულ გ.თ-ს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 8000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებმა. ბრალდების მხარემ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ითხოვა გ.თ-სთვის სასჯელის განსაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით.

მსჯავრდებულ გ.თ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებას. კასატორი მიუთითებდა, რომ მასსა და დაზარალებულს შორის არის სამოქალაქო დავა. ასევე, მისთვის განსაზღვრული ჯარიმა – 8000 ლარი მეტისმეტად მკაცრია, მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

საკასაციო პალატის განმარტება: პალატა არ დაეთანხმა გ.თ-ს მიუთითებას, რომ დანიშნული სასჯელი მეტისმეტად მკაცრია, პირიქით, გაიზიარა პროკურორის პოზიცია დანიშნული სასჯელის უსამართლობის თაობაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ გ.თ-ს მიმართ შეფარდებული არასაპატიმრო სასჯელი არ შეესაბამებოდა მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და მის პიროვნებას და ვერ უზრუნველყოფდა სასჯელის მიზნებს, რის გამოც უნდა გამკაცრებულიყო და შეცვლილიყო ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

პალატამ მხედველობაში მიიღო სსკ-ის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსი, ინდივიდუალურად შეაფასა მსჯავრდებულის პიროვნება, სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები და მიუთითა, რომ გ.თ-ს მიერ ჩადენილი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განზრახი მძიმე დანაშაული, რომლის შედეგადაც არსებითად დაზიანდა დაზარალებულის ინტერესები, რომელიც ითხოვდა გ.თ-ს მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად მიყენებული დიდი ოდენობით მატერიალური ზიანის სრულად ანაზღაურებას, რასაც მსჯავრდებული გულგრილად ეკიდებოდა.

ზემოაღნიშნულისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ გ.თ-ს არ გააჩნდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გ.თ-სთვის შეფარდებული არასაპატიმრო სასჯელი ვერ იქნებოდა დამაფიქრებელი მისთვის და ვერ უზრუნველყოფდა სასჯელის მიზნების მიღწევას, რის გამოც უნდა შეცვლილიყო ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, რაც მისი ასაკის გათვალისწინებით, უნდა ყოფილიყო მინიმალური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ გ.თ-ს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მესამედით და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილება

მხოლოდ დანაშაულის აღიარება არ არის საკმარისი მსჯავრდებულისათვის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის განსაზღვრისათვის.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე და 39-ე მუხლები, 276-ე მუხლის მე-3 ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მარტის განმარტება საქმეზე №645აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 5.07.2017 წლის განაჩენით ნ.დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. აღნიშნული ქმედებისათვის ნ.დ-ს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.10.2017 წლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა პროკურორის სააპელაციო საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 5.07.2017 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

პროკურორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ ნ.დ-სათვის შეფარდებული სასჯელი იყო უსამართლო. მსჯავრდებული, მართალია, აღიარებდა დანაშაულს, მაგრამ ეს აღიარება მიმართული იყო მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებისკენ, რეალურად კი მას დაზარალებულისათვის მკურნალობის ხარჯებიც კი არ აუნაზღაურებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურორი ითხოვდა ნ.დ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას თავისუფლების აღკვეთის სახით.

საკასაციო პალატის განმარტება: სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის – ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. სსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

მსჯავრდებულ ნ.დ-სათვის სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) შერაცხული ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებდა ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ვადით 5 წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს მოცემული საქმის გარემოებები და მსჯავრდებულის პიროვნება; ასევე, ის გარემოება, თუ კონკრეტული სახისა და ზომის სასჯელის შერჩევა რამდენად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ დანაშაულის აღიარება არ იყო საკმარისი მსჯავრდებულ ნ.დ-სათვის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის განსაზღვრისათვის და სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით მისთვის შეფარდებული 3 წლით პირობითი მსჯავრი, 3 წლის გამოსაცდელი ვადით, უნდა გაზრდილიყო 6 თვით.

ზემოაღნიშნულიან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ნ.დ-ს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი და 6 თვე.

ანალოგიურია: სუსგ №643აპ-17, 28.03.18; №713აპ-17, 21.05.18; №109აპ-18, 31.07.18.

სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილება

მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულები თავისი სპეციფიკით, მოვალეობათა დარღვევის ზომისა და ხასიათის მიხედვით, საზოგადოებრივად საშიშია, რადგან ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განმანორციელებელი პირის, მიერ დამოწმებული დოკუმენტები განსაკუთრებული სანდოობით სარგებლობს და მის მიერ განზრახ თუ გულგრილი დამოკიდებულების შედეგად ყალბი მინდობილობის გაცემა აზიანებს არა მხოლოდ კონკრეტული მოქალაქის ინტერესებს, არამედ ლახავს სახელმწიფოს პრესტიჟსაც და საფრთხეს უქმნის ნორმალურ სამოქალაქო ბრუნვას.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე და 39-ე, 341-ე და 342-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის განმარტება საქმეზე №632აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.04.2017 წლის განაჩენით ქ.ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 341-ე მუხლით (2 ეპიზოდი) – ჯარიმა 10 000-10 000 ლარი; სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) – ჯარიმა 5000-5000 ლარი; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა 10000 ლარი. განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 9.10.2017 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.ხ-მ ჩაიდინა სამსახურებრივი სიყალბე, ე.ი. მოხელესთან გათანაბრებული პირის მიერ ყალბი დოკუმენტის შედგენა და გაცემა, ჩადენილი ანგარებითა და სხვა პირადი მოტივით, ორი ეპიზოდი; სამსახურებრივი გულგრილობა, ე.ი. მოხელესთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური პირის უფლებამოსილებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ორი ეპიზოდი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელმაც ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, როგორც საბოლოოდ, ისე თითოეული ეპიზოდისთვის, სასჯელის სახედ და ზომად მსჯავრდებულისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით, ვინაიდან გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებას, რის გამოც ვერ იქნება მიღწეული სასჯელის მიზნები.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, ქ.ხ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულები თავისი სპეციფიკით, მოვალეობათა დარღვევის ზომისა და ხასიათის მიხედვით, საზოგადოებრივად საშიშია, რადგან ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის, მიერ დამოწმებული დოკუმენტები განსაკუთრებული სანდოობით სარგებლობს და მის მიერ განზრახ თუ გულგრილი დამოკიდებულების შედეგად ყალბი მინდობილობის გაცემა აზიანებს არა მხოლოდ კონკრეტული მოქალაქის ინტერესებს, არამედ ლახავს სახელმწიფოს პრესტიჟსაც და საფრთხეს უქმნის ნორმალურ სამოქალაქო ბრუნვას. გარდა ამისა, ქ.ხ-ს ქმედებებით მოქალაქეებს მიადგათ დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი, არსებითად შეილახა საქართველოს კონსტიტუციით მათთვის გარანტირებული საკუთრების უფლება, რასაც მსჯავრდებული აშკარად გულგრილად ეკიდება.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ქ.ხ-ს არ გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მისთვის შეფარდებული ჯარიმის ოდენობა ვერ იქნება დამაფიქრებელი მისთვის და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას, რის გამოც იგი უნდა გაიზარდოს.

პროკურორის მოთხოვნა – საპატიმრო სასჯელის გამოყენების თაობაზე, პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ქ.ხ-ს ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, მის მიერ ჩადენილი ქმედებები ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება და მანამდე არ ჰქონია კანონთან კონფლიქტი, რის გამოც არ მიიჩნია მიზანშეწონილად მისთვის საპატიმრო სასჯელის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ ქ.ხ-ს სსკ-ის 341-ე მუხლით (2 ეპიზოდი) სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 20000-20000 ლარი.

მასვე სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (2 ეპიზოდი) სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 10000-10000 ლარი.

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ ქ.ხ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 20000 ლარი.

სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილება

მსჯავრდებულმა ჩაიდინა სამი დამოუკიდებელი დანაშაული და სამივე ძალადობრივი ხასიათისა, ხოლო თავისი ხასიათითა და სიმძიმით ყველა მათგანი გამოირჩეოდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კოდექსის 53-ე და ამავე კოდექსის 39-ე მუხლები, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი;

11¹,19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 1 აგვისტოს განმარტება საქმეზე №108აპ-19 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 4.09.2018 წლის განაჩენით ა. ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 11¹,19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ ა.ჯ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა.ჯ-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია სსკ-ის 117-ე, 118-ე, ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით, მისივე ოჯახის წევრის მიმართ; განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით; ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, განსაკუთრებული სისასტიკითა და ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩადენილი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. აპელანტმა ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 4.12.2018 წლის განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოთ მითითებულ განაჩენში, კერძოდ: ა.ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 11¹,19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ ა.ჯ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულმა.

ბრალდების მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ ა.ჯ.-სათვის უკიდურეს თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას. დაცვის მხარე – გასაჩივრებული

განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ ა.ჯ-სათვის შეფარდებული სასჯელის შემცირებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით დადგენილი სასჯელის ზომის ფარგლებში,

საკასაციო პალატის განმარტება: პალატამ მხედველობაში მიიღო სსკ-ის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსი, ინდივიდუალურად შეაფასა მსჯავრდებულ ა.ჯ-ს პიროვნული მახასიათებლები, ქმედების განხორციელების სახე, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მსჯავრდებულმა ა.ჯ-მ ჩაიდინა სამი დამოუკიდებელი დანაშაული და სამივე ძალადობრივი ხასიათისა, ხოლო თავისი ხასიათითა და სიმძიმით ყველა მათგანი გამოირჩეოდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით, კერძოდ: ერთ-ერთს ჰქონდა სისტემატური ხასიათი, მიმართული იყო ოჯახის წევრის წინააღმდეგ და ჩადენილი არასრულწლოვანი პირის თანდასწრებით (სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო დანარჩენი დანაშაულები კი (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 11¹,19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები) ჩადენილი იყო დაზარალებულ ე.ბ-ს მცირეწლოვანი შვილისა და სხვა პირების – პატრულ-ინსპექტორების, ასევე დაზარალებულის მიერ დაქირავებული ბინის მესაკუთრისა და მისი ახლობლის თანდასწრით.

ა.ჯ-ს მიერ ჩადენილმა ქმედებებმა უმძიმესი შედეგები გამოიწვია, კერძოდ: დაზარალებულ მ.გ-ს სიკვდილი; დაზარალებულ ე.ბ-ს ჯანმრთელობის ხელყოფა და ტანჯვა მისთვის სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანების მიყენების, სისტემატური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გზით; ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგად მცირეწლოვან დაზარალებულ თ.გ-ს დაუდგინდა პოსტტრავმული სტრესი, რაც გამოიწვია მის მიერ გადატანილმა მძიმე სტრესულმა სიტუაციამ, რომელიც მის ფსიქიკაზე აღიბეჭდა.

ა.ჯ-ს მიმართ 2017 წლის 2 სექტემბერს გამოიწერა შემაკავებელი ორდერი, რომელმაც ვერ უზრუნველყო მისი სათანადო ქცევა და ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, მითუმეტეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ა.ჯ. თავად იყო სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, კერძოდ, პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი და ეკისრებოდა მეტი პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რათა დაეცვა პირთა უფლებები მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან. იგივე ფაქტი განმეორდა 2018 წლის 31 მაისსაც, დანაშაულებრივი შემთხვევის დღეს, როდესაც დაზარალებულ ე.ბ-ას ა.ჯ-ს აგრესიისგან თავის დასაცავად გამოძახებული ჰყავდა საპატრულო პოლიცია, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ორი პატრულ-ინსპექტორი. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტმაც ვერ უზრუნველყო ა.ჯ-ს სათანადო ქცევა და ვერ აღიკვეთა დანაშაული.

ყოველივე აღნიშნული ნათლად მიუთითებდა მსჯავრდებულ ა.ჯ-ს ქმედებების მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებასა და მის მიდრეკილებაზე ძალადობისკენ. მის ქმედებებში ასევე გამოკვეთილი იყო მართლწესრიგის ნორმების განსაკუთრებულად უხეში, სისტემატური უპატივცემულობა და უგულვებელყოფა, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მისთვის შეფარდებული სასჯელი იყო ლმობიერი, რის გამოც მას უნდა დამძიმებოდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელი. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული აღიარებდა დანაშაულს, უდავოდ ცნო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას (რის საფუძველზეც დაცვის მხარე ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას), საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მის მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ა.ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით; სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 11¹,19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 20 წლით; საბოლოოდ ა.ჯ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით.

4.3. პირობითი მსჯავრი

პირობითი მსჯავრის გაუქმება

სასამართლოს ვალდებულება, გააუქმოს პირობითი მსჯავრი, არ არის დამოკიდებული პროკურორის პოზიციაზე და იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა გამოსაცდელ ვადაში, სასამართლოს მიერ პირობითი მსჯავრის არგაუქმებით არსებითად ირღვევა მატერიალური კანონი, რისი გასაჩივრების უფლებაც ბრალდების მხარეს ვერ შეეზღუდება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 59-ე მუხლის მე-5 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 იანვრის განმარტება საქმეზე №421აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.02.2017 წლის განაჩენით ს.ა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (52,34 გრამი ნედლი მარიხუანისა და 13,26 გრამი გამომშრალი მარიხუანის შექენა/შენახვისათვის) სასჯელის დაუნიშნავად.

ს.ა-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

გორის რაიონული სასამართლოს 20.11.2013 წლის განაჩენით სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლევი ს.ა. 2015 წლის 21 ოქტომბერს, სოფელ თ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, უკანონოდ ინახავდა მის მიერ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და გარემოებებში ასევე უკანონოდ შექენილ – 52,34 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ნედლ მარიხუანასა და 13.26 გრამ გამომშრალ მარიხუანას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელმაც ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულისათვის სასჯელის განსაზღვრა განაჩენთა ერთობლიობით, ვინაიდან სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, რაც სასამართლოს იმპერატიულად ავალდებულებდა, მსჯავრდებულისათვის სასჯელი განესაზღვრა განაჩენთა ერთობლიობით, სსკ-ის 67-ე და 59-ე მუხლების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.05.2017 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და მსჯავრდებულისათვის სასჯელის განსაზღვრას განაჩენთა ერთობლიობით. კასატორი მიუთითებდა, რომ არასწორი იყო სააპელაციო პალატის განმარტება იმის თაობაზე, რომ ბრალდების მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ მოუთხოვია სასჯელის განაჩენთა ერთობლიობით განსაზღვრა, რის გამოც იგი არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

საკასაციო პალატის განმარტება: საკითხი ეხება სისხლის სამართლის კოდექსის იმპერატიული მოთხოვნის დარღვევას პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ. სასამართლოს ვალდებულება, გააუქმოს პირობითი მსჯავრი, არ არის დამოკიდებული პროკურორის პოზიციაზე და იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა გამოსაცდელ ვადაში, სასამართლოს მიერ პირობითი მსჯავრის არგაუქმებით არსებითად ირღვევა მატერიალური კანონი, რისი გასაჩივრების უფლებაც ბრალდების მხარეს ვერ შეეზღუდება.

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ პირობითი მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელ ვადაში ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენის ნებისმიერ

შემთხვევაში პირობითი მსჯავრი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს და ახალი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს განაჩენთა ერთობლიობის წესი, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პირობების დაცვით. მატერიალური სისხლის სამართლის ამ დანაწესს აქვს იმპერატიული ხასიათი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში შეიცვალა მსჯავრდებულის საუარესოდ, კერძოდ: ს.ა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის დაუნიშნავად. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა ს.ა-ს მიმართ გორის რაიონული სასამართლოს განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მხედველობაში მიღებით, ს.ა-ს მოსახდელად განესაზღვრა გორის რაიონული სასამართლოს განაჩენით შეფარდებული მოუხდელი სასჯელიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთიდან ნაწილი – 15 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ს.ა-ს სასჯელად განესაზღვრა 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ანალოგიურია: სუსგ №349 აპ-17, 5.12.17; №419 აპ-17, 4.01.18; №682 აპ-17 4.01.18.

5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება

5.1 სასჯელისაგან გათავისუფლება

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო

სასჯელისგან თავის არიდების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინების შეუჩერებლობა არ წარმოადგენს ბავშვის საზოგადოებაში წარმატებით დაბრუნების წინაპირობას და შესაბამისად, სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიმართ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება ეფექტურად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესს.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის რედ.) 105-ე მუხლი
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 36-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2017 წლის 17 მარტის განმარტება საქმეზე №558აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 27.12.1999 წლის განაჩენით არასრულწლოვანი გ.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 22.05.2001 წლის განაჩენით, ხოლო სააპელაციო პალატის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.09.2001 წლის განჩინებით დარჩა უცვლელად. განაჩენით დანიშნული სასჯელი გ.ა-ს არ მოუხდია.

2016 წლის 29 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა გ.ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა და ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გასვლის გამო, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.07.2016 წლის განჩინებით გ.ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 4.08.2016 წლის განჩინებით მსჯავრდებულ გ.ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

კასატორი – ადვოკატი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებასა და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არასრულწლოვანი გ.ა-ს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას.

საკასაციო პალატის განმარტება: სასჯელისგან თავის არიდების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინების შეუჩერებლობა არ წარმოადგენს ბავშვის საზოგადოებაში წარმატებით დაბრუნების წინაპირობას და შესაბამისად, სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიმართ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება ეფექტურად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესს.

პალატა არ დაეთანხმა დაცვის მხარის არგუმენტს, რომ ვინაიდან სსკ-ის 76-ე მუხლი და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 36-ე მუხლი ერთსა და იმავე წესს აწესრიგებს, შესაბამისად, უპირატესობა სპეციალურ, უფრო გვიან

მიღებულ ნორმას, ე.ი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 36-ე მუხლს უნდა მინიჭებოდა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ ნორმატიულ აქტს. განსახილველ შემთხვევაში თანაბარი იურიდიული ძალის მქონე აქტებს შორის შინაარსობრივი წინააღმდეგობა არ არსებობდა, არამედ, როგორც განიმარტა, ვინაიდან ისინი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას იძლევიან, სისტემურად ავსებენ ერთმანეთს.

საკასაციო პალატა აგრეთვე არ დაეთანხმა დაცვის მხარის პოზიციას, რომ არასრულწლოვნის მიერ სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით წარმოადგენდა უკანონო სასჯელს, რომელიც წამების ტოლფასი იყო. პალატამ განმარტა, რომ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი სასჯელი გ.ა-ს არ მოუხდია, მან თავი აარიდა სასჯელის მოხდას, რის გამოც, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილისა და სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდა. ამდენად, არსებული მდგომარეობით, გ.ა-ს მიმართ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 36-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერებული იყო, რის გამოც მას ეკისრებოდა ვალდებულება, ჩადენილი ქმედებისათვის კანონით დადგენილი წესით მოეხდა სასჯელი. მეტიც, ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან არ გამომდინარეობდა სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ფაქტის წამებასთან გაიგივება. ამდენად, პალატამ სსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების არასრულწლოვანზე გავრცელება არ მიიჩნია უკანონო, წამების ტოლფას სასჯელად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ გ.ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება დარჩა უცვლელი.

5.2 ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

ამნისტია

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი სრულად ვრცელდება ზ.კ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხულ სსკ-ის 206-ე მუხლზე (1960 წლის რედ.) და ის ფაქტი, რომ ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებით ზ.კ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 104-ე მუხლით (1960 წლის რედ.), არ უნდა განიმარტოს მსჯავრდებულის საზიანოდ, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თავად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დადასტურებულად, რომ ზ.კ-მ ჩაიდინა სსკ-ის 206-ე მუხლით (1960 წლის რედ.) გათვალისწინებული დანაშაული.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე და 206-ე მუხლები (1960 წლის რედ.)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის განმარტება საქმეზე №588აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზ. კ-ს ბრალი ედებოდა განზრახ მკვლელობაში დამამძიმებელ გარემოებებში – ორი პირის მიმართ და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 7.11.2016 წლის განაჩენით ზ.კ. (დაუსწრებლად) გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (12.06.2016 წლამდე მოქმედი რედ.) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო მის მიმართ წარდგენილი ბრალდება სსკ-ის 104-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან (1960 წლის რედ.) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 206-ე მუხლზე (1960 წლის რედ.), რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 25 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ.კ-მ ჩაიდინა დანაშაულის განუცხადებლობა, იმის მიერ, ვისთვისაც ცნობილია სსკ-ის 104-ე მუხლით (1960 წლის რედ.) გათვალისწინებული დანაშაულის მზადებისა ან ჩადენის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულის ადვოკატებმა.

პროკურორი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულ ზ.კ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით (1960 წლის რედ.) და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (12.06.2016 წლამდე მოქმედი რედ.). მსჯავრდებულის ადვოკატებმა ითხოვნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას სსკ-ის 206-ე (1960 წლის რედ.) მუხლით შერაცხული ბრალდების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.09.2017 წლის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო მსჯავრდებულის ზ.კ-ს ადვოკატების სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

ზ.კ. გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (12.06.2016 წლამდე მოქმედი რედ.) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ზ.კ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება სსკ-ის 104-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან (1960 წლის რედ.) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 206-ე მუხლზე (1960 წლის რედ.), აღნიშნული მუხლით მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 25 დეკემბერის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ზ.კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას სსკ-ის 206-ე (1960 წლის რედ.) მუხლით შერაცხული ბრალდების ნაწილში, ან ზ.კ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-4 მუხლის გავრცელებას.

საკასაციო პალატის განმარტება: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს იმ პირებზე, რომელთა მიმართაც 1995 წლამდე იქნა გამოტანილი დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ (გარდა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ..., 104-ე, ... მუხლით (1960 წლის რედ.) გათვალისწინებულ დანაშაულებში განსასჯელი პირებისა) და რომელთა მიმართაც გამოცხადებულია ძებნა ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან.

მართალია, ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებით ზ.კ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით (1960 წლის რედ.) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, თუმცა როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა მისი ქმედება გადააკვალიფიცირეს სსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (1960 წლის რედ.) და დადგენილად მიიჩნიეს, რომ მან ჩაიდინა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რასაც საკასაციო პალატაც სრულად დაეთანხმა. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი სრულად ვრცელდებოდა ზ.კ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხულ სსკ-ის 206-ე (1960 წლის რედ.) მუხლზე და ის ფაქტი, რომ

ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებით ზ.კ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 104-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია), არ უნდა განმარტებულიყო მსჯავრდებულის საზიანოდ, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თავად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დადასტურებულად, რომ ზ.კ-მ ჩაიდინა სსკ-ის 206-ე მუხლით (1960 წლის რედ.) გათვალისწინებული დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ, ვინაიდან ქმედება გამოძიების მიერ დაკვალიფიცირებული იყო სსკ-ის 104-ე მუხლით (1960 წლის რედ.), აღნიშნული გამორიცხავდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის გამოყენებას, ზ.კ-ს მიმართ სსკ-ის 206-ე მუხლით (1960 წლის რედ.) შერაცხულ ბრალდებაზე სრულად გააგრძელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეღავათი და ზ.კ-ს მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

შეწყალება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მსჯავრდებულისთვის განაჩენით განსაზღვრული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა – არ შეცვლილა. პრეზიდენტმა შეწყალების აქტით გამოხატა ნება, რომ გ.დ. კონკრეტულ დღეს გათავისუფლებულიყო სასჯელის მოხდისგან. ამდენად, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, ამნისტია ვრცელდება პირისთვის დანიშნულ სასჯელზე, პალატა კანონისმიერად მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა მსჯავრდებულის მოთხოვნა სასჯელის იმ კონკრეტული ვადის შემცირების შესახებ, რომელიც მას განესაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განმარტება საქმეზე №5¹-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 22.12.2008 წლის განაჩენით გ.დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – უვადო თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – უვადო თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და მსჯავრდებულს საბოლოოდ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.03.2009 წლის განაჩენით, ხოლო უზენაესი სასამართლოს 27.10.2009 წლის განჩინებით საკასაციო საჩივარი სააპელაციო პალატის განაჩენზე არ იქნა დაშვებული განსახილველად.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 10.02.2013 წლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე გ.დ. გათავისუფლდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთისაგან, მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.03.2013 წლის განჩინებით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 10.02.2013 წლის განჩინება გ.დ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

საქართველოს პრეზიდენტმა 2017 წლის 6 ივლისის განკარგულებით შეიწყალა მსჯავრდებული გ.დ. და მას განესაზღვრა სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების კონკრეტული თარიღი – 2023 წლის 24 ივნისი.

2018 წლის 16 იანვარს გ.დ-მ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენების თაობაზე, კერძოდ, მსჯავრდებულის მითითებით, მას ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს სასჯელის ის კონკრეტული ვადა, რომელიც განესაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 23.01.2018 წლის განჩინებით მსჯავრდებულ გ.დ-ს მიმართ არ იქნა გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ.დ-მ და ითხოვა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენება საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 6 ივლისის განკარგულების გათვალისწინებით, რომლითაც მას ფაქტობრივად განესაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებულისთვის განაჩენით განსაზღვრული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა – არ შეცვლილა. პრეზიდენტმა შეწყალების აქტით გამოხატა ნება, რომ გ.დ. კონკრეტულ დღეს გათავისუფლდეს სასჯელის

მოხდისგან. ამდენად, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, ამნისტია ვრცელდება პირისთვის დანიშნულ სასჯელზე, პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს კასატორის მოთხოვნა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა №10აგ-14; №67აგ-16, №4¹-18).

ანალოგურია: სუსგ №4¹-18, 21.02.18; №2¹-18, 20.04.18; №14¹-18, 17.05.18; №25¹-18, 26.09.18.

ნასამართლობა

საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 4 იანვრის განმარტება საქმეზე №395აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 18.01.2017 წლის განაჩენით შ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.05.2017 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განაჩენი შ.ბ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შ.ბ-მ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის.

მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: საქმის მასალებში წარმოდგენილია საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 ნოემბრის განკარგულება, რომლის თანახმადაც, შ.ბ. სრულად გათავისუფლდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 24.10.2006 წლისა და ამავე სასამართლოს 2.04.2007 წლის განაჩენებით განსაზღვრული საპატიმრო სასჯელის მოხდისგან.

სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ (იხ. სუსგ საქმეებზე №4571-13, №64აგ-13).

ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 24.10.2006 წლისა და ამავე სასამართლოს 2.04.2007 წლის განაჩენების ნასამართლობა შ.პ-ს ვერ შეეცვლება მაკვალიფიცირებელ გარემოებად.

ნასამართლობის გაქარწყლება

სასჯელთა შეკრების ან შთანთქმის შემთხვევაში, ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დაწესებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადა, არ მოიცავს სხვა, უფრო მსუბუქი დანაშაულის ნასამართლობის გაქარწყლების ვადასაც და შესაბამისად, სასჯელის მოხდის შემდეგ გაქარწყლების ვადის დინება ყოველი მუხლისათვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად) მიმდინარეობს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის განმარტება საქმეზე №416აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ.ჩ-ს ბრალი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენასა და შენახვაში, ჩადენილი არაერთგზის, იმის მიერ ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. მასვე ბრალი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 12.06.2018 წლის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშნული განჩინების გაუქმება და მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.06.2018 წლის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება დარჩა უცვლელად.

პროკურორმა საკასაციო საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება და მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

საკასაციო პალატის განმარტება: მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არ გვაქვს როგორც იმავე მუხლით ნასამართლევი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების, ისე ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნისა და შენახვის იმის მიერ ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული – ბრალდების შემადგენლობა, ვინაიდან გ.ჩ-ს წინა ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს.

წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, 30.07.2014 წელს გ.ჩ-მ სრულად მოიხადა 9.07.2013 წლისა და 31.07.2013 წლის განაჩენთა ერთობლიობით სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის დანიშნული საპატიმრო სასჯელი.

პროკურორის განმარტება, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს ნასამართლობა ყველა დანაშაულისათვის ქარწყლდება ერთიანად, ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დაწესებული ნასამართლობის გაქარწყლებისთანავე, საკასაციო პალატის მითითებით, არ გამოძინარეობს სსკ-დან ამასთანავე, მოცემული განმარტება 79-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაწესზე მეტად მკაცრია, ვინაიდან იგი მაკვალიფიცირებული გარემოების წინაპირობას ქმნის და, შესაბამისად, პირის სამართლებრივ მდგომარეობას ამძიმებს.

სასჯელთა შეკრების ან შთანთქმის შემთხვევაში, ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის დაწესებული ნასამართლობის გაქარწყლების ვადა, არ მოიცავს სხვა, უფრო მსუბუქი დანაშაულის ნასამართლობის გაქარწყლების ვადასაც და შესაბამისად, სასჯელის მოხდის შემდეგ გაქარწყლების ვადის დინება ყოველი მუხლისათვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (დანაშაულის კატეგორიის შესაბამისად) მიმდინარეობს.

ვინაიდან სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გ.ჩ-ს ნასამართლობა გაუქარწყლებოდა სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ (ვინაიდან გ.ჩ-მ სასჯელი მოიხადა 30.07.2014 წელს შესაბამისად, მას ნასამართლობა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის გაუქარწყლდა 30.07.2017 წელს), ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად კი, გ.ჩ-ს 2018 წლის 15 მარტს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება – „ობიუმის“ ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

მართალია, გ.ჩ. სსკ-ის 273-ე მუხლთან ერთად, ასევე მსჯავრდებულია სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში თითოეული დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა უნდა გამოითვალოს ცალ-ცალკე, ვინაიდან სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილი ნასამართლობის გაქარწყლების ვადას დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით, ინდივიდუალურად განსაზღვრავს და კანონმდებლობაში არ

არსებობს ნორმა, რომელიც განაჩენთა ან/და დანაშაულთა ერთობლიობის დროს ნასამართლობის ვადის გაქარწყლებას სხვაგვარად მოაწესრიგებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ დარჩა უცვლელი.

ანალოგურია: სუსგ №14აპ-17,25.04.17; №334აპ-17, 4.12.17

კერძო ნაწილი

5. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

5.2 დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობის მცდელობა

ქმედების განზრახ მკვლელობად (მცდელობად) დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსასპობად, ამასთან, უნდა დადგინდეს ფაქტობრივად განზორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, რომელთა გარეშეც ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იქნება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლი, 124-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის განმარტება საქმეზე №52აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 25.07.2016 წლის განაჩენით გ.ტ-ს ქმედება სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 124-ე მუხლზე. გ.ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 124-ე მუხლით და მიესაჯა ჯარიმა – 6000 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 18.11.2016 წლის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. კასატორი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და გ.ტ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 19,108-ე მუხლით.

საკასაციო პალატის განმარტება: პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ პირისათვის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების მიყენების შემთხვევაში უნდა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს მისი მოკვლის ან/და მისთვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენების განზრახვა, რაც უნდა დადგინდეს არა მხოლოდ მიყენებული ჭრილობების ლოკალიზაციისა და სიმძიმის მიხედვით, არამედ – ჩადენილი დანაშაულის ყველა ფაქტობრივი გარემოების ერთობლივი ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კერძოდ: უნდა შეფასდეს ჭრილობების რაოდენობა და ხასიათი, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებები და ქმედების შეწყვეტის მიზეზები, ბრალდებულისა და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულება, მათი ქმედებები დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გ.ტ-ს გ.თ-ს განზრახ მოკვლის რაიმე საბაბი არ გააჩნდა, რასაც მთლიანად ეთანხმება საკასაციო პალატა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქმედების განზრახ მკვლელობად (მცდელობად) დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსასპობად, ამასთან, უნდა დადგინდეს ფაქტობრივად განზორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, რომელთა გარეშეც ქმედების განზრახ მკვლელობად (მცდელობად) დაკვალიფიცირება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიინია, რომ მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გ.ტ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენი არის კანონიერი და უცვლელად იქნა დატოვებული.

განზრახ მკვლელობის მცდელობა ოჯახის სხვა წევრის მიმართ

ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა, მისი ოჯახის წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს, რის გამოც მისი ჩვენების უტყუარობა, საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების დეტალური ანალიზით უნდა შეფასდეს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹,19,108-ე მუხლი

გორის რაიონული სასამართლოს 25.10.2016 წლის განაჩენით ი.კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 11¹,19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

ი.კ-ს ბრალად დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობა ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.07.2017 წლის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: ოჯახური დანაშაული, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მოწმეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა, მისი ოჯახის წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს, რის გამოც მისი ჩვენების უტყუარობა, საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების დეტალური ანალიზით უნდა შეფასდეს.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი ზეპირი და წერილობითი მტკიცებულებები საეჭვოს ხდიდა და ეწინააღმდეგებოდა დაზარალებულის ჩვენებას მის სხეულზე მრავლობითი დაზიანების წარმოშობის შესახებ, რის გამოც იგი არ ჩაითვალა უტყუარად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ.კ-ს ჩვენება მიმართული იყო ოჯახის წევრის, შვილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებისაკენ.

საქმეში წარმოდგენილი მასალები ერთობლივად გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით დასტურებდა ი.კ-ს მიერ დანაშაულის ჩადენას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.07.2017 წლის გამამართლებელი განაჩენი. ი.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹,19,108-ე

მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით.

განზრახ მკვლელობა

პირის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მკვლელობის ჩადენისას უშუალოდ შემთხვევის ადგილზე ბევრი ადამიანიც რომ იმყოფებოდეს, თუკი გასროლები მხოლოდ მსხვერპლის მიმართულებით ხდება და ამით არავითარი საფრთხე არ ექმნება სხვა ადამიანს, მიზანს აცდენილი გასროლის შემთხვევაშიც კი, ასეთი მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა, თუნდაც ის ჩადენილი იყოს ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილზე, არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ნოემბრს განმარტება საქმეზე №371აპ-19 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 15.08.2018 წლის განაჩენით გ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით; 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით; 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით; საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით გ.გ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ.გ-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება.

აღნიშნული დანაშაულები გამოიხატა შემდეგში: გ.გ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა, პირადად ინახავდა და ატარებდა ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას – ვაზნებს. 2018 წლის 15 მარტს დასახლებულ და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, გ.გ-მ რამდენიმე მეტრის დადევნებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით, ვალის არსებობით გამოწვეული შურისძიების მოტივით, განზრახ მოკლა ბიძაშვილი რ.გ.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19.03.2019 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ.გ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა თავისი ქმედების გადაკვალიფიცირებას სსკ-ის 108-ე მუხლზე და, შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქებას.

საკასაციო პალატის განმარტება: განზრახ მკვლელობის ღროს ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით კვალიფიცირდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირის მოქმედებით, გარდა იმ ადამიანისა, რომლის სიცოცხლის ხელყოფისკენ იყო მიმართული ეს მოქმედება, რეალური საფრთხე ექმნება სხვა კონკრეტული ადამიანის სიცოცხლესაც ან ჯანმრთელობას, რაც სრულიად შეგნებული აქვს ქმედების სუბიექტს. ობიექტურად ამგვარი საფრთხის არსებობა ან არარსებობა არ არის დამოკიდებული მკვლელობის ჩასადენად გამოყენებული იარაღის ან საშუალების თვისებებზე, არამედ ის განისაზღვრება იმ ვითარებით, რომელშიც მოქმედებს სუბიექტი და ხდება მკვლელობის ჩადენა ამ იარაღით ან საშუალებით. ამიტომ შესაძლებელია, მკვლელობა ხდებოდეს საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენებით, მაგალითად, როგორცაა აფეთქება, მაგრამ ისეთ ვითარებაში, რომ ის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, გარდა გამიზნული მსხვერპლისა. პირიქით, შესაძლებელია, მკვლელობა ხდებოდეს ისეთი ჩვეულებრივი საშუალებით, რომელსაც, მართალია, არ გააჩნია საყოველთაოდ საშიში ხასიათი, მაგრამ გამოყენებულია ისეთ ვითარებაში, როდესაც რეალური საფრთხე ექმნება სხვა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მაგალითად, გამიზნული მსხვერპლის მოსაკლავად მის საჭმელში ან სასმელში საწამლავის ჩაყრა ისეთ გარემოებებსა და ვითარებაში, როდესაც მოწამლული საკვები ან სასმელი მსხვერპლის ნაცვლად, ან მასთან ერთად, სხვა ადამიანმაც მიიღოს.

რაც შეეხება მკვლელობის ჩადენას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, ასეთ შემთხვევაში შედარებით ადვილი დასადგენია, მსხვერპლის მიმართ გასროლა უქმნიდა თუ არა რეალურ საფრთხეს მესამე ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. საამისოდ უნდა გაირკვეს, სროლის მიმართულებით მსხვერპლის გარდა, იმყოფებოდა თუ არა სხვა ადამიანიც ან სავარაუდო იყო თუ არა მისი ყოფნა (მაგალითად, სროლის მიმართულებით არსებულ სახლში, სადგომში, სხვა ნაგებობაში, რომელშიც მოიაზრება ასევე მშენებარე ობიექტიც, ანდა გაჩერებულ ან მოძრავ სატრანსპორტო საშუალებაში და ა.შ.). აქედან გამომდინარე, პირის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მკვლელობის ჩადენისას უშუალოდ შემთხვევის ადგილზე ბევრი ადამიანიც რომ იმყოფებოდეს, თუკი გასროლები მხოლოდ მსხვერპლის მიმართულებით ხდება და ამით არავითარი საფრთხე არ ექმნება სხვა ადამიანს, მიზანს აცდენილი გასროლის შემთხვევაშიც კი, ასეთი მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა, თუნდაც ის ჩადენილი იყოს ქუჩაში ან

საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილზე, არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

განსახილველ შემთხვევაშიც, დანაშაულის თვითმხილველი მოწმეების პირდაპირი ჩვენებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ.გ-ს მიერ დაზარალებულ რ.გ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლების შედეგად არავითარი საფრთხე არ შექმნია სხვა, მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ის ჩადენილი იყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე – ქუჩაში, შემთხვევის ადგილზე მრავალი ადამიანის ყოფნისას, არ იყო კანონიერი.

მოწმეების ჩვენებებითა და სხვა ობიექტური მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება შემდეგი: 2018 წლის 15 მარტს ბ-ს რ-ნის დაბა კ-ში მსჯავრდებულმა გ.გ-მ შურისძიების მოტივით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის არაერთჯერადი გასროლით ჩაიღინა რ.გ-ს განზრახ მკვლელობა, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებების შედეგად, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 108-ე მუხლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ გ.გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ გ.გ-ს ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 108-ე მუხლზე; გ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით.

განზრახ მკვლელობა, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ჩადენილი ჯგუფურად

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა წარმოადგენს შედეგიან დელიქტს, რომელიც დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მიერ გამიზნული მართლსაწინააღმდეგო შედეგის რეალურად დადგომის შემთხვევაში. ამ დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელია, რომ დანაშაულის სუბიექტი მოქმედებდეს განზრახვით – ჩაიღინოს მკვლელობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მიზანს, მოტივს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის განმარტება საქმეზე №656აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.06.2017 წლის განაჩენით პ.ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით შეუმცირდა 1/3-ით და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენით პ.ო-ს მსჯავრი დაედო: – განზრახ მკვლელობაში, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ჩადენილი ჯგუფურად; – ყაჩაღობაში ჩადენილი სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით, ჯგუფურად; – ქურდობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.10.2017 წლის განაჩენით, დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვებას, ხოლო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების ნაწილში – გამართლებას.

საკასაციო პალატის განმარტება: დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა წარმოადგენს შედეგიან დელიქტს, რომელიც დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მიერ გამიზნული მართლსაწინააღმდეგო შედეგის რეალურად დადგომის შემთხვევაში. ამ დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელია, რომ დანაშაულის სუბიექტი მოქმედებდეს განზრახვით – ჩაიდინოს მკვლელობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მიზანს, მოტივს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს. ასეთი კატეგორიის საქმეებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დადგინდეს დანაშაულის ჩადენის მოტივი, თუ რა ამოძრავებდა დამნაშავეს, რა გარემოებამ მიიყვანა იგი

დანაშაულის ჩადენამდე, რომელი ფაქტორი იყო გადამწყვეტი. ამასთან, უნდა დადგინდეს ფაქტობრივად განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, რომელთა გარეშეც ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იქნება.

გამოკვლევული მტკიცებულებებიდან გამომდინარე დადგენილია, რომ პ.ო. და გ.ც. მოქმედებდნენ შეთანხმებულად როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ისე მისი ჩადენისა და ჩადენის შემდეგ. მოწმის ჩვენებით დადგენილია, რომ პ.ო-სა და გ.ც-ს განზრახული ჰქონდათ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა (სურდათ ვინმესთვის ტელეფონის წართმევა) საქმის მასალებით, მათ შორის ვიდეოჩანაწერებით, ასევე დადგენილია, რომ გ.ც. და პ.ო. მეტროში აედევნენ დაზარალებულ დ.დ-ს და მისი გაცნობიდან მკვლელობამდე ისინი მასთან ერთად უწყვეტად გადაადგილდებოდნენ. მეტროდან ამოსვლის შემდეგ, დაზარალებულის დაყარალების მიზნით, იგი შეიყვანეს მოფარებულ ადგილას, მშენებარე კორპუსის ტერიტორიაზე, რა დროსაც მან წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელებს. ყაჩაღობის ჩადენის გაადვილებისა და მისი წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, გ.ც-მ დანის, ხოლო პ.ო-მ „კასტეტის“ გამოყენებით, დ.დ-ს მიაყენეს მრავლობითი დაზიანებები და განზრახ მოკლეს იგი, რის შემდეგაც ერთად გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან. მართალია, დაზარალებულ დ.დ-ს დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა უშუალოდ გ.ც-მ, მაგრამ შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებით დადგენილია, რომ დაზარალებულს ერთდროულად ორი პირი დაესხა თავს, რომლებიც ერთობლივად ცდილობდნენ მისთვის ტელეფონის წართმევას. ამ ქმედებით თავდამსხმელებმა დ.დ-ს ფაქტობრივად მოუსპეს თავის დაცვისა და გადაადგილების საშუალება და ამავედროულად გ.ც-მ დანით, ხოლო პ.ო-მ „კასტეტით“ მიაყენეს მას დაზიანებები, რასაც პირდაპირი მიზეზობრივი კავშირში აქვს დამდგარ შედეგთან – დ.დ-ს სიკვდილთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მსჯავრდებულ პ.ო-ს მიერ სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რის გამოც მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.10.2017 წლის განაჩენი პ.ო-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

რაც შეეხება მსჯავრდებულ პ.ო-თვის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით შერაცხულ ბრალდებებს, დაცვის მხარეს მოცემული ბრალდების ეპიზოდები სადავოდ არ გაუხდია და, შესაბამისად, საკასაციო პალატამ დამატებით აღარ იმსჯელა ამ საკითხზე.

დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობა

მკვლელობის განზრახვა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მიყენებული დაზიანებების სიმრავლით. მნიშვნელოვანია აგრეთვე დადგინდეს, თუ რა პირობებში დატოვა დამნაშავემ დაზარალებული, სად მდებარეობს დანაშაულის ჩადენის ადგილი, დღის რა მონაკვეთში ჩაიდინა პირმა დანაშაული და ა.შ..

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 აპრილის განმარტება საქმეზე №595აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 21.07.2017 წლის განაჩენით ქ.ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 13 წლით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, შეუმცირდა 1/3-ით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 8 წლით, 6 თვითა და 7 დღით.

ქ.ო-ს ბრალად დაედო დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობა, რაც გამოიხატა შემდეგში: 2017 წლის 1 მაისს, დაახლოებით 23:00 საათზე, ქ.ო-მ ს.მ-ს მიწის ნაკვეთში, დანის გულმკერდში ერთხელ დარტყმით, შურისძიების მოტივით განზრახ მოკლა 16 წლის რ.მ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მისი ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაკვალიფიცირება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 3.10.2017 წლის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი ქ.ო. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაკვალიფიცირებასა და, შესაბამისად, უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას. დაცვის მხარე სადავოდ ხდის მხოლოდ ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას და განმარტავს, რომ ქ.ო-ს რ.მ-ს მოკვლის განზრახვა არ ჰქონია. ქ.ო-ს მოკვლის განზრახვა რომ ჰქონოდა, რ.მ-ს დანას მხოლოდ ერთხელ არ დაარტყამდა.

საკასაციო პალატის განმარტება: მკვლელობის განზრახვა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მიყენებული დაზიანებების სიმრავლით. მნიშვნელოვანია აგრეთვე დადგინდეს, თუ რა პირობებში დატოვა დამნაშავემ დაზარალებული, სად მდებარეობს დანაშაულის ჩადენის ადგილი, დღის რა მონაკვეთში ჩაიდინა პირმა დანაშაული და ა.შ.; წარმოდგენილი საქმის მასალებით ქ.ო-მ გულმკერდის ღრუში

დანის დარტყმის შემდეგ, ღამის საათებში, ს.მ-ს სახლის უკან მდებარე მიწის ნაკვეთში რ.მ. მარტო დატოვა. ქ.ო-ს ჩვენების თანახმად, შემთხვევის ადგილზე მათ გარდა, სხვა არავინ იმყოფებოდა. აღნიშნულის შემდეგ მსჯავრდებული არ დაუკავშირდა სასწრაფო დახმარებას. იგი მის მეგობართან – მ.გ-თან მივიდა, უამბო მომხდარის თაობაზე, ცოტა ხანს ტელევიზორს უყურა და დაიძინა.

საკასაციო პალატამ მკვლელობის განზრახვის დამადასტურებლად ასევე მიიჩნია რ. მ-ს სხეულზე მიყენებული დაზიანების მდებარეობა და ჭრილობის არხის სიგრძე. ასევე შემთხვევამდე ქ.ო-სა და რ.მ-ს შორის გარკვეული უთანხმოების არსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობა

სიცოცხლის ხელყოფის ისეთ ატიპურ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილის გვამი ნაპოვნი არ არის რაიმე განსაკუთრებული ობიექტური გარემოებების გავლენის შედეგად ან იმ ქმედების თავისებურებათა გამო, რამაც სიკვდილი გამოიწვია, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, სასამართლოს შეუძლია სიკვდილის გამოწვევის ფაქტი დადგენილად ცნოს შესაბამისი სასამართლო ექსპერტიზების დასკვნების გარეშეც.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განმარტება საქმეზე №138აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბრალდების შესახებ დადგენილებით რ.შ-ს ბრალად დაედო: უმწეო მდგომარეობაში მყოფი დ.ც-ს განზრახ მკვლელობა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით; ასევე, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პ. ქ-ს განზრახ მკვლელობა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დანაშაულები, გათვალისწინებული სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.12.2016 წლის განაჩენით რ.შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დ.ც-ს ეპიზოდი), სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დ. ც-ს

ეპიზოდი), 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (პ.ქ-ს ეპიზოდი), 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (პ.ქ-ს ეპიზოდი) და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონისა და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.01.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებმა.

პროკურორმა საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილებების შეტანა და მსჯავრდებულ რ.შ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – პ.ქ-სა და დ.ც-ს დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის 2 ეპიზოდი; სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – პ.ქ-სათვის ორგანიზებული ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდი, ხოლო რ.შ-ს მიმართ სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გამოტანილი განაჩენის (დ.ც-ს ეპიზოდი) უცვლელად დატოვება.

მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატის განმარტება: სიცოცხლის ხელყოფის ისეთ ატიპურ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილის გვამი ნაპოვნი არ არის რაიმე განსაკუთრებული ობიექტური გარემოებების გავლენის შედეგად ან იმ ქმედების თავისებურებათა გამო, რამაც სიკვდილი გამოიწვია, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება ჩადენილია განზრახ, თუ გაუფრთხილებლობით, სასამართლოს შეუძლია სიკვდილის გამოწვევის ფაქტი დადგენილად ცნოს შესაბამისი სასამართლო ექსპერტიზების დასკვნების გარეშე. ასეთი რამ დასაშვებია იმ პირობებში, როდესაც არსებობს სხვა სარწუნო და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც უდავოდ ადასტურებენ დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად მსხვერპლის სიცოცხლის გარდუვალ მოსპობას განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ხდება ისეთ ვითარებასა და გარემოებებში, რომელთა გათვალისწინებით ადამიანის ცოცხლად გადარჩენის შესაძლებლობა არ არსებობს ნებისმიერი ობიექტური და მიუკერძოებელი დამკვირვებლისათვის. ცხადია, რომ აქ იგულისხმება ისეთი გამონაკლისი შემთხვევები, რომლებსაც ქმნის დანაშაულებრივი ქმედებისა და მისი ჩადენისას არსებული გარემოებებისა თუ ვითარების განსაკუთრებული და ტიპური შემთხვევებისაგან რადიკალურად განმასხვავებელი ხასიათი და თავისებურებები. სწორედ ასეთი შინაარსისაა მსჯავრდებულ რ.შ-ს მიერ 2008 წლის 17 და 27 აგვისტოს დ.ც-სა და პ.ქ-ს მიმართ ჩადენილი ქმედებები, რომლებმაც მათი დალუპვა გამოიწვია (პალატას მხედველობაში აქვს რ.შ-ს მიერ ჩადენილი ორი დანაშაულის – 2008 წლის 17 და 27 აგვისტოს დამამძიმებელ გარემოებაში ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით

დ.ც-სა და პ.ქ-ს სიცოცხლის ხელყოფის თვითმხილველი სამი მოწმის პირდაპირი ჩვენება, სადაც ისინი დეტალურად აღწერენ ორივე ეპიზოდში იმ მოვლენებს, რომლებიც ზღვის სიღრმეში შესულ კატერზე მიმდინარეობდა უშუალოდ მათი თანდასწრებითა და მსჯავრდებულის აქტიური მონაწილეობით. მათი ჩვენებების მიხედვით, ორივე შემთხვევა ხდება სანაპიროდან რამდენიმე საზღვაო მილის დაშორებით ზღვაში მყოფ კატერზე, ორივე შემთხვევაში მსხვერპლი არის ხელბორკილებით შეკრული, თავზე ტომარა აქვთ ჩამოცმული, ხოლო ფეხებზე ჩაბმული აქვთ ბეტონის სიმძიმეები და ასეთ მდგომარეობაში ორივე მათგანს რ.შ. ცეცხლსასროლი იარაღიდან ესვრის თავში, რის შემდეგაც მათ ფეხებზე მიბმული სიმძიმეებით აგდებს ზღვაში, სადაც ისინი იძირებიან, ხოლო კატერი ნაპირზე ბრუნდება). რადგან ვცნობთ, რომ ყოველივე ის, რასაც ბრალდების მოწმეები აღწერენ პირდაპირ და არაპირდაპირ ჩვენებებში, სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ლოგიკურად ისიც უნდა ვაღიაროთ, რაც ამ ჩვენებებიდან გამომდინარეობს – რ.შ-ს მიერ მათ მიმართ ჩადენილი ქმედებების შემდეგ, ამასთან, ისეთ ვითარებაში, როგორშიც ეს ქმედებები განხორციელდა, დ.ც-სა და პ.ქ-ს ცოცხლად გადარჩენის რეალური შანსი არამცთუ პრაქტიკულად არ არსებობს, არამედ ასეთის თეორიულ დონეზე დაშვებაც კი შეუძლებელია. ამიტომ საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომლის მიხედვით, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს გარდაცვლილთა გვამები და მათზე არ ჩატარებულა შესაბამისი ექსპერტიზები, რის შედეგადაც სიკვდილის ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები არ არის დადასტურებული სათანადო საექსპერტო დასკვნებით, დ.ც-სა და პ.ქ-ს სიკვდილი საქმეში მითითებულ დროს შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, ვარაუდი კი საფუძველად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს.

საქართველოში მოქმედი არცერთი კანონი არ ადგენს, რომ სასამართლოს მიერ სამართლებრივ დონეზე სიკვდილის დადგენის ფაქტის ცნობისა და ჩადენილი ქმედების დამთავრებულ მკვლელობად ან სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობად დაკვალიფიცირებისათვის, ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია გვამის არსებობა და სათანადო საექსპერტო დასკვნები. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას სასამართლო თავისუფალია მტკიცებულებების შეფასებაში და ამ დროს კანონით არცერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე წინასწარ დადგენილი და უპირატესი ძალა, მათ შორის არც საექსპერტო დასკვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებსაც სავსებით მართებულად სრულ ნდობას უცხადებს სააპელაციო სასამართლოც, საკასაციო პალატას დადგენილ ფაქტად მიაჩნია მსჯავრდებულ რ.შ-ს მიერ 2008 წლის 17 და 27 აგვისტოს ჩადენილი ქმედებების შედეგად დ.ც-სა და პ.ქ-ს გარდაცვალება, აგრეთვე, აღნიშნული ქმედებების ხასიათიდან და მათი განხორციელების ვითარებიდან გამომდინარე, მიზეზობრივი კავშირის არსებობა ამ ქმედებებსა და მათ სიკვდილს შორის.

მოცემულ შემთხვევაში გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ: მსჯავრდებულმა რ.შ-მ აწ გარდაცვლილი დ.ც-სა და პ.ქ-ს სიცოცხლის ხელყოფის ნაწილში ჩაიდინა არა მკვლელობის მცდელობა, არამედ – დამთავრებული განზრახვი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი).

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.01.2018 წლის განაჩენში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ: მსჯავრდებულ რ.შ-ს მიერ დ.ც-სა და პ.ქ-ს მიმართ ჩადენილი ქმედებები სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე. რ.შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დ. ც-ს ეპიზოდი), სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დ. ც-ს ეპიზოდი), 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (პ.ქ-ს ეპიზოდი), 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (პ.ქ-ს ეპიზოდი) და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონისა და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით.

განზრახ მკვლელობა ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით და ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა

ხულიგნური ქვენაგრძნობა მოტივის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მასში იგულისხმება უსაბაბოდ ან სრულიად უმნიშვნელო/მცირე საბაბით ადამიანის მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება. დამნაშავე ამ დროს ცდილობს, დემონსტრაციულად უგულვებელყოს სამართლით დადგენილი ნორმები და მართლწესრიგისადმი მის უპატივცემულო დამოკიდებულებას ხაზი გაუსვას;

მაკვალიფიცირებელი გარემოების – ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის დასრულებული სახით არსებობისათვის აუცილებელია არსებობდეს, მინიმუმ, ორი პირის გარდაცვალების ფაქტი.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 20.12.2017 წლის განაჩენით ნ.ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (რ.ზ.-ს ეპიზოდი), 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ.ლ-მ და მოითხოვა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადაკვალიფიცირება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26.04.2018 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ნ.ლ. ითხოვდა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების სსკ-ის 108-ე და 19,108-ე მუხლით დაკვალიფიცირებას და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან ერთად საბოლოოდ 7 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

საკასაციო პალატის განმარტება: ხულიგნური ქვენაგრძნობა მოტივის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მასში იგულისხმება უსაბაბოდ ან სრულიად უმნიშვნელო/მცირე საბაბით ადამიანის მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება. დამნაშავე ამ დროს ცდილობს, დემონსტრაციულად უგულებელყოს სამართლით დადგენილი ნორმები და მართლწესრიგისადმი მის უპატივცემულო დამოკიდებულებას ხაზი გაუსვას.

როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით მკვლელობის ზუსტი მოტივი ვერ დგინდება, ქმედება ავტომატურად ხულიგნურ ქვენაგრძნობად არ უნდა დაკვალიფიცირდეს. როგორც შემთხვევამდე, ისე უშუალოდ შემთხვევის დღეს არსებული ფაქტები დეტალურად უნდა შეფასდეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც, ერთი შეხედვით, მკვლელობის საბაბი არ არსებობს. სწორედ აღნიშნულის შემდეგ უნდა გაეცეს კითხვას პასუხი: მოქმედებდა კი ბრალდებული სრულიად უსაბაბოდ ან ძალიან მცირე საბაბით, თუ საქმის მასალები არ არის საკმარისი რეალური მოტივის დასადგენად.

საკასაციო პალატამ მსჯავრდებული ნ.ლ. დანაშაულის ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენის ნაწილში უდანაშაულოდ მიიჩნია, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით აღნიშნული ბრალდება არ დასტურდებოდა.

რაც შეეხება რ.ზ-ს განზრახ მკვლელობას და რ.დ-სა და გ.კ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობას, აღნიშნული საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია.

პალატამ აღნიშნა, რომ მაკვალიფიცირებული გარემოების – ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის დასრულებული სახით არსებობისათვის აუცილებელი იყო მინიმუმ, ორი პირის გარდაცვალების ფაქტის არსებობა. ამდენად, ვინაიდან რ.დ-სა და გ.კ-სთან დაკავშირებით ნ.ლ-მ დანაშაული ბოლომდე ვერ მიიყვანა, ამ ნაწილში მისი ქმედება განზრახ მკვლელობის მცდელობად ორი ან მეტი პირის მიმართ (სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) სწორად იყო დაკვალიფიცირებული. რაც შეეხება რ.ზ-ს ნაწილს, ვინაიდან იგი გარდაიცვალა, აღნიშნული ფაქტი დამოუკიდებლად უნდა დაკვალიფიცირებულიყო. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის შემთხვევაში ერთ-ერთი პირის გარდაცვალება (ე.ი მისი მკვლელობა) ცალკე სამართლებრივ შეფასებას საჭიროებდა.

აქედან გამომდინარე, ნ.ლ-ს მიერ ჩადენილი იყო სსკ-ის 108-ე მუხლითა და სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ნ.ლ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26.04.2018 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: ნ.ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 108-ე მუხლით (რ.ზ-ს ეპიზოდი), 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით

როდესაც პირი სრულიად უსაბაბოდ ან მცირე საბაბით სჩადის დანაშაულს, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მისი ქმედება იმთავითვე წარმოადგენს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ დანაშაულს. ამ დროს აუცილებელია დადგინდეს: პირის მისწრაფება, რომ მას სურდა უხეშად დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი, გამოეხატა თავისი უპატივცემულობა საზოგადოებისა და მისი წევრების მიმართ, რომლის გარეშეც ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილად;

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მკვლელობის მცდელობისაგან განზრახვის მიმართულებით განსხვავდება, კერძოდ: თუ პირმა მოკვლის მიზნით დააზიანა სხვა პირის ჯანმრთელობა, მაგრამ სასიკვდილო შედეგი არ დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ასეთ შემთხვევაში გამოკვეთილია მკვლელობის მცდელობა და არა – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №309აპ-19 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

საცხოვრებელი კორპუსის ლიფტის კაბინაში, გ.ჩ-მ ხელთ არსებული დანის გამოყენებით, ხულიგნური ქვენა გრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მოკვლის მიზნით, ი.ა-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები სხეულის სხვადასხვა არეში 55 ჭრილობის სახით. გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად ი.ა. სიკვდილს გადაურჩა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 31.08.2018 წლის განაჩენით გ.ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელიც ითხოვდა მისი ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 19.02.2019 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებულის გ.ჩ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა იყო კვლავ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირება და სასჯელის შეფარდება მითითებული მუხლის სანქციის ფარგლებში.

საკასაციო პალატის განმარტება: სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ გ.ჩ-მ დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა ხულიგნური ქვენა გრძნობით, საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია და განმარტა, რომ ხულიგნურ ქვენა გრძნობაში იგულისხმება უსაბაბოდ ან სრულიად უმნიშვნელო/მცირე საბაბით ჩადენილი ქმედება. ამასთან, ერთი შეხედვით, ხულიგნური მოტივით ჩადენილი დანაშაულები უმოტივოდ და უმიზეზოდ გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, რადგან ხულიგნურ ქვენა გრძნობას გააჩნია მკვეთრად გამოხატული ანტისოციალური ხასიათი, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი თანაცხოვრების ეთიკური ნორმებისა

და წესების უგულებელყოფაში საზოგადოებისადმი უხეში უპატივცემულობის სხვადასხვა ფორმით, რა დროსაც პირი ღიად და აშკარად უპირისპირდება ყველას და ყველაფერს. როდესაც პირი სრულიად უსაბაბოდ ან მცირე საბაბით სჩადის დანაშაულს, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მისი ქმედება იმთავითვე წარმოადგენს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ დანაშაულს. ამ დროს აუცილებელია დადგინდეს: პირის მისწრაფება, რომ მას სურდა უხეშად დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი, გამოეხატა თავისი უპატივცემულობა საზოგადოებისა და მისი წევრების მიმართ, რომლის გარეშეც ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილად.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა (იხ. გადაწყვეტილება 347აპ-18 საქმეზე), რომ, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით მკვლელობის ზუსტი მოტივი ვერ დგინდება, ქმედება ავტომატურად ხულიგნურ ქვენა გრძნობად არ უნდა დაკვალიფიცირდეს. როგორც შემთხვევამდე, ისე უშუალოდ შემთხვევის დღეს არსებული ფაქტები დეტალურად უნდა შეფასდეს იმ ვითარებაშიც კი, როდესაც, ერთი შეხედვით, მკვლელობის საბაბი არ არსებობს. სწორედ აღნიშნულის შემდეგ უნდა გაეცეს კითხვას პასუხი: მოქმედებდა კი ბრალდებული სრულიად უსაბაბოდ ან ძალიან მცირე საბაბით, თუ საქმის მასალები არ არის საკმარისი რეალური მოტივის დასადგენად.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი იყო, რომ დაზარალებული ი.ა. და მსჯავრდებული გ.ჩ. დანაშაულებრივ შემთხვევამდე საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს. შემთხვევის დღეს მათ მოუწიათ ლიფტით ერთად მგზავრობა. მგზავრობისას მსჯავრდებულმა „სტოპ“ ლილაკით შეაჩერა ლიფტის სვლა და სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, დაესხა თავს დაზარალებულს ისე, რომ, მისივე განმარტებით, არ იცოდა მიზეზი, თუ რამ გამოიწვია მისი ქმედება. დადგენილია ისიც, რომ დაზარალებული და თავდამსხმელი ლიფტით მგზავრობდნენ მარტო, მათ გარდა ლიფტის კაბინაში არავინ იმყოფებოდა, ხოლო დანაშაული – დაზარალებულზე თავდასხმა – დაიწყო და დასრულდა სწორედ კაბინაში, რაც მის გარეთ აღარ გაგრძელებულა.

ამდენად, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ.ჩ-ს დაზარალებულის მოკვლის კონკრეტული მოტივი არ გააჩნდა. მაგრამ, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით ასევე ირკვეოდა, რომ მსჯავრდებული და დაზარალებული მარტონი მგზავრობდნენ ლიფტით და დანაშაულის ფაქტს მათ გარდა სხვა არავინ შესწრებია, მსჯავრდებულის ქმედებაში ასევე არ იკვეთებოდა ხულიგნური ქვენა გრძნობის მოტივისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშნები – აშკარა ანტისაზოგადოებრივი განწყობა, დამნაშავის სურვილი, რომ უხეშად დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოეხატა უპატივცემულობა საზოგადოებისა და მისი წევრების მიმართ. ხსენებულის გათვალისწინებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გ.ჩ-მ დანაშაული ჩაიდინა ყოველგვარი საბაბის გარეშე, არ წარმოადგენდა მისი ქმედების ხულიგნური ქვენა გრძნობით დაკვალიფიცირების საფუძველს.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მკვლელობის მცდელობისაგან განზრახვის მიმართულებით განსხვავდებოდა, კერძოდ: თუ პირმა მოკვლის მიზნით დააზიანა სხვა პირის ჯანმრთელობა, მაგრამ სასიკვდილო შედეგი არ დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ასეთ შემთხვევაში გამოკვეთილია მკვლელობის მცდელობა და არა – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ.

საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ.ჩ-ს ჰქონდა სწორედ განზრახ მკვლელობის განზრახვა: დადგენილი იყო, რომ გ.ჩ-მ სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში არაერთი დაზიანება მიაყენა დაზარალებულს, ასევე, დაზარალებულზე თავდასხმა მსჯავრდებულმა შეწყვიტა არა საკუთარი ნებით, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებულის ძმამ, რ.ა-მ დაიწყო ლიფტის კარზე ბრახუნი, რის შემდეგაც გ.ჩ. მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. დაზარალებულის მოკვლის განზრახვაზე ასევე ნათლად მეტყველებდა მისთვის მიყენებული ჭრილობების მდებარეობა, რაოდენობა და დაზიანებების ხარისხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებული გ.ჩ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. გ.ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა

მკვლელობის განზრახვა შესაძლებელია წარმოიშვას დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული იმწუთიერი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, უშუალოდ კონფლიქტის დროს და დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელი არ არის, რომ განზრახვა დროის ხანგრძლივი ინტერვალით უსწრებდეს წინ ქმედებას.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის განმარტება საქმეზე №379აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ლ.შ-ს ბრალი დაედო სიცოცხლის მოსპობაში გაუფრთხილებლობით და დამამძიმებელ გარემოებებში დამნაშავეისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.08.2017 წლის განაჩენით: ლ.შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 19,117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარეებმა. მსჯავრდებულმა მოითხოვა განაჩენში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, გამართლება სსკ-ის 19,117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ვინაიდან ის მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. პროკურორებმა მოითხოვეს ლ.შ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.04.2018 წლის განაჩენით მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, პროკურორების სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში: ლ.შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა – 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულმა ლ.შ-მ. პროკურორი ითხოვდა ლ.შ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და შესაბამისი სასჯელის შეფარდებას, ხოლო მსჯავრდებული ლ. შ. – სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებაში გამართლებას, სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლ ნაწილში კი – განაჩენის უცვლელად დატოვებას.

საკასაციო პალატის განმარტება: მკვლელობის განზრახვა შესაძლებელია წარმოიშვას დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული იმწუთიერი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, უშუალოდ კონფლიქტის დროს და დანაშაულის შემაღვენლობისათვის აუცილებელი არ არის, რომ განზრახვა დროის ხანგრძლივი ინტერვალით უსწრებდეს წინ ქმედებას. მოცემულ შემთხვევაში პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მკვლელობის განზრახვა ლ.შ-ს წარმოეშვა

ურთიერთშელაპარაკების დროს და მის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით. ხოლო ის ფაქტი, ჰქონდა თუ არა ლ.შ-ს დაზარალებულების მოკვლის განზრახვა, არ იყო დამოკიდებული დაზარალებულთა აღქმაზე, ეს წარმოადგენდა სასამართლოს შეფასების საგანს. მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა დაზარალებულების – ტ.პ-ს და ო.ყ-ს ჩვენებებზე. ტ.პ. განმარტავდა: რომ არ გაწეულიყო, ლ.შ. მეორედ დაარტყამდა დანას და მოკლავდა, ხოლო ო.ყ.: ვინაიდან მისი ჭრილობის მიმართულება იყო ზემოდან ქვემოთ, ეს არ იყო შემთხვევითი დაჭრა.

ბრალდების მხარის საკასაციო მოთხოვნა ლ.შ-ს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა და მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა დასკვნისათვის, რომ მან იცოდა შ.მ-ს და ო.ყ-ს ასაკი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს იყვნენ შესაბამისად – 17 და 16 წლისები. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ო.ყ. იყო 16 წლის და მას საკმაო პერიოდი აშორებდა სრულწლოვანებას, არ წარმოადგენდა უტყუარ მტკიცებულებას და არც სხვა რაიმე გარემოება დადგენილა, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ ქმედების ჩადენისას ლ.შ-მ დანამდვილებით იცოდა ან შეიძლება სცოდნოდა დაზარალებულების ასაკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ლ.შ-ს მიმართ ღარჩა უცვლელად.

განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკითა და ანგარებით

როდესაც სხეულის დაზიანებების, მათ შორის – ძალიან მძიმე დაზიანებების მიყენება, დროში გახანგრძლივებულია, წინასწარი შეცნობით მოქმედი, ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის მქონე ნებისმიერი სუბიექტისათვის სრულიად აღქმადია მსხვერპლის ის ტანჯვა, რასაც მსგავსი ქმედება იწვევს. ამავე დროს, ამ ქმედების შემადგენელი აქტების მრავალგზის განმეორებით ჩადენა უტყუარად ადასტურებს მისი ჩამდენის მისწრაფებას მსხვერპლის ტანჯვის გამოწვევისკენ ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეგნებულად დაშვებას (გარდა აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის შემთხვევებისა), რაც სრულიად საკმარის საფუძველს წარმოადგენს პირის ქმედების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობად შეფასებისთვის.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტები, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი

გ.გ-ს ბრალი დაედო განზრახ მკვლელობაში ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკითა და ანგარებით; ასევე – სხვისი ნივთის დაზიანებასა და განადგურებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით;

მ.კ-ს ბრალი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის განზრახ მკვლელობაში ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკითა და ანგარებით; ასევე – სხვისი ნივთის დაზიანებასა და განადგურებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.02.2018 წლის განაჩენით გ.გ. სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ხოლო მ.კ. სსკ-ის მე-11¹,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გამართლდნენ. ამავე განაჩენით ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: გ.გ. სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; მ.კ. სსკ-ის მე-11¹,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.03.2019 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: გ.გ. გამართლდა სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა; მ.კ. გამართლდა სსკ-ის მე-11¹,109-ე მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-11¹,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორები: პროკურორი ითხოვდა გ.გ-ს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო მ.კ-ს – სსკ-ის მე-11¹,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამნაშავეებად ცნობასა და მათთვის შესაბამისი სასჯელების განსაზღვრას.

მსჯავრდებული გ.გ. ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის გამართლებას სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო

მსჯავრდებული მ.კ. – გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: როდესაც სხეულის დაზიანებების, მათ შორის – ძალიან მძიმე დაზიანებების მიყენება, დროში გახანგრძლივებულია, წინასწარი შეცნობით მოქმედი, ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის მქონე ნებისმიერი სუბიექტისათვის სრულიად აღქმადია მსხვერპლის ის ტანჯვა, რასაც მსგავსი ქმედება იწვევს. ამავ დროს, ამ ქმედების შემადგენელი აქტების მრავალგზის განმეორებით ჩადენა უტყუარად ადასტურებს მისი ჩამდენის მისწრაფებას მსხვერპლის ტანჯვის გამოწვევისკენ ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეგნებულად დაშვებას (გარდა აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის შემთხვევებისა), რაც სრულიად საკმარის საფუძველს წარმოადგენს პირის ქმედების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობად შეფასებისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

მსჯავრდებულების საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: გ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა; მ.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-11¹,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით. 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თვითმკვლელობამდე მიყვანა

სასტიკი მოპყრობა, როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანის საშუალება, შეფასებითი ცნებაა. დაზარალებულის მიმართ სასტიკი მოპყრობა გულისხმობს ისეთი ქმედების ან ქმედებათა ერთობლიობის ჩადენას, რომელიც დაზარალებულს განსაკუთრებულ ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას აყენებს.

–საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹,115-ე მუხლი, 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 9 ივლისის განმარტება საქმეზე №23აპ-19 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 9.02.2018 წლის განაჩენით გ.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹,115-ე მუხლით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ.კ-მ ჩაიდინა ოჯახის წევრის თვითმკვლელობამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი სასტიკი მოპყრობით, რაც გამოიხატა შემდეგში: გ.კ-მ ყოფილი მეუღლის, ა.ლ-ის მიმართ განახორციელა სასტიკი მოპყრობა. მან ა.ლ-ს მრავლობითი დაზიანება მიაყენა თავის არეში, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა ამავე ბინის სააბაზანო ოთახში, ქაძრის მსგავსი საგნის გამოყენებით თავი ჩამოიხრჩო.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.11.2018 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად. მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

საკასაციო პალატის განმარტება: სასტიკი მოპყრობა, როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანის საშუალება, შეფასებითი ცნებაა. დაზარალებულის მიმართ სასტიკი მოპყრობა გულისხმობს ისეთი ქმედების ან ქმედებათა ერთობლიობის ჩადენას, რომელიც დაზარალებულს განსაკუთრებულ ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას აყენებს. მოცემულ შემთხვევაში გ.კ-ს მიერ ა.ლ-ს მიმართ ჩადენილი ქმედება ვერ შეფასდება სასტიკ მოპყრობად, ვინაიდან მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა გ.კ-ს მიერ ისეთი ქმედებების ჩადენა, რაც შეფასდებოდა როგორც მსხვერპლისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც ა.ლ. თვითმკვლელობამდე მიიყვანა, ბრალდების მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი. სასამართლოს მიერ ბრალდების ფორმულირებაში დამატებითი გარემოებების მითითებამ (ა.ლ. გ.კ-ს მხრიდან მუდმივად ექვემდებარებოდა ძალადობას, მასზე არაერთხელ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ფორმით, რაც, თავის მხრივ, აისახა ა. ლ-ს ფსიქიკაზე) გავლენა მოახდინა გ.კ-ს ქმედების კვალიფიკაციაზე და გახდა კიდევ მისი სსკ-ის 11¹,115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების საფუძველი, რასაც საკასაციო პალატა არ დაეთანხმა.

ამდენად, საკასაციო პალატის აზრით საქმეზე წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა მსჯავრდებულ გ.კ-ს მიერ ა-ს თვითმკვლელობამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი სასტიკი მოპყრობით, თუმცა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებული იყო გ.კ-ს მიერ სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სისხლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი).

ვინაიდან პირის სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდებისთვის აუცილებელია დაზარალებულის მიერ ფიზიკური ტკივილის განცდა, საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: ის გარემოება, არის თუ არა ა.ლ-ს მიმართ

განხორციელებული ფიზიკური ძალადობა ფიზიკური ტკივილის გამომწვევი, საკასაციო პალატის აზრით, განსახილველ შემთხვევაში უნდა შეფასებულიყო არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებითაც. მოწმის ზ.კ-ს ჩვენების, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და საქმის მასალების ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გარდაცვლილ ა. ლ-ს სხეულზე არსებული დაზიანებები, თავისი სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინებით, ფიზიკური ტკივილის გამომწვევის გარეშე ვერ წარმოიშობოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება და მსჯავრდებულ გ.კ-ს ქმედება სსკ-ის 11¹,115-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

5.2 დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

იმის გაცნობიერება, რომ ადამიანისათვის სახეში ხელის ძლიერმა დარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაცემა, რის შედეგადაც შესაძლოა, მან მიიღოს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, მათ შორის სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება და სიკვდილიც დადგეს, არსებულ ვითარებაში ა.ხ-სათვის სავსებით შესაძლებელი იყო, ვინაიდან ისინი არ იმყოფებოდნენ ისეთ უსაფრთხო ადგილზე, სადაც გამორიცხული იქნებოდა მსგავსი შედეგის დადგომა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 9 იანვრის განმარტება საქმეზე №449აპ-16 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ხაშურის რაიონული სასამართლოს 28.01.2016 წლის განაჩენით ა.ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც საშიფათოა სიცოცხლისათვის, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა და რაც გამოიხატა შემდეგში:

ა.ხ-მ ხელის დარტყმით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა ჯ.ტ-ს, რომელიც მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ა.ხ-ს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 9.06.2016 წლის განაჩენით ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ა.ხ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას, პროკურორი – განაჩენის უცვლელად დატოვებას.

საკასაციო პალატის განმარტება: პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში წარმოდგენილ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, რომელთა მიხედვით, მსჯავრდებულ ა.ხ-ს ჩადენილი ჰქონდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

განსახილველი იყო საკითხი: ქმედების ჩადენისას ა.ხ. მოქმედებდა განზრახ, თუ განზრახვის გარეშე. ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ქმედების ჩადენისას ა.ხ-ს არ გამოუყენებია სპეციალურად სხეულის დასაზიანებლად მომარჯვებული რაიმე მჭრელი, მჩხვლეტავი ან სხვა ისეთი მყარი საგანი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანისათვის მძიმე ან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანების მიყენება. რაც შეეხება ა.ხ-ს მიერ გაშლილი ხელის განზრახ დარტყმას ჯ.ტ-სათვის სახეში, ძნელად სავარაუდო იყო, რომ ეს განზრახვა შედეგის სახით მოიცავდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას. მსჯავრდებულსა და გარდაცვლილს შორის, ფიზიკური აგებულებისა და ძალის თვალსაზრისით, არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი სხვაობა მის სასარგებლოდ, რაც სათანადო საფუძველს იძლეოდა ვარაუდისას, რომ ქმედების ჩადენისას ა.ხ. შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა, ანდა თუნდაც მას ინტელექტუალურად შეცნობილი ჰქონდა გაშლილი ხელის სახეში დარტყმით ისეთი შედეგის დადგომა, როგორცაა სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე დაზიანება ქალა-ტვინის დაზურული ტრავმისა და სისხლჩაქცევის სახით, რადგან ასეთი დასკვნისათვის საქმეში უტყუარი მტკიცებულებები არ მოიპოვებოდა. მსჯავრდებულის დარტყმის ძალა საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ იმისათვის, რომ ჯ.ტ-ს წონასწორობა დაეკარგა და გადავარდნილიყო ხის მიმართულებით, ამასთან, სახის მარცხენა მხარეს მიეღო გარეგანი დაზიანებები ნაჭდეგების სახით – მარცხენა თვალბუდის არეში, მარცხენა ყვრიმალს ქვემოთ და ტუჩების მარცხენა მხარეს. ამდენად, მძიმე დაზიანება – ქალა-ტვინის დაზურული ტრავმისა და სისხლჩაქცევის სახით – რომელმაც საბოლოოდ დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია, უნდა განხილულიყო როგორც ხეზე დაჯახების შედეგი, რაც, თავის მხრივ, მიზეზობრივ კავშირში იყო მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ ქმედებასთან. საქმეში არ არსებობდა რაიმე სარწმუნო მტკიცებულება, რომ ქმედების ჩადენისას ა.ხ. ითვალისწინებდა

ხსენებული მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რისი დამადასტურებელი მტკიცებულება განაჩენშიც არ არის მითითებული. ამიტომ in dubio pro reo-ს პრინციპის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში იმის ვარაუდი, რომ მსჯავრდებულ ა.ხ-ს მოსალოდნელი შედეგის მიმართ შეიძლება ჰქონოდა განზრახი ან თვითიმედოვნებითი დამოკიდებულება, უნდა გადაწყვეტილიყო მის სასარგებლოდ, რადგან გასაჩივრებულ განაჩენში ასეთ ვარაუდს არ გააჩნდა დასაბუთებული საფუძველი.

შემდეგი განსახილველი საკითხი იყო: იმ ვითარებასა და პირობებში, რომელთა არსებობისას ა.ხ. ახორციელებდა თავის ქმედებას, იყო თუ არა შესაძლებელი, გაეთვალისწინებინა იმ მძიმე შედეგის დადგომა, რაც საბოლოოდ მოჰყვა ამ ქმედებას ჯ.ტ-ს სიკვდილის სახით. მომხდარი შემთხვევის გარემოებები მიუთითებდნენ იმაზე, რომ ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით, საშუალო დონის ადამიანსაც კი შეეძლო გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგი და წარმოედგინა მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის განვითარების ისეთი ვარიანტი, რაც რეალურად მოხდა. იმის გაცნობიერება, რომ ადამიანისათვის სახეში ხელის ძლიერმა დარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაცემა, რის შედეგადაც შესაძლოა, მან მიიღოს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, მათ შორის სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება და სიკვდილიც დადგეს, არსებულ ვითარებაში ა.ხ-სათვის სავსებით შესაძლებელი იყო, ვინაიდან ისინი არ იმყოფებოდნენ ისეთ უსაფრთხო ადგილზე, სადაც გამორიცხული იქნებოდა მსგავსი შედეგის დადგომა. ქმედების ჩადენის მომენტში ა.ხ-მ არ გამოიჩინა ელემენტარული წინდახედულება იმასთან მიმართებით, რომ სავსებით შესაძლებელი იყო ჯ.თ. სუფრაზე ან სუფრის გარშემო არსებულ ხის ჯირკვებზე დაცემულიყო და თავი დაერთყა, ანდა ახლოს მდგარ ხეს დასჯახებოდა, როგორც მოხდა კიდევ, და რაც დადასტურებული იყო თვითმხილველი მოწმეების პირდაპირი ჩვენებებით.

ამრიგად, სარწმუნოდ დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ შეცვალა მსჯავრდებულ ა.ხ-ს ქმედების სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია და მისი ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში ა.ხ-მ ჩაიდინა დაუდევრობით.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით

ხულიგნურ ქვენა გრძნობაში იგულისხმება უსაბაბოდ ან სრულიად უმნიშვნელო/მცირე საბაბით ჩადენილი ქმედება. ამასთან, ერთი შეხედვით, ხულიგნური მოტივით ჩადენილი დანაშაულები უმოტივოდ და უმიზეზოდ

გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, რადგან ხულიგნურ ქვენა გრძნობას გააჩნია მკვეთრად გამოხატული ანტიისოციალური ხასიათი, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი თანაცხოვრების ეთიკური ნორმებისა და წესების უგულბებელყოფაში საზოგადოებისადმი უხეში უპატივცემულობის სხვადასხვა ფორმით.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №274აპ-19 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ახალციხის რაიონული სასამართლოს 3.07.2018 წლის განაჩენით ზ.თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ.თ-მ ს.ს-ს, სრულიად უმიზეზოდ, დანა ჩაარტყა გულმკერდის მარცხენა არეში, რითაც მიაყენა სხეულის მძიმე ხარისხის სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.01.2019 წლის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ადვოკატმა და ითხოვა განაჩენის გაუქმება. მისი განმარტებით, საკასაციო პალატამ უნდა დაამკვიდროს ერთიანი პრაქტიკა და განსაზღვროს, თუ რომელი დანაშაული ჩაიდინა მსჯავრდებულმა – ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, თუ ეს ქმედება ჩადენილია ხულიგნური ქვენა გრძნობით.

საკასაციო პალატის განმარტება: ხულიგნურ ქვენა გრძნობაში იგულისხმება უსაბაბოდ ან სრულიად უმნიშვნელო/მცირე საბაბით (მაგ. დაზარალებულმა არ მოუკიდა სიგარეტს, გაიცინა, არ მიაქცია ყურადღება ხულიგანს და ა.შ.) ჩადენილი ქმედება. ამასთან, ერთი შეხედვით, ხულიგნური მოტივით ჩადენილი დანაშაულები უმოტივოდ და უმიზეზოდ გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, რადგან ხულიგნურ ქვენა გრძნობას გააჩნია მკვეთრად გამოხატული ანტიისოციალური ხასიათი, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი თანაცხოვრების ეთიკური ნორმებისა და წესების უგულბებელყოფაში საზოგადოებისადმი უხეში უპატივცემულობის სხვადასხვა ფორმით, რა დროსაც პირი ღიად და აშკარად უპირისპირდება ყველას და ყველაფერს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც პირი სრულიად უსაბაბოდ ან მცირე საბაბით სჩადის დანაშაულს, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მისი ქმედება იმთავითვე წარმოადგენს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ

დანაშაულს, არამედ, როგორც აღინიშნა, ამ დროს აუცილებელია დადგინდეს: პირის მისწრაფება, რომ მას სურდა უხეშად დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი, გამოეხატა თავისი უპატივცემულობა საზოგადოებისა და მისი წევრების მიმართ, რომლის გარეშეც ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილად.

ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ზ.თ-ს ქმედებაში არ იკვეთებოდა ხულიგნური ქვენა გრძნობისათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული ის აუცილებელი ნიშნები როგორებიცაა დამნაშავის ქმედების მკვეთრად გამოხატული ანტიისოციალური ხასიათი და მისი მისწრაფება, რომ უხეშად დაუპირისპირდეს და გამოხატოს თავისი უპატივცემულობა საზოგადოების მიმართ, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ.თ. უნდა გამართლებულიყო ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენის ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ ზ.თ-ს ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ძალადობა

იმისათვის, რომ დადგინდეს პირის უკანონო ქმედებებმა გამოიწვია თუ არა დაზარალებულის ტანჯვა, აუცილებელი არ არის სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის არსებობა, ეს საკითხი წარმოადგენს სასამართლოს შეფასების საგანს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹,126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილი, 126¹-ე მუხლის 1-ლ ნაწილი, 11¹,151-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 აპრილის განმარტება საქმეზე №617აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 20.03.2018 წლის განაჩენით მ.გ-ს ქმედება სსკ-ის 11¹,126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. მ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ე.პ-ს ეპიზოდი) – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 100 საათით; სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ლ.პ-ს ეპიზოდი) – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათით; სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის 1-

ლი ნაწილით (2017 წლის ქმედება) – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათით; სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2018 წლის ქმედება) – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათით.

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და მ.გ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათით. მასვე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაეკისრა მოვალეობები.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. აპელანტი საჩივრით ითხოვდა მ.გ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 11¹,126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით (ლ.პ-ს ნაწილში).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.07.2018 წლის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. კასატორი ითხოვს მსჯავრდებულ მ.გ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 11¹,126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით დასჯადია ძალადობა, ე.ი. სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამდენად, იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს მითითებული მუხლით, სავალდებულოა, რომ სისტემატურმა ცემამ ან სხვაგვარმა ძალადობამ გამოიწვიოს დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა. გამოიწვია თუ არა პირის ქმედებებმა ტანჯვა, პალატის განმარტებით, ეს საკითხი, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოადგენდა სასამართლოს შეფასების საგანს.

წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ლ.პ-ს არ ჩასტარებია სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა და, შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნით მართლაც არ იყო დადგენილი, გამოიწვია თუ არა მ.გ-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებმა მისი ტანჯვა. რა თქმა უნდა, სასურველი და უკეთესი იქნებოდა, თუკი ბრალდების მხარე ლ.პ-ს ჩაუტარებდა ექსპერტიზას და წარმოადგენდა შესაბამის დასკვნას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ დადგენილიყო პირის უკანონო ქმედებებმა გამოიწვია თუ არა დაზარალებულის ტანჯვა, აუცილებელი არ იყო სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის არსებობა, ეს საკითხი წარმოადგენდა სასამართლოს შეფასების საგანს – საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზიდან გამომდინარე. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდების მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადგინდებოდა, რომ ლ.პ-ს ასაკისა თუ

ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ქმედებებმა გამოიწვია მისი ტანჯვა და მხოლოდ ის ფაქტი, რომ დაზარალებული ხანდაზმულია და მსჯავრდებული სისტემატურად ძალადობდა მასზე, არ იყო საკმარისი სსკ-ის 11¹,126-ე მუხლის 1²-ლი ნაწილით მისი დამნაშავედ ცნობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან ბრძოლის პროცესში სასამართლო სისტემას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ვინაიდან სწორედ მან უნდა დააკისროს მოძალადეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუმცა, ბუნებრივია, აღნიშნული არ უნდა მოხდეს ბრალდებულის საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებების დარღვევის ხარჯზე და პირის მსჯავრდება უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მიუთითებს პირის ბრალეულობაზე.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის განმარტება საქმეზე №614აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

გ.ქ-ს ბრალი დაედო ოჯახურ ძალადობაში, ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.05.2017 წლის განაჩენით გ.ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.09.2017 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატის განმარტება: გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია „ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთის შესახებ“ მოუწოდებს სახელმწიფოებს განახორციელონ ჯეროვანი ქმედებები, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დასაჯონ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის

განმახორციელებელი პირები, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ჩაიდენს მოცემულ ქმედებებს, სახელმწიფო თუ კერძო პირი.

საქართველოს პარლამენტის 5.04.2017 წლის დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“), რომელიც მიზნად ისახავს ქალების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისაგან. დასახელებული კონვენციის 35-ე მუხლით დადგენილია ყოველი ქალის ფიზიკური ძალადობისგან დაცვის ვალდებულება. კონვენციის 46-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს მეუღლის მიმართ ჩადენილი ძალადობა.

„სტამბოლის კონვენცია“ მოუწოდებს ხელშემკვრელ სახელწიფოებს, გაატარონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმისათვის, რომ ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულები იყოს დასჯადი „ეფექტური, თანაზომიერი და გადამაფიქრებელი“ სანქციის მეშვეობით, მათი სიმძიმეიდან გამომდინარე. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტი ყველაზე მრავლისმომცველია ამ სფეროში და მიზნად ისახავს ნულოვანი ტოლერანტობის მიღწევას ამგვარი კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან ბრძოლის პროცესში სასამართლო სისტემას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ვინაიდან სწორედ მან უნდა დააკისროს მოძალადეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუმცა, ბუნებრივია, აღნიშნული არ უნდა მოხდეს ბრალდებულის საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებების დარღვევის ხარჯზე და პირის მსჯავრდება უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მიუთითებს პირის ბრალეულობაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მტკიცებულებათა არასაკმარისობის შესახებ და მიიჩნია, რომ გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დგინდებოდა, რომ გ.ქ-მ იძალადა მეუღლეზე, კერძოდ:

დაზარალებულმა მ.წ-მ და მოწმე მ.ქ-მ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ისარგებლეს სსსკ-ის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მოწმისათვის გარანტირებული უფლებით და სასამართლო სხდომაზე არ მისცეს ჩვენება, როგორც გ.ქ-ს ახლო ნათესავებმა. გ.ქ-მ ისარგებლა სსსკ-ის 38-ე მუხლით გარანტირებული უფლებით და უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. სააპელაციო სასამართლოში, კანონით დადგენილი წესით, მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა მისცა შემთხვევის დღეს, მეუღლის მიერ მასზე ძალადობის განხორციელების შესახებ ჩვენება.

ამდენად, დაზარალებულის ჩვენება, რომელიც დეტალურად და დამაჯერებლად მიუთითებდა მეუღლის მხრიდან განხორციელებულ ძალადობაზე, სამედიცინო

ექსპერტიზის დასკვნა და გამომძიებლის ჩვენება, რომლებიც ამყარებდნენ დაზარალებულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, პალატის მოსაზრებით, ქმნიდა საკმარის მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა გ.ქ-ს მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, გ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათი.

ოჯახში ძალადობა

ოჯახური დანაშაული, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მოწმეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა, მისი ოჯახის წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს. ამიტომ ოჯახური დანაშაულის ხასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზარალებულის ჩვენების არარსებობისას, ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის 1-ლი, 11¹,151-ე მუხლის 1-ლი და 11¹,143-ე მუხლის 1-ლი ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №258აპ-19 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

გორის რაიონული სასამართლოს 8.08.2018 წლის განაჩენით შ.მ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (15.09.2016 წლის ეპიზოდი), 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (8.01.2018 წლის ეპიზოდი), 11¹,151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11¹,143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში და გამართლდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.02.2019 წლის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი შ.მ-ს მიმართ გაუქმდა. შ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (15.09.2016 წლის ეპიზოდი), 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (8.01.2018 წლის ეპიზოდი), 11¹,151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11¹,143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი – შ.მ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ოჯახური დანაშაული, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მოწმეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა, მისი ოჯახის წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს. ამიტომ ოჯახური დანაშაულის ხასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზარალებულის ჩვენების არარსებობისას ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, დაზარალებულმა ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და სასამართლო განხილვისას არ მისცა ჩვენება მეუღლის წინააღმდეგ, თუმცა პალატამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებებს, რომ პოლიციაში შეტყობინების ავტორი იყო თავად მსხვერპლი, ბრალდებული დააკავეს შეტყობინების შესვლიდან მცირე დროში, დაზარალებულის განცხადების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შ.მ-მ. დაზარალებულს სასამართლო-სამედიცინო განყოფილების შენობაში ჩაუტარეს კვლევა, რის საფუძველზეც გაიცა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც დეტალურადა იყო აღწერილი ის დაზიანებები, რაც გამოკვლევისას აღენიშნებოდა მას, ხოლო ექსპერტიზის კვლევით ნაწილში მითითებული იყო შესამოწმებელი პირის განმარტება იმის თაობაზე, რომ დაზარალებულ მ.მ-ს ხელის დარტყმის შედეგად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შ.მ-მ. ამდენად, შემთხვევიდან (ძალადობიდან და თავისუფლების უკანონო აღკვეთიდან) მცირე დროის გასვლის შემდეგ დაზარალებული ეკონტაქტებოდა შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებს, შესაბამისად, წერილობით მტკიცებულებებში დაფიქსირებული განმარტებები განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენდა მნიშვნელოვან ინფორმაციას და დროის ამ მცირე მონაკვეთში მსხვერპლს ობიექტურად არ ჰქონდა შესაძლებლობა ფაქტები დაემახინჯებინა. გარდა ამისა, ი.ფ-ს და კ.ბ-ს დანაშაულებრივ ფაქტთან ჰქონდათ მყისიერი შეხება, კერძოდ, 112-ის გამოძახებაზე მათ მოახდინეს სწრაფი რეაგირება და იმდენად მცირე დროში მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, რომ იქ დახვდათ ფრინველების სადგომში გარედან, ცულის მიბჯენით ჩაკეტილი მ.მ.. ისინი ჩვენებებში დეტალურად გადმოსცემდნენ განვითარებულ მოვლენებსა და დაზარალებულის ფსიქოემოციურ მდგომარეობას, შესაბამისად, მათი ჩვენებები განსახილველ საქმეში წარმოდგენდა უტყუარ და სანდო მტკიცებულებას ბრალის დასადასტურებლად. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ქმნიდა იმ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით საკმარისი იყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: შ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი

ნაწილით (8.01.2018 წლის ეპიზოდი), 11¹,143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

5.2 დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება

გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი სახეზეა მაშინ, როცა ქმედება გარეგნულად სქესობრივი კავშირის იმიტაციას ქმნის, ჰგავს და აღიქმება სექსუალურ კავშირად, მაგრამ განხორციელებულია არახუნებრივი ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ არის გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი, თუნდაც ასეთი ქმედება პირს სექსუალურ კმაყოფილებას ანიჭებდეს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები, 11¹,138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (30.05.2018 წლამდე მოქმედი კანონი), მე-15 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტება 2017 წლის 18 იანვრის საქმეზე №466აპ-16 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 22.10.2015 წლის განაჩენით ა.ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა; 11¹,138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 2000 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით ა.ს-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი.

გაუპატიურებისთვის ნასამართლევა ა.ს-მ, საცხოვრებელ სახლში, ძალადობის გამოყენებით სქესობრივი კავშირი დაამყარა თოთხმეტ წელს მიუღწეველ დისშვილთან – თ.ლ-თან. აღნიშნულის შემდეგ დაემუქრა მოკვლით არასრულწლოვან დაზარალებულს და პერიოდულად, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ამყარებდა მასთან სქესობრივ კონტაქტს.

ა.ს-მ 2013 წლის გაზაფხულზე, საცხოვრებელ სახლში, ძალადობითა და ძალადობის მუქარით ოთხი დღის განმავლობაში თოთხმეტ წელს მიუღწეველ

დისშვილ თ.ლ-თან გაუკუღმართებული ფორმით დაამყარა სექსუალური კონტაქტი. იგივე გაიმეორა 2014 წლის დეკემბერში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 4.05.2016 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ა.ს. ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით იგულისხმება არაბუნებრივი სექსუალური კონტაქტის ნებისმიერი ფორმა. გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი სახეზეა მაშინ, როცა ქმედება გარეგნულად სქესობრივი კავშირის იმიტაციას ქმნის, ჰგავს და აღიქმება სექსუალურ კავშირად, მაგრამ განხორციელებულია არაბუნებრივი ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ არის გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტი, თუნდაც ასეთი ქმედება პირს სექსუალურ კმაყოფილებას ანიჭებდეს.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ა.ს-ს მიერ სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, ვინაიდან არც დაზარალებულის ჩვენება და არც რაიმე სხვა მტკიცებულება არ მიუთითებდა ა.ს-ს მიერ თ.ლ-ს მიმართ გაუკუღმართებული ფორმით სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დამყარების შესახებ.

სსკ-ის 11¹,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სსკ-ის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. სსკ-ის 137-ე მუხლზე კანონმდებელს ამგვარი დათქმა არ გაუკეთებია. რაც შეეხება ადრე ამავე მუხლით მსჯავრდებას, ა.ს. გასამართლებული იყო სსკ-ის 17,117-ე (1960 წლის რედ.) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 17,117-ე (1960 წლის რედ.) მუხლის შესაბამისობა მოქმედი სსკ-ის 137-ე მუხლთან არ იყო დადგენილი კანონით გათვალისწინებული წესით, სსკ-ის მე-15 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოირიცხება სსკ-ის 17,117-ე (1960 წლის რედ.) მუხლით ნასამართლეთი ა.ს-ის სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალად შერაცხვის სამართლებრივი შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ა.ს. გამართლდა სსკ-ის 11¹,138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 11¹,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ა.ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების

აღკვეთა. საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით ა.ს-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი.

ანალოგიურია: სუსგ №251აპ-17, 27.09.2017

6.5. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიცირება წამებიდან დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაზე

მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა სამართლებრივად გამართლებული საფუძველი მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების წამებად დაკვალიფიცირებისთვის, რადგან არ დადგინდა ის სუბიექტური ნიშანი, რაც აუცილებელია წამების იურიდიული შემაღგენლობის არსებობისათვის, კერძოდ, დაზარალებულის დასჯის სპეციალური მიზანი.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹,144¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, მე-11¹,144³-ე მუხლის 1-ლ ნაწილი, 11¹,143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 01 ნოემბრის განმარტება საქმეზე №356აპ-19 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 13.11.2018 წლის განაჩენით გ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹,143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 11¹,144¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.03.2019 წლის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა. კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ მან ნამდვილად სცემა მეუღლეს, თუმცა არ უწამებია და არც ხელ-ფეხის შეკვრის გზით თავისუფლება აღუკვეთავს. ამიტომ მისი ქმედება წარმოადგენდა სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა სამართლებრივად გამართლებული საფუძველი მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების წამებად დაკვალიფიცირებისთვის, რადგან

არ დადგინდა ის სუბიექტური ნიშანი, რაც აუცილებელია წამების იურიდიული შემადგენლობის არსებობისათვის, კერძოდ, დაზარალებულის დასჯის სპეციალური მიზანი. საკასაციო პალატის დასკვნით, მსჯავრდებულის მოქმედება დაზარალებულისთვის მიყენებული სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის, ასევე მის მიმართ ჩადენილი სხვაგვარი ძალადობის ნაწილში, შეიცავდა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემადგენლობას, როგორცაა დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ესე იგი პირის დამცირება და არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ ტკივილსა და მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის მე-11¹ მუხლითა და 144³-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.03.2019 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის მე-11¹,144¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-11¹,144³-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე;

გ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹,143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 11¹,144³-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

7. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

თავისუფლების უკანონო აღკვეთა არის განზრახი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, როცა მას ფაქტობრივად წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების ყველანაირი შესაძლებლობა. ქმედების აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ პირს არ ჰქონდეს გადაადგილების არანაირი ობიექტური შესაძლებლობა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტები, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.04.2016 წლის განაჩენით ო.მ., ს.თ. და გ.ხ. გამართლდნენ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.12.2016 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი გაუქმდა: ო.მ., ს.თ. და გ.ხ. გამართლდნენ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მათ მიმართ სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რითაც ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.12.2016 წლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და პროკურორმა.

საკასაციო პალატის განმარტება: თავისუფლების უკანონო აღკვეთა არის განზრახვი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, როცა მას ფაქტობრივად წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების ყველანაირი შესაძლებლობა. ქმედების აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ პირს არ ჰქონდეს გადაადგილების არანაირი ობიექტური შესაძლებლობა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ დაზარალებულს ჰქონდა გადაადგილების ობიექტური შესაძლებლობა, რადგან ის მიიყვანეს მდინარე ვ-ს ხეობაში და იქ დატოვეს, ვინაიდან თავისუფლების უკანონო აღკვეთა მიეკუთვნება ფორმალურ დანაშაულთა კატეგორიას და იგი დამთავრებულია თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომენტიდან, რომლის ხანგრძლივობას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ვინაიდან მსჯავრდებულთა ქმედებებში არ დადასტურდა ძარცვის შემადგენლობა შესაბამისად, გამოირიცხა, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება და, ამდენად, დადასტურდა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთა მსჯავრდებულებს სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით არ ჩაუდენიათ.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობით საკასაციო პალატამ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილად მიიჩნია, რომ გ.ხ-მ, ს.თ-მ და ო.მ-მ ჩაიდინეს სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – თავისუფლების უკანონო აღკვეთა,

ვინაიდან სისხლის სამართლის კანონი ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად არ მიიჩნევს მის ჩადენას ჯგუფურად, წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში: გ.ხ., ს.თ. და ო.მ. გამართლდნენ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

ქმედების თავისუფლების უკანონო აღკვეთად დაკვალიფიცირებისათვის, მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის ხარისხს, მთავარია, რომ გადაადგილების უფლება შეიზღუდა მათივე ნების საწინააღმდეგოდ.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტები, 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 1 ნოემბრის განმარტება საქმეზე №275აა-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 6.06.2016 წლის განაჩენით დ.ვ-მ და ვ.ბ-მ ჩაიდინეს თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი პირის მიმართ, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით; დ.ვ-მ ასევე ჩაიდინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ე.ი. სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარითა და დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. დ.ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით 7 წლით, ხოლო სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ დ.ვ-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

ვ.ბ. გამართლდა სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და ვ.ბ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 25,138-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით, ხოლო ადვოკატებმა – თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების გამართლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14.03.2017 წლის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ.ვ-ს ადვოკატმა. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და დ.ვ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატის განმარტება: ქმედების სსკ-ის 143-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის ხარისხს, მთავარია, რომ გადაადგილების უფლება შეიზღუდა მათივე ნების საწინააღმდეგოდ.

პალატამ მიიჩნია, რომ დ.ვ-ს ბრალეულობა სსკ-ის 138-ე და 143-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში უდავოდა იყო დადასტურებული საქმეზე შეკრებილი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით.

პალატამ აღნიშნა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონით შეიცვალა სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლების საკანონმდებლო კონსტრუქციები, რის შესაბამისადაც, სსკ-ის 137-ე მუხლის დისპოზიციამ (ახალი რედ.) მთლიანად მოიცვა სსკ-ის 138-ე მუხლით (ძველი რედ.) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

მითითებული ცვლილების თანახმად, მსჯავრდებულ დ.ვ-ს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრად შერაცხული ქმედება წარმოადგენდა მოქმედი სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს. შესაბამისად, მისი ქმედება სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (ძველი რედ.) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა სასჯელმა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქა სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2017 წლის 4 მაისის რედ.) დანიშნული სასჯელი და დ.ვ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

8. ეკონომიკური დანაშაული

8.1. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ქურდობის მცდელობა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით

მატერიალური ფასეულობა გარეშე პირთაგან შესაძლოა დაცული იყოს როგორც სწრაფი ჩარიცხვის აპარატით, ისე უძრავი ნივთით (მაგ., ჯიბური). ორივე მათგანისათვის საერთო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ პირს, შესაძლებლობა არ აქვს დამატებითი „ძალისხმევის“ გარეშე, იმავე პირობებში დაეუფლოს ნივთს, როგორც ამას ჯიბიდან ნივთის ფარულად დაუფლების შემთხვევაში გააკეთებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან თანხის დაუფლების მცდელობა სხვა საცავში უკანონოდ შეღწევის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №186აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბრალდების დადგენილებით, თელავის რაიონული სასამართლოს 25.12.2015 წლის განაჩენით სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის გასამართლებული ნ.გ. 2016 წლის 15 დეკემბერს ითვლებოდა ნასამართლევად. 2016 წლის 15 დეკემბერს ნ.გ. ლითონის ძალაყინის მეშვეობით ცდილობდა შპს „ს“ კუთვნილი სწრაფი ჩარიცხვის აპარატის საცავში შეღწევისა და იქ არსებული თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებას. პოლიციის თანამშრომლების ჩარევის შედეგად ნ.გ-მ ვერ შეძლო დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა. ჩადენილი ქმედების შედეგად შპს „ს“ შესაძლოა, მისდგომოდა 203.5 ლარის ზიანი.

თელავის რაიონული სასამართლოს 4.09.2017 წლის განაჩენით ნ.გ. გამართლდა სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (სწრაფი ჩარიცხვის აპარატის საცავში შეღწევის მცდელობა); იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2.02.2018 წლის განაჩენით თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ნ.გ. გამართლდა სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ნ.გ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.
კასატორი – მსჯავრდებული ნ.გ. ითხოვდა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: სწრაფი ჩარიცხვის აპარატი მოძრავი ნივთია, ვინაიდან იგი არ მიეკუთვნება იმ შენობა-ნაგებობას, რომელიც მყარად დგას მიწაზე (სამოქ. კოდექსის 148-ე-149-ე მუხლები). დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მისი გადაადგილება რამდენიმე პირის მეშვეობით ან/და შესაბამისი ტექნიკით არის შესაძლებელი. თანხა, რომელსაც აპარატი იღებს, მოთავსებულია კარს მიღმა სპეციალურ კასეტებში, რომლებიც დაცულია და შენახულია იმ დრომდე, სანამ მას სპეციალურად უფლებამოსილი პირი არ გახსნის. გარეშე პირებისგან თანხის დაცვისა და შენახვის ფუნქცია გააჩნია სეიფსაც (რომელსაც სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს საცავად); ანალოგიურად, შესაძლოა, მასში დროებით (და არა მუდმივად) იქნეს შენახული ფული. განსხვავება სეიფსა და სწრაფი ჩარიცხვის აპარატს შორის არის მხოლოდ მათში თანხის მოხვედრის გზაში, კერძოდ, თუ სეიფში თანხას, როგორც წესი, მისი მესაკუთრე ინახავს, აპარატი ფულს პირისაგან მისი ფუნქციების (მაგ., კომუნალური გადასახადის გადახდა) გამოყენების დროს იღებს. აპარატის მიერ მიღებული თანხა წარმოადგენს კონკრეტული პირის (პირების) საკუთრებას, რომელსაც აქვს მოლოდინი, რომ იგი მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისგან დაცულია.

იმისათვის, რათა პირი სწრაფი ჩარიცხვის აპარატში არსებულ ქონებას ფარულად დაეუფლოს, უნდა გააჩნდეს აპარატის გასაღები, ან უნდა გამოიყენოს სპეციალური იარაღი, მაგ. ძალაყინი, ე.წ. „ლომი.“ სხვა შემთხვევაში პირისათვის აპარატიდან მატერიალური ფასეულობის დაუფლება შეუძლებელია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სწრაფი ჩარიცხვის აპარატი მოძრავი ნივთია, მისი ტექნიკური მდგომარეობა პირს არ აძლევს საშუალებას, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაეუფლოს მასში არსებულ მატერიალურ ფასეულობას. თავის მხრივ, რაც უფრო მეტ დაბრკოლებას გადალახავს პირი, მით უფრო საშიშ ხასიათს იძენს მისი ქმედება. მაგალითად, ჩანთიდან ძვირფასი სამკაულის ფარულად ამოღების დროს პირი უგულებელყოფს დადგენილ ნორმას და ლახავს დაზარალებულის საკუთრების უფლებას, ხოლო ე.წ. „ლომით“ ან სხვა მსგავსი იარაღის გამოყენებით აპარატიდან ნივთის დაუფლებით პირი არა მარტო ლახავს საკუთრების უფლებას, არამედ გამოხატავს მზადყოფნას, გადალახოს ის დაბრკოლებაც, რომელიც ნივთის დაუფლებისათვის არის აუცილებელი. აქედან გამომდინარე, გაუმართლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან თანხის დაუფლების (ან დაუფლების მცდელობის) შემთხვევის ქურდობის ტიპურ (მაგ., ჩანთიდან ნივთის ამოღება) შემთხვევასთან

გაიგივება და შესაბამისად, ორივე ქმედების ჩამდენი პირის ერთი და იმავე ნაწილით დასჯა.

ამდენად, მატერიალური ფასეულობა გარეშე პირთაგან შესაძლოა დაცული იყოს როგორც სწრაფი ჩარიცხვის აპარატით, ისე უძრავი ნივთით (მაგ., ჯიხური). ორივე მათგანისათვის საერთო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ პირს შესაძლებლობა არ აქვს დამატებითი „ძალისხმევის“ გარეშე, იმავე პირობებში დაეუფლოს ნივთს, როგორც ამას, მაგალითად, ჯიბიდან ნივთის ფარულად დაუფლების შემთხვევაში გააკეთებდა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება დაწყებული და პირი გასამართლებული იყო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა (იხ. საქმე №464აპ-17 და №478აპ-17). ამ საქმეებში მსჯავრდებულები თანხას სწორედ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან ეუფლებოდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ.გ-ის მიერ სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქურდობის მაკვალიფიცირებელი გარემოების (სხვა საცავში უკანონოდ შეღწევის მცდელობის) ჩადენა საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია. ნ.გ. დამნაშავედ ცნო სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.

ქურდობის მცდელობა, რაც მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევდა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით

გამოკვეთილია განგრძობადი დანაშაული, რაც გრძელდებოდა გარკვეული დროის განმავლობაში და შეწყდა დანაშაულის ბოლო გამოვლინებითა და პოლიციელების მიერ ფაქტზე წასწრებით.

–საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის განმარტება საქმეზე №476აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ჯ.ა-ს ბრალად წარედგინა ქურდობის მცდელობა, რაც მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევდა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით. აღნიშნული ბრალდება გამოიხატა შემდეგში: ჯ.ა-მ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ლომბარდში არსებულ ტექნიკას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, დაახლოებით 00:00 საათზე, ჯ.ა-მ უკანონოდ შეაღწია

ლომბარდში, სადაც პირველ ჯერზე ფარულად დაეუფლა 4595 ლარად ღირებულ, 29 ერთეულ ტექნიკას (პლანშეტებს, მობილურ ტელეფონებსა და ფოტოაპარატებს), რაც გადამალა დაუდგენელ ადგილზე. ამის შემდეგ იგი დაბრუნდა ტექნიკის დარჩენილი ნაწილის დასაუფლებლად, თუმცა მას წაასწრეს პოლიციის თანამშრომლებმა, რის გამოც განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.06.2017 წლის განაჩენით ჯ.ა-ს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა 29 დასახელების ტექნიკის (ღირებული – 4595 ლარად) ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ეპიზოდი. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 ექვსი თვით, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ.ამ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, რაც მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევდა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.05.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობა დამდგარი ზიანის – 4595 ლარად ღირებული, 29 დასახელების ტექნიკის ქურდობის მცდელობის ნაწილშიც.

საკასაციო პალატის განმარტება: გამოკვეთილია განგრძობადი დანაშაული, რაც გრძელდებოდა გარკვეული დროის განმავლობაში და შეწყდა დანაშაულის ბოლო გამოვლინებითა და პოლიციელების მიერ ჯ.ა-ს ფაქტზე წაასწრებით. შესაბამისად, წარმოდგენილი უდავო მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ 2017 წლის 6 მარტს, დაახლოებით 00:00 საათზე, ჯ.ა-მ უკანონოდ შეაღწია ლომბარდის შენობაში, სადაც პირველ ჯერზე ფარულად დაეუფლა 4595 ლარად ღირებულ 29 ერთეულ ტექნიკას. იგი დაბრუნდა ტექნიკის დარჩენილი ნაწილის დასაუფლებლად, თუმცა წაასწრეს პოლიციის თანამშრომლებმა, რის გამოც განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ჯ.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ 4595 ლარად ღირებული, 29 დასახელების ტექნიკის ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დაუფლების ნაწილშიც.

ქურდობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა; მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – ფესტებსა და მიმიკებში – გამოიხატოს.

–საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, იმავე კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის განმარტება საქმეზე №445აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

გ.მ-ს ბრალი დაედო ქურდობაში, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: დაახლოებით 06:00 საათზე, გ.მ. წინასწარი შეთანხმებით, გამოდიებით დაუდგენელ პირთან ერთად, ა.ც-ს სასურსათო მაღაზიიდან, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯგუფურად დაეუფლა ორ ბოთლ ალკოჰოლურ სასმელს, რის შედეგადაც დაზარალებულს მიაღდა 92 ლარის ქონებრივი ზიანი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 18.01.2018 წლის განაჩენით გ.მ-ს ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე. გ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა გ.მ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ისეთი სასჯელის შეფარდება, რაც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთასთან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 15.05.2018 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელიც ითხოვდა მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის

განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია (იხ. გადაწყვეტილება №618აპ-15 საქმეზე), რომ წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა; მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – ჟესტებსა და მიმიკებში – გამოიხატოს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატის მიერ გამოკვლეული ვიდეოჩანაწერებითა და საქმის მასალებით უტყუარად დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ გ.მ. გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ახორციელებდა ქურდობის ობიექტურ შემადგენლობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შეიტანა ცვლილება და მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლ ნაწილიდან გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

ქურდობა

ქმედების ქურდობად დაკვალიფიცირებისთვის სავალდებულოა, პირი სხვის ნივთს დაეუფლოს. ამასთან, ნივთის სხვის საკუთრებაში არსებობის ფაქტი უტყუარად უნდა იყოს დადასტურებული და იგი არ უნდა ტოვებდეს კითხვებს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის განმარტება საქმეზე №170აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 1.08.2017 წლის განაჩენით გ.შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 12 წლით; სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით; საბოლოოდ გ.შ-ს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა – 12 წლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.01.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული გ.შ. ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: ქმედების ქურდობად დაკვალიფიცირებისთვის სავალდებულოა, პირი სხვის ნივთს დაეუფლოს. ამასთან, ნივთის სხვის საკუთრებაში არსებობის ფაქტი უტყუარად უნდა იყოს დადასტურებული და იგი არ უნდა ტოვებდეს კითხვებს. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულ გ.კ-სა და მსჯავრდებულის დედის – თ.კ-ის ჩვენებებით დადასტურდა, რომ მაღაზიამ თავის თანამშრომელს – თ.კ-ს უფლება მისცა, თავისი სურვილისამებრ, მაღაზიიდან აელო ნებისმიერი ნივთი 50 ლარის ფარგლებში. საჩუქრის ოჯახის წევრის მიერ შერჩევა აკრძალული არ იყო. საქმის მასალების თანახმად, გ.შ-მ სწორედ ღირექტორის მიერ მითითებულ თვეში ნებადართული ღირებულების ფარგლებში შეარჩია საჩუქარი. ამდენად, საჩუქრის მიღების ვადა და მისი ღირებულება შეესაბამებოდა დადგენილ პირობებს. აღსანიშნავია, ასევე, რომ დაზარალებულს ბრალდებულთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა და მაღაზიამ 40 ლარად ღირებული სპორტული შარვალი მიიჩნია სწორედ იმ საჩუქრად, რომლის შერჩევის უფლებაც თ.კ-ს გააჩნდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: გ.შ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. დანარჩენ ნაწილში განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული.

ძარცვა

ქურდობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანი მისი ფარული ხასიათია, რომელიც ქმედების სხვა პირობებთან შეუმჩნეველად ჩადენას გულისხმობს. რაც შეეხება ძარცვას, მისი ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია დანაშაულის აშკარად, სხვა პირობების ხილულად ჩადენა. ორივე მათგანი დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, რაც პირი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლება სხვის ნივთს და მისი განკარგვის რეალური შესაძლებლობა ექნება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტები, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განმარტება საქმეზე №13აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 23.05.2016 წლის განაჩენით: თ.გ-ს და დ.კ-ს ქმედებები სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე

მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე. თ.გ-ს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, ხოლო დ.კ-ს – თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 22.11.2016 წლის განაჩენით უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი.

კასატორი – პროკურორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და უფრო მკაცრი სასჯელების შეფარდებას.

საკასაციო პალატის განმარტება: ქურდობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანი მისი ფარული ხასიათია, რომელიც ქმედების სხვა პირთაგან შეუმჩნეველად ჩადენას გულისხმობს. რაც შეეხება ძარცვას, მისი ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია დანაშაულის აშკარად, სხვა პირთათვის ხილულად ჩადენა. ორივე მათგანი დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, რაც პირი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლება სხვის ნივთს და მისი განკარგვის რეალური შესაძლებლობა ექნება. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ქმედების შემადგენლობის განხორციელება ნ.ბ-ს საცხოვრებელ სახლში ფარულად დაიწყო, მაგრამ ქმედების შემადგენლობის დასრულებამდე ობიექტური მხარე უწყვეტად ფარული არ იყო. დაზარალებულის ჩვენების თანახმად, სახლში მისვლის დროს მან დაინახა თავისი საცხოვრებელი სახლის აივანზე მდგარი უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი. დაზარალებულის დაძახების შემდეგ, საცხოვრებელი სახლის ფანჯრიდან გადახტა კიდევ ერთი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც თან ნივთი ეჭირა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დამნაშავის ფანჯრიდან გადახტომის დროს ქმედების შემადგენლობა დასრულებული არ იყო, რადგან ნივთის თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობა დამნაშავეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ამდენად, აღნიშნული მომენტიდან დამნაშავეთა ქმედების სუბიექტური შემადგენლობა – განზრახვა დანაშაულის ფარულად ჩადენისკენ მიმართული აღარ იყო. ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მეორე პირი ფანჯრიდან ნ.ბ-ს დაძახების შემდეგ გადახტა მიუთითებდა შემთხვევის ადგილას სხვა პირის ყოფნის გაცნობიერების ფაქტზე, რის გამოც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ.გ-მ და დ.კ-მ ნ.ბ-ს საცხოვრებელი სახლიდან ნივთების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად ჩაიდინეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულების ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე

მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე. თ.გ. და დ.კ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ: თ.გ-ს 6 წლით, ხოლო დ.კ-ს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ძარცვის გამიჯვნა თაღლითობისგან

ძარცვა მიეკუთვნება დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას და იგი დამთავრებულია ქონების ფაქტობრივი დაუფლების მომენტიდან, რის შედეგადაც პირს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი შეხედულებით გამოიყენოს სხვისი ქონება. ნივთის აშკარად დაუფლება ხდება მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის თანდასწრებით, ამასთან, აუცილებელია, მძარცველს შეგნებული ჰქონდეს მისი ქმედების აშკარა ხასიათი. ძარცვა აქტიური მოქმედებაა და გამოიხატება სხვისი ნივთის აშკარა დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

თაღლითობის დროს ქონების გადაცემა დამნაშავისათვის ხდება ნებაყოფლობით, თვით მესაკუთრის მიერ. ობიექტური მხრივ, თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს, ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა მოტყუება, რაც თავისთავად, არ გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლებას, მაგრამ მისი დახმარებით ხდება ძირითადი მოქმედების შესრულების უზრუნველყოფა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 მარტის განმარტება საქმეზე №566აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.12.2017 წლის განაჩენით ა.დ-ის ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე. ა.დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ქურდობისათვის ორჯერ ნასამართლევნი ა.დ. ბათუმში, მდებარე რესტორან „მ-ს“ მიმდებარე ტერიტორიიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაეუფლა დ.ც-ის კუთვნილ, 80 ლარად ღირებულ მობილურ ტელეფონს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 7.06.2018 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და პროკურორმა. მსჯავრდებული ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, პროკურორი – მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

საკასაციო პალატის განმარტება: ძარცვა მიეკუთვნება დანაშაულის მატერიალურ შემაღენლობას და იგი დამთავრებულია ქონების ფაქტობრივი დაუფლების მომენტიდან, რის შედეგადაც პირს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი შეხედულებით გამოიყენოს სხვისი ქონება. ნივთის აშკარად დაუფლება ხდება მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის თანდასწრებით, ამასთან, აუცილებელია, მძარცველს შეგნებული ჰქონდეს მისი ქმედების აშკარა ხასიათი. ძარცვა აქტიური მოქმედებაა და გამოიხატება სხვისი ნივთის აშკარა დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

თაღლითობა დასჯად ქმედებად მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებას მოტყუებით. თაღლითობის დროს ქონების გადაცემა დამნაშავისათვის ხდება ნებაყოფლობით, თვით მესაკუთრის მიერ. ობიექტური მხრივ, თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს, ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა მოტყუება, რაც თავისთავად, არ გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლებას, მაგრამ მისი დახმარებით ხდება ძირითადი მოქმედების შესრულების უზრუნველყოფა. ამ დროს აუცილებელია დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ასევე აუცილებელია დადგინდეს ბრალდებულის მხრიდან მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა აღნიშნული ქმედების განხორციელებაში. თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური შემაღენლობის სავალდებულო ნიშანი – მოტყუება გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, კონტრაგენტის დეზინფორმაციას, წინასწარი შეცნობით მის შეცდომაში შეყვანას, ხოლო მისი შეცდომაში შეყვანა შეიძლება განხორციელდეს წინასწარი შეცნობით ცრუ მონაცემების შეტყობინების საფუძველზე ან იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დაფარვით, რომლის შეტყობინება სავალდებულო იყო დაზარალებულისათვის.

გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის ქმედებაში არ არსებობდა თაღლითობის სუბიექტური მხარის განმსაზღვრელი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი – სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება. მსჯავრდებულმა მოტყუების ხერხი გამოიყენა დაზარალებულის ტელეფონის აშკარა დაუფლების, ანუ ძარცვის ჩადენის მიზნით. შესაბამისად, მსჯავრდებულის მიერ ტელეფონის დაუფლებას ჰქონდა აშკარა

ხასიათი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ამ უკანასკნელს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ აშკარად ეუფლებოდა სხვის ნივთს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება. ა.დ-ის ქმედება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ყაჩაღობა

ყაჩაღობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. ყაჩაღობის დროს პირი თავდასხმის გამოყენებით ზემოქმედებს დაზარალებულზე, რათა სხვის მოძრავ ნივთს დაეუფლოს. ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დადგინდეს, თუ დაზარალებულმა როგორ აღიქვა და შეაფასა მის მიმართ გამოთქმული მუქარის შინაარსი.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 20 სექტემბრის განმარტება საქმეზე №191აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 14.06.2016 წლის განაჩენით ზ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 10.02.2017 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ზ.ქ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და ზ.ქ-ს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი – პროკურორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, და ზ.ქ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საკასაციო პალატის განმარტება: ყაჩაღობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით, რასაც თან

ერთვის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. ყაჩაღობის დროს პირი თავდასხმის გამოყენებით ზემოქმედებს დაზარალებულზე, რათა სხვის მოძრავ ნივთს დაეუფლოს. ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დადგინდეს, თუ დაზარალებულმა როგორ აღიქვა და შეაფასა მის მიმართ გამოთქმული მუქარის შინაარსი. რაც შეეხება ძარცვას, სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია დანაშაულის აშკარად, სხვა პირთათვის ხილულად ჩადენა და მას თავდასხმის ელემენტი არ გააჩნია. დაზარალებულ ი.ბ-ს ჩვენებით დადგენილი იყო, რომ ზ.ქ-მ ქონების დაუფლების მიზნით იარაღი გამოიყენა, კერძოდ, მან ჯიბეში ხელი ჩაიყო და მოულოდნელად პრიალა ზედაპირის მქონე, წვეტიანი საგანი ამოიღო, რომელიც ი.ბ-მ დანად აღიქვა. აღნიშნულის გამო დაზარალებული ძლიერ შეშინდა და იქ მყოფ თანამშრომელს ყვირილით მოუხმო დასახმარებლად. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ იარაღთან მიმსგავსებული საგნით ობიექტურად შესაძლოა, პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქროს, მაგრამ თუ დაზარალებულმა იარაღი ნამდვილად აღიქვა, მას შესაძლოა, დაეუფლოს შიში და გახდეს იძულებული, ნების საწინააღმდეგოდ, დათმოს ქონება. ამდენად, ზ.ქ-მ დაზარალებულს მოულოდნელად, დანისმაგვარი საგნის გამოყენებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემა მოსთხოვა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ.ქ-მ ჩაიდინა ყაჩაღობა, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ყველა ელემენტი უტყუარად იყო დადასტურებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ზ.ქ-ს ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ყაჩაღობა

ყაჩაღობა, ისევე როგორც საკუთრების ხელმყოფი სხვა დანაშაულები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა გარეგნულად სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს, მაგრამ მისი გამოვლენის თითოეული ასეთი ფორმა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ამ დანაშაულის სამართლებრივ არსს. საამისოდ მთავარია, რომ დაზარალებულს გაცნობიერებული ჰქონდეს შემდეგი გარემოებები: პირველი ის, რომ მასზე ხორციელდება თავდასხმა; მეორე – ამ თავდასხმას ახლავს ისეთი ძალადობა ანდა ძალადობის მუქარა, რაც საფრთხის შემცველია მისი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის; და მესამე – აღნიშნული თავდასხმა ხორციელდება მისი კუთვნილი თუ მის მფლობელობაში არსებული თანხის ან სხვა ქონების მისაკუთრების მიზნით.

–საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი; 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 6 ივნისის განმარტება საქმეზე №789 აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.12.2017 წლის განაჩენით გ.ს. და გ.ო. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ: გ.ს-ს – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, გ.ო.-ს განაჩენთა ერთობლიობით – თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: გ.ო. და გ.ს. თავს დაესხნენ თბილისში განთავსებულ სასურსათო მაღაზიის მოლარეს. გ.ს-მ ძალის გამოყენებით შებოჭა მოლარე და პირზე ააფარა ხელი, ხოლო გ.ო-მ დაიწყო მაღაზიის სალაროდან თანხის ამოღება. დაზარალებულმა თავდამსხმელებს გაუწია წინააღმდეგობა. იგი ცდილობდა თავის გათავისუფლებას და დაყვირებას, რის გამოც გ.ს. მას ურტყამდა სახეში, შედეგად მოლარემ მიიღო ქვედა ყბის მოტეხილობა. გ.ო. მაღაზიის სალაროდან დაეუფლა თანხას – 350 ლარსა და პოლიეთილენის პარკს, რომელშიც მოთავსებული იყო 300 ლარად ღირებული სიგარეტები, რის შემდეგაც ორივე თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.11.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: გ.ს-ს და გ.ო-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებზე და აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის გ.ს-ს მიესაჯა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, გ.ო-ს, განაჩენთა ერთობლიობით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

დაცვის მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულების გამართლებას, პროკურორი – მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატის განმარტება: სააპელაციო პალატა ყაჩაღობის გამომრიცხველ ერთ-ერთ არგუმენტად უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულები დაზარალებულს არ დამუქრებიან, არც რაიმე მოუთხოვიათ მისთვის და არც იარაღის დემონსტრირებისთვის მიუმართავთ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში მოიპოვებოდა

პირდაპირ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რითაც ყაჩაღობის შემადგენლობის ისეთი აუცილებელი ობიექტური ნიშანი იყო გამოკვეთილი, როგორც არის – ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. ყაჩაღობა, ისევე, როგორც საკუთრების ხელმყოფი სხვა დანაშაულები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა, გარეგნულად სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს, მაგრამ მისი გამოვლენის თითოეული ასეთი ფორმა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ამ დანაშაულის სამართლებრივ არსს. საამისოდ მთავარია, რომ დაზარალებულს გაცნობიერებული ჰქონდეს შემდეგი გარემოებები: პირველი ის, რომ მასზე ხორციელდება თავდასხმა; მეორე – ამ თავდასხმას ახლავს ისეთი ძალადობა ანდა ძალადობის მუქარა, რაც საფრთხის შემცველია მისი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის; და მესამე – აღნიშნული თავდასხმა ხორციელდება მისი კუთვნილი თუ მის მფლობელობაში არსებული თანხის ან სხვა ქონების მისაკუთრების მიზნით. ამიტომ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულზე ამგვარი თავდასხმისას დამნაშავის ქმედების ხასიათი და შინაარსი პირდაპირ ააშკარავებს და დაზარალებულისთვის საცნაურს ხდის ქონების დაუფლებისა და მისაკუთრების მიზანს, ასეთი ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის სრულიად არ არის აუცილებელი ვერბალური ან სხვა სახით გამოხატული კომუნიკაცია მოძალადისა დაზარალებულთან. ძალიან ხშირად დამნაშავის მოქმედების სუბიექტურ შინაარსს პირდაპირ და სრულიად არაორაზროვნად გადმოსცემს ამ მოქმედების გარეგნული ობიექტური მხარე. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულმა კვილი დაიწყო ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა სახეში რამდენჯერმე მუშტი დაარტყა, ხოლო მეორე მაღაზიაში არსებული თანხისა და ნივთების დაუფლებას შეუდგა. ამდენად, უდავოა, რომ დაზარალებულისათვის სრულიად ცხადი გახდა მსჯავრდებულთა მოქმედების მიზანი, რისთვისაც მათი მხრიდან ქონების გადაცემის მოთხოვნის წარდგენა საერთოდ აღარ იყო საჭირო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით დადასტურებული იყო მსჯავრდებულების მიერ მაღაზიის მოლარეზე ყაჩაღური თავდასხმის ჩადენა, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება და მსჯავრდებულების ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

ყაჩაღობა

ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია თავდასხმისა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა, რომელიც, თავის მხრივ,

ჩადენილი უნდა იყოს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 25,179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 120-ე მუხლი, 25,120-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ივლისის განმარტება საქმეზე №40აპ-19 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.03.2018 წლის განაჩენით: ბ.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 379-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ბ.კ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 25,179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.11.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ბ.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 379-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ზ.ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

ა.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 25,179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას და გამართლებულ ზ.ქ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. მსჯავრდებულების ბ.კ-ს და ა.ა-ს ადვოკატები – მსჯავრდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია თავდასხმისა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა, რომელიც, თავის მხრივ, ჩადენილი უნდა იყოს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ.კ-ს ამოდრავებდა შურისძიების მოტივი. მას სურდა დ.რ-ს გასწორებოდა ძველი წყენის გამო და მისთვის სამაგიერო გადაეხადა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითა და ანალიზის შედეგად საკასაციო პალატამ ბ.კ-ს ქმედებაში ვერ დაადგინა ყაჩაღობის შემადგენლობის ყველა ნიშანი, თუმცა მიიჩნია, რომ მის ქმედებაში გამოკვეთილი იყო სსკ-ის 120-ე მუხლის შემადგენლობა (14.06.2017 წელს მოქმედი რედ.) – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია.

საკასაციო პალატამ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ ა.ა-მ დაზარალებულის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში ფიზიკური დახმარება გაუწია ბ.კ-ს, რაც გამოიხატა საკუთარი ავტომობილით მის გადაყვანაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მსჯავრდებულების ბ.კ-ს და ა.ა-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ბ.კ-ის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 120-ე მუხლზე; ბ.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 120-ე მუხლით (14.06.2017 წელს მოქმედი რედ.) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით. სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 379-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებთან ერთობლიობით, საბოლოოდ ბ.კ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

ა.ა-ს ქმედება სსკ-ის 25,179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,120-ე მუხლზე (14.06.2017 წელს მოქმედი რედ.), იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ აღნიშნული მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ზ.ქ-ს გამართლების ნაწილში დარჩა უცვლელად.

თაღლითობა

თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთების მიზნით სხვისი ქონების დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. მართლწინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის მესაკუთრე ან მისი კანონიერი მფლობელი და მის მიერ ქონების დაუფლება, ან ქონებრივი უფლების მიღება ხდება უკანონოდ.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ივნისის განმარტება საქმეზე №112აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2.08.2016 წლის განაჩენით ქ.ს. გამართლდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; ქ.ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ: სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ.დ. გამართლდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. რ.დ-ს ქმედება სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. რ.დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ: სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.01.2017 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა ქ.ს-მ, რ.დ-მ და პროკურორმა.

საკასაციო პალატის განმარტება: თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთების მიზნით სხვისი ქონების დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. მართლწინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის მესაკუთრე ან მისი კანონიერი მფლობელი და მის მიერ ქონების დაუფლება, ან ქონებრივი უფლების მიღება ხდება უკანონოდ. აღნიშნული დანაშაული წარმოადგენს შედეგიან დელიქტს და დამთავრებულია სხვისი ნივთის დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების მომენტიდან. თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობა კი პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება,

რა დროსაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა. ამასთან, ქმედების განხორციელებისას დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს ანგარების მოტივი და მიზანი.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულები ქ.ს. და რ.დ. უდანაშაულოდ ცნო სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (24.09.2015 წლის – ზ. ს-ს ეპიზოდი) იმ მოტივით, რომ ქ.ს-სა და რ.დ-ს ქმედებაში არ არსებობდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, ვინაიდან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის შემდეგ ქ.ს-მ სესხის თანხა სრულად დაუბრუნა იპოთეკარ ზ.ს-ს და მას რაიმე ზიანი არ მისდგომია.

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასაბუთებას და მიუთითა, რომ საქმეში უდავოდ ცნობილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილი იყო, რომ ქ.ს-ს სჭირდებოდა თანხა ვალების დასაფარად. საცხოვრებელი ბინა წარმოადგენდა მისი ძმის – ლ. ს-ს საკუთრებას. ქ.ს-მ იცოდა, რომ ლ. არ დათანხმდებოდა სახლის იპოთეკით დატვირთვას, რის გამოც მან გადაწყვიტა სესხის მისგან მალულად, მოტყუებით აღება, მისივე ბინის უზრუნველყოფით. ქ.ს-ს მიზანს წარმოადგენდა ძმის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოყენებით ქონებრივი სარგებლის მიღება მოტყუებით, რის შესახებაც არა მხოლოდ იცოდა რ.დ-მ, არამედ თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდა მის განხორციელებაში. ის ფაქტი, რომ ქ.ს-მ სრულად დაუბრუნა თანხა იპოთეკარ ზ.ს-ს, მსჯავრდებულების ქმედებაში არ გამოირიცხავდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს. აღნიშნულ ეპიზოდში გამოკვეთილი იყო დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი და იგი დამთავრებული იყო იმ მომენტიდან, როდესაც ქ.ს-მ და რ.დ-მ შეაცდინეს ნოტარიუსი და ვითომდა ლ.ს-ს სახელით, მოტყუებით გააფორმეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რის შედეგადაც ლ.ს-ს იპოთეკარის სასარგებლოდ წარმოეშვა – 10000 აშშ დოლარის ვალდებულება. შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ როდის, ან საერთოდ დაუბრუნა თუ არა ქ.ს-მ ნასესხები თანხა იპოთეკარ ზ.ს-ს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ქ.ს. და მ.დ. (ზემოთ აღნიშნულ ბრალდებებთან ერთად) ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (24.09.2015 წლის – ზ.ს-ს ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

თაღლითობა

თაღლითობის უმრავლეს შემთხვევაში მოტყუებული დაზარალებული ყოველთვის თავისი ნებით ანუ „ნებაყოფლობით“ გადასცემს დამნაშავეს თავის ქონებას ან ქონებაზე უფლებას. ამასთან აშკარაა, რომ დაზარალებულის ასეთი ნება ვერ გახდება დამნაშავის ქმედებაში თაღლითობის შემადგენლობის გამორიცხვისა და მისი გამართლების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ეს ნება ანუ „ნებაყოფლობითობა“ არ არის ნამდვილი, რადგან იგი განპირობებულია დამნაშავის მოქმედების კეთილსინდისიერებისადმი დაზარალებულის ყოველად უსაფუძველო რწმენით.

–საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განმარტება საქმეზე №739 აპ-19 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

კ.ს-ს და ქ.ჯ-ს ბრალი დაედოთ თაღლითობაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად და დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში: ნ.ს. გარდაიცვალა 30.01.2007 წელს, რომელსაც დარჩა პირველი რიგის მემკვიდრეები: შვილები – ნ.ს., ნ.ს., ი.ს., ქ.ს., მ.ს., მშობლები – ქ.ს. და კ.ს.. ნ.ს-ს გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონება უნდა გადანაწილებულიყო შვიდ მემკვიდრეზე, თითოეულზე – მთლიანი ქონების 1/7 წილი.

ნ.ს-ს დამ – ქ.ჯ-მ და მამამ – კ.ს-მ განიზრახეს ნ.ს-ს შვილების-მემკვიდრეების: ი.ს-ს, ნ.ს-სა და ნ.ს-ს კუთვნილი ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. კ.ს., ქ.ჯ. და გ.ჯ. მემკვიდრეებს – ნ.ს-ს, ი.ს-სა და ნ.ს-ს არაერთ შესვედრაზე არწმუნებდნენ, რომ, ვინაიდან ნ.ს-ს გარდაცვალების შემდეგ დარჩა ბანკის დიდი ვალი, აჯობებდა ბანკთან ურთიერთობა ჰქონოდა და სამკვიდრო ქონება მიელო ერთ მემკვიდრეს – კ.ს-ს, რომელიც უზრუნველყოფდა ვალის დაფარვას.

4.08.2007 წელს გაფორმდა ნ.ს-ს დანატოვარი ქონების თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების ხელშეკრულება, თანამემკვიდრეებად აღიარებულ იქნენ: ნ.ს., ნ.ს., ი.ს., ქ.ს., მ.ს., ქ.ს. და კ.ს. ქონების ღირებულებამ აუდიტის მაშინდელი შეფასებით შეადგინა 5189381 ლარი და ვალის დაფარვის უზრუნველსაყოფად თანამემკვიდრეთა წრიდან დასახელდა კ.ს., რომელმაც აიღო ვალდებულება ბანკის ვალის დაფარვის შესახებ და მასზე გადავიდა ხელშეკრულებაში აღნიშნული სამკვიდრო ქონება.

კ.ს-სა და ქ.ჯ-ს განზრახული ჰქონდათ, რომ თაღლითურად, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მიეღოთ ქონების თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების ხელშეკრულებაში მითითებული მემკვიდრეების – ნ.ს-ს, ნ.ს-სა და ი.ს-ს სამკვიდრო ქონების უფლება. ამ მიზნით 28.09.2007 წელს კ.ს-მ, ყოველგვარი

პირობებისა და ვალდებულებების გარეშე, ჩუქების ხელშეკრულებით ქონება გადასცა შვილს – ქ.ჯ.-ს, რითაც მემკვიდრეებს – ი.ს.-ს, ნ.ს.-სა და ნ.ს.-ს მოუსპეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების დაბრუნების უფლება, რის შემდეგაც კ.ს-მ და ქ.ჯ.-მ, თავის მხრივ, მართლსაწინააღმდეგოდ მიღებულ ქონებას გაუკეთეს რეალიზაცია, რითაც მემკვიდრეებს – ნ.ს.-ს, ნ.ს.-სა და ი.ს.-ს მიაყენეს დიდი ოდენობით ზიანი.

ვინაიდან, კ.ს.-სა და ქ.ჯ.-ს განზრახული ჰქონდათ მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ ნ.ს.-ს შვილების-მემკვიდრეების ქონებას, მათ თანამემკვიდრეთა შორის წილის გადანაწილების ხელშეკრულებაში შეგნებულად არ შეიტანეს ნ.ს.-ს საკუთებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, ნ.ს.-ს საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერი“ და ავტომანქანა „ჯიპ ჰამერ 2“.

აღნიშნულს შემდეგ, სახლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული მართვის ორგანოს რწმუნებულის – ა.ბ.-ს მიერ 21.08.2007 წელს გაცემული ყალბი ცნობის საფუძველზე, ქ.ს-მ 21.08.2007 წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში დაარეგისტრირა თავის საკუთრებად. საკუთრების მოწმობის მიღების შემდეგ ქ.ს-მ ნ.ს.-ს კუთვნილი სახლი 11.09.2007 წელს ჩუქების ხელშეკრულებით აჩუქა შვილს, ქ.ჯ.-ს, რომელიც თაღლითურად, მოტყუებით დაეუფლა ნ.ს.-ს მემკვიდრეთა ქონებას და ფიქციურად გაუკეთა რეალიზაცია. საცხოვრებელი სახლი ექსპერტიზის დასკვნით 2007 წლის აგვისტოს მდგომარეობით შეფასდა 260000 ლარად. ავტომანქანების გაუკეთდა რეალიზაცია, მათი ღირებულება ჯამურად შეადგენდა 165 000 ლარს. კ.ს.-სა და ქ.ჯ.-ს თაღლითურმა ქმედებებმა ჯამურად გამოიწვია 5 614 381 ლარის – დიდი ოდენობით ზიანი.

თელავის რაიონული სასამართლოს 23.03.2018 წლის განაჩენით კ.ს. და ქ.ჯ. გამართლდნენ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.10.2018 წლის განაჩენით თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა კ.ს.-სა და ქ.ჯ.-ს მიმართ დადგენილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და მათ დამნაშავედ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში უდავოდ ცნობილი მტკიცებულებების საერთო ანალიზის შედეგად სრულიად აშკარად ჩანდა კ.ს.-სა და ქ.ჯ.-ს მხრიდან იმ ნდობის ბოროტად გამოყენების ფაქტი, რომელიც, ახლო ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარე, მათ მიმართ ბუნებრივად გააჩნდათ ნ.ს.-ს შვილებს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პირები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ

გარდაცვლილ ნ.ს-ს ქონებას, რომელიც კანონით მემკვიდრეებზე თანაბრად უნდა განაწილებულიყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ თაღლითური ჩანაფიქრის განხორციელებამდე დამნაშავე, დაზარალებულის მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ნდობის ბოროტად გამოყენებასთან ერთად, ხშირად მიმართავდა სხვადასხვა დამატებით საშუალებას თავისი ნამდვილი განზრახვის შესანიღბად, მათ შორის – დაზარალებულთან სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების გაფორმებას ან სხვაგვარი წერილობითი ვალდებულებების აღებას, რომელთა შესრულებას ის სინამდვილეში არ აპირებდა. დამნაშავე ასეთ ხერხს მიმართავდა საიმისოდ, რომ მოტყუებულ დაზარალებულს შექმნოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამ უკანასკნელის კანონიერ ინტერესებს მისი მოქმედებით არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ამგვარი შემთხვევები განსაკუთრებით ტიპურია სწორედ უძრავ ქონებებთან დაკავშირებულ თაღლითობებში.

კ.ს-მ და ქ.ჯ-მ გამოიყენეს მსგავსი ხერხი თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის დაფარვისა და დაზარალებულების დაყოლებისათვის მათსავე ინტერესების აშკარად საზიანო გარიგებაზე – კ.ს-სათვის თავიანთი წილების დათმობაზე.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ თაღლითობის უძრავლეს შემთხვევაში მოტყუებული დაზარალებული ყოველთვის თავისი ნებით ანუ „ნებაყოფლობით“ გადასცემს დამნაშავეს თავის ქონებას ან ქონებაზე უფლებას. ამასთან აშკარაა, რომ დაზარალებულის ასეთი ნება ვერ გახდებოდა დამნაშავის ქმედებაში თაღლითობის შემადგენლობის გამორიცხვისა და მისი გამართლების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ეს ნება ანუ „ნებაყოფლობითობა“ არ იყო ნამდვილი, რადგან იგი განპირობებული იყო დამნაშავის მოქმედების კეთილსინდისიერებისადმი დაზარალებულის ყოვლად უსაფუძვლო რწმენით.

საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში გამოკვეთილი იყო თაღლითობის ყველა ძირითადი და საერთო მახასიათებელი ელემენტი. საქმეში არსებული მტკიცებულებების ობიექტური ანალიზი და ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი სავსებით საკმარის საფუძველს ქმნიდა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ქ.ჯ-ის და კ.ს-ის დამნაშავედ ცნობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი; კ.ს. და ქ.ჯ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

თაღლითობა

თაღლითობის ერთ-ერთ სახედ უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევები, როდესაც მედიცინის მუშაკი ან სამედიცინო დაწესებულების მესვეურები პაციენტს უნიშნავენ არასაჭირო მკურნალობას, უსვამენ არასწორ დიაგნოზს, რათა მძიმედ წარმოაჩინონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, უნიშნავენ თითქოსდა აუცილებელ ან გადაუდებელ ოპერაციას, როცა რეალური ვითარება ამას არ მოითხოვს, ანდა მკურნალობას უნიშნავენ ან ქირურგიულ ოპერაციას უტარებენ პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს იმ მიზნით, რომ ასეთი პაციენტისგან მიიღონ შესაბამისი თანხები მისი მკურნალობის ან ჩატარებული ოპერაციის საფასურის სახით.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები, 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები, 220¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 1 აგვისტო განმარტება საქმეზე №110აპ-19 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ფ.ჯ-ის ბრალი დაედო თაღლითობაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით; თაღლითობის მცდელობაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით; სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვაში, ე.ი. იმ გარემოებისა და ფაქტის შესახებ ინფორმაციის დამალვაში, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ვალდებული იყო, მიეწოდებინა ეს ინფორმაცია მოსახლეობისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.02.2018 წლის განაჩენით: ფ.ჯ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.12.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ფ.ჯ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. მის მიმართ წარდგენილი ბრალდება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 220¹-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. ფ.ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 220¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით ფ.ჯ-ის მსჯავრი დაელო გულგრილობაში, ესე იგი საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვნად შესრულებაში მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: ფ.ჯ-ი იყო სამედიცინო დაწესებულების შპს „ლ-ს“ დირექტორი. ხსენებულ საზოგადოებას 21.05.2014 წელს გაცემული -- სანებართვო მოწმობის შესაბამისად, მოპოვებული ჰქონდა ორგანოთა გადანერგვისა და ტრანსპლანტაციის ნებართვა. კლინიკის დირექტორმა ფ.ჯ-იმ 2016 წლის დასაწყისში ... რესპუბლიკიდან მოიწვია ქირურგ-ტრანსპლანტოლოგი მ.კ., რომლის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ფ.ჯ-იმ და კლინიკის სხვა თანამშრომლებმა მასმედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით მომხმარებელთა მიზიდვის მიზნით გაავრცელეს განცხადებები, მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტები, რომ თითქოსდა, შპს „ლ-ში“ ... რესპუბლიკიდან მოწვეული ჰყავდათ ტრანსპლანტაციის დარგის სპეციალისტები და ღვიძლით დაავადებული პაციენტებისთვის ტარდებოდა უფასო კონსულტაციები.

12.02.2016 წელს გ.ჩ-ემ და კ.კ-მ გამოკვლევების ჩატარებისა და კონსულტაციის მიღების მიზნით მიაკითხეს დასახელებულ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც ფ.ჯ-იმ და კლინიკის სხვა თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ თითქოსდა, კლინიკაში ... მოწვეული იყო ტრანსპლანტაციის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა ღვიძლის გადანერგვის არაერთი წარმატებული ოპერაცია.

ფ.ჯ-ისათვის ცნობილი იყო, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე პაციენტი და ღონორები უნდა წარედგინა ტრანსპლანტაციის საბჭოს წინაშე და თანხმობა აელო ოპერაციის ჩატარებაზე, თუმცა 3.03.2016 წელს კ.კ-ს, ხოლო იმავე წლის 8 მარტს გ.ჩ-ეს ჩაუტარდათ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია ისე, რომ არ არსებობდა ტრანსპლანტაციის საბჭოს თანხმობა ორგანოს გადანერგვაზე.

ფ.ჯ-იმ, როგორც შპს „ლ-ს“ დირექტორმა, არაჯეროვნად შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, არ შეამოწმა, რომ მ.კ-ს 2016 წლის მარტის მდგომარეობით არ გააჩნდა საქართველოს სახელმწიფო სერტიფიკატი არცერთ საექიმო სპეციალობაში და 2016 წლის 1 მარტიდან შპს „ლ-ში“ ორგანოთა გადანერგვის განყოფილებაში, ქირურგის თანამდებობაზე დანიშნა მ.კ., რომელიც მისივე ბრძანებით დანიშნა შპს „ლ-ში“ ორგანოთა გადანერგვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. კლინიკის დირექტორი ფ.ჯ-ი ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე ვალდებული იყო, ტრანსპლანტაციის საბჭოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია და საბჭოსგან მიეღო თანხმობა. მიუხედავად იმისა, რომ არც კ.კ-ის და არც გ.ჩ-ის შემთხვევაში ასეთი თანხმობა არ არსებობდა, ფ.ჯ-ის მითითებით კლინიკა „ლ-ში“ ზემოხსენებულ პაციენტებს ჩაუტარდათ

ღვიძლის გადანერგვის ოპერაციები. კ.კ. კლინიკაში გარდაიცვალა 10.03.2016 წელს, ხოლო გ.ჩ. – 15.03.2016 წელს.

ფ.ჯ-ის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებით დაირღვა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ფ. ჯ-ის დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (კ.კ-ის ეპიზოდი), 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (გ.ჩ-ის ეპიზოდი), 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. მსჯავრდებული ფ.ჯ-ი – განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

საკასაციო პალატის განმარტება: ჩადენილი ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის არ აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას – დამნაშავე მოქმედებდა თავისი პირადი სარგებლისათვის, თუ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სასარგებლოდ, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების მიზანსა და ასეთი მოქმედებით შედეგის დადგომას. მოცემულ შემთხვევაში პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სწორედ ფ.ჯ-ი იყო კლინიკა „ლ-ს“ დამფუძნებელი და ფაქტობრივი მმართველი, რომლის ანგარიშზეც შეიტანეს დიდი ოდენობით თანხები დაზარალებულების ოჯახების წევრებმა. ამიტომ იმაზე საუბარი, რომ ქმედების ჩადენისას მსჯავრდებულს პირადი სარგებლის მიღების ინტერესი არ გააჩნდა, იყო საფუძველს მოკლებული.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის დასკვნით, ფ.ჯ-ის ქმედებაში წარმოდგენილი იყო თაღლითობის ძირითადი შემადგენლობის არსებობისთვის საჭირო ყველა ნიშანი, რაც შეიძლებოდა, საფუძველად დასდებოდა მის პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ თაღლითობის ერთ-ერთ სახედ უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევები, როდესაც მედიცინის მუშაკი ან სამედიცინო დაწესებულების მესვეურები პაციენტს უნიშნავენ არასაჭირო მკურნალობას, უსვამენ არასწორ დიაგნოზს, რათა მძიმედ წარმოაჩინონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, უნიშნავენ თითქოსდა აუცილებელ ან გადაუდებელ ოპერაციას, როცა რეალური ვითარება ამას არ მოითხოვს, ანდა მკურნალობას უნიშნავენ ან ქირურგიულ ოპერაციას უტარებენ პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს იმ მიზნით, რომ ასეთი პაციენტისგან მიიღონ შესაბამისი თანხები მისი მკურნალობის ან ჩატარებული ოპერაციის საფასურის სახით.

ის გარემოება, რომ მიღებული თანხების სანაცვლოდ პაციენტს რეალურად ჩაუტარდა ოპერაცია ან გაეწია სხვა სახის მკურნალობა, რაზეც აქცენტი გააკეთა სააპელაციო სასამართლომ, საკასაციო პალატის აზრით, ვერ შეცვლიდა აღნიშნული ქმედების სამართლებრივ სტატუსს, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში

თითქოსდა საჭირო მკურნალობის ან ოპერაციის ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარ ხერხს წარმოადგენდა დაზარალებულის შეცდომაში შესაყვანად და ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხის ან ქონებრივი უფლების მოსაპოვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ფ.ჯ-ის მიერ ჩადენილი იყო თაღლითობა, პირთა ჯგუფთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და დიდი ოდენობით, რის გამოც მისი ქმედება სსკ-ის 220¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული დანაშაული მან ჩაიდინა ორ ეპიზოდად, ერთხელ – დამთავრებული სახით, ხოლო მეორე – მცდელობის სახით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ორივე ეპიზოდი მოცული იყო ფ.ჯ-ის ერთიანი კონკრეტული განზრახვითა და საერთო გადაწყვეტილებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვქონდა არა ორი დანაშაულის ერთობლიობასთან, არამედ – ერთიან, განგრძობად დანაშაულთან, რა დროსაც წინმსწრები დამთავრებული დანაშაული ფარავს დაუმთავრებელ დანაშაულს. ამიტომ მისი ქმედება დაკვალიფიცირდა როგორც ერთი, დამთავრებული თაღლითობა, ჩადენილი ზემოთ მითითებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებებში.

გამოძალვა

გამოძალვის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება დანაშაულის მიერ ქონების მესაკუთრის ან ქონების მფლობელის მიმართ მოთხოვნაში, გადასცეს მას ნივთი ან მასზე უფლება, ასევე ქონებით სარგებლობის უფლება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტები, 120-ე მუხლი, 11¹, 151-ე მუხლი, 126-ე მუხლის პირველი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 17 მაისის განმარტება საქმეზე №648აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

კ.ფ-ს, რ.ჟ-სა და ბ.ჯ-ს ბრალი დაედოთ გამოძალვაში, რასაც ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით.

რ.ჟ-სა და ბ.ჯ-ს ასევე ბრალი დაედოთ ცემაში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი

ნაწილით, ხოლო კ.ფ-ს – ოჯახის ერთი წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარაში, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 11¹,151-ე მუხლით. მასვე ბრალი დაედო ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 120-ე მუხლით.

კ.ფ-ს, რ.ჟ-სა და ბ.ჯ-ს ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2017 წლის 10 აპრილს, დაახლოებით 12:00 საათზე, კ.ფ., ბ.ჯ. და რ.ჟ. მივიდნენ შპს-ს ... ოფისში, სადაც კ.ფ-მ ა.ლ-ს განუცხადა, რომ კანონიერი ქურდების გადაწყვეტილებით, მისთვის უნდა გადაეცა .. მდებარე გაზგასამართი სადგურიდან 25% წილი. ა.ლ-მ უარი განაცხადა ქონებრივი უფლების გადაცემაზე. ამ დროს ბ.ჯ-მ, რ.ჟ-მ და კ.ფ-მ მას დაარტყეს ხელი და მიაყენეს ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები. ცემის შემდეგ კ.ფ-მ დანის გამოყენებით კისერსა და მარცხენა მტევნის მიდამოში ა.ლ-ს მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, მისი ხანმოკლე მოშლით და მოითხოვეს სამეწარმეო საქმიანობიდან გადაეცა წილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე კვლავ იძალადებდნენ. აღნიშნულის შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – ბ.ჯ., და რ.ჟ., კ.ფ-ს დავალებითა და მითითებით, სისტემატურად ხვდებოდნენ ა.ლ-ს და მოითხოვდნენ კ.ფ-ს სასარგებლოდ დაეთმო წილი, ან გადაეხადა დიდი ოდენობით თანხა – 200000 აშშ დოლარი.

2017 წლის 14 მაისს, ღამის საათებში, კ.ფ. იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს, რომელსაც გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2.02.2018 წლის განაჩენით: კ.ფ. გამართლდა სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 120-ე მუხლით, 11¹,151-ე მუხლით და საბოლოოდ, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; ბ.ჯ. და რ.ჯ. გამართლდნენ სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულმა კ.ფ-მ. ბრალდების მხარე ითხოვდა კ.ფ-ს, რ.ჟ-სა და ბ.ჯ-ს დამნაშავეებად ცნობას სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, ასევე – რ.ჟ-სა და ბ.ჯ-ს დამნაშავეებად ცნობას სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კ.ფ-მ მოითხოვა მისი გამართლება სსკ-ის 11¹,151-ე მუხლით შერაცხულ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.09.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: რ.ჟ. და ბ.ჯ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯათ – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

კ.ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 11¹,151-ე მუხლით, 120-ე მუხლით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და საბოლოოდ, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და ითხოვნენ გამართლებას შერაცხულ ბრალდებებში.

საკასაციო პალატის განმარტება: გამოძალვის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება დამნაშავეს მიერ ქონების მესაკუთრის ან ქონების მფლობელის მიმართ მოთხოვნაში, გადასცეს მას ნივთი ან მასზე უფლება, ასევე ქონებით სარგებლობის უფლება. მითითებული დანაშაულის კონსტრუქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ქონების უკანონო მოთხოვნა გულისხმობდეს მის გადაცემას დამნაშავესათვის სასურველი სხვა პირისათვის. ამასთან, ამ მოთხოვნას თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მუქარა. მუქარის გამოხატვის ფორმას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, ტელეფონითა და სხვა სახით. გამოძალვა მიეკუთვნება ფორმალურ დანაშაულთა შემადგენლობას და იგი დამთავრებულია დაზარალებულისათვის მოთხოვნის წაყენების მომენტიდან, ხოლო მუქარის რეალური განხორციელების შედეგი უნდა დაკვალიფირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამივე მსჯავრდებული ერთად მივიდა ა.ლ-ს ოფისში, სადაც კ.ფ-მ მას აგრესიული ტონით მოსთხოვა, რომ კანონიერი ქურდების გადაწყვეტილების საფუძველზე მისთვის უნდა გადაეცა გაზგასამართი სადგურის 25%-იანი წილი, ხოლო როდესაც დაზარალებულმა უარი განუცხადა და უთხრა, რომ არავითარი წილი მას არ ეკუთვნოდა, იგი გაბრაზდა და სახეში მუშტი რამდენჯერმე დაარტყა. ამ დროს მას მისცვივდნენ რ.ჟ. და ბ.ჯ. და მათაც დაუწყეს ცემა. შემდეგ კ.ფ-მ ამოიღო დანა და დაჭრა კისერში და ასევე გაუჭრა მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი. ბ.ჯ-მ და რ.ჟ-მ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს გაშველება, რაც მის სხეულზე სისხლი შენიშნეს და შეეშინდათ. კ.ფ. ჩხუბით, აგრესიითა და გინებით გავიდა ოთახიდან, ემუქრებოდა ოჯახით და ასევე, თავის მოჭრით. მისი გასვლის შემდეგ რ.ჟ. და ბ.ჯ. მასთან დარჩნენ და უთხრეს, რომ კ.ფ-ს მოთხოვნა სამართლიანი იყო და ფული უნდა გადაეხადა – შვილების მამა იყო და თუ არ გადაიხდიდა, მისთვის უარესი იქნებოდა.

ამდენად, არამხოლოდ უშუალოდ დანაშაულებრივი შემთხვევის დღეს დასტურდება მსჯავრდებულ კ.ფ-ს მხრიდან ა.ლ-ს მიმართ ქონებრივი სარგებლის მიღების მოთხოვნისა და მუქარის ფაქტი, არამედ, უფრო მეტიც, დანაშაულებრივი შემთხვევის შემდეგაც, კ.ფ-ს ორგანიზებითა და მითითებებით, კვლავ გაგრძელდა ა.ლ-ზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება წილის დათმობის ან თანხის გადაცემის მიზნით.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის შეფასება მსჯავრდებულ კ.ფ-ს სსკ-ის 11¹,151-ე მუხლით და მსჯავრდებულების – რ.ჟ-სა და ბ.ჯ-ს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულების საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: კ.ფ. გამართლდა სსკ-ის 11¹,151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; კ.ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 120-ე მუხლით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და საბოლოოდ დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

რ.ჟ. და ბ.ჯ. გამართლდნენ სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯათ 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მითვისება ან გაფლანგვა

იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარემ ვერ მიუთითა ისეთ სამართლებრივ აქტზე, რომელიც შპს-ს ავალდებულებდა, სამუშაოთა შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებში მიეთითებინა მის მიერ მასალებში ფაქტობრივად გადახდილი ღირებულება, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ გაწეული ხარჯების უსაფუძვლოდ გაზრდის გზით უ.ღ-მ მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა სახელმწიფოს კუთვნილი ქონება.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის განმარტება საქმეზე №674აპ-16 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 4.04.2016 წლის განაჩენით უ.ღ. გამართლდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. უ.ღ-ს ქმედება სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის 1-ელ ნაწილზე. უ.ღ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 20000 ლარი.

იმავე განაჩენით პ.ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 8000 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 12.10.2016 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: უ.ღ-ს ამოერიცხა სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად შერაცხული. უ.ღ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი) და თითოეული ეპიზოდისთვის მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12, მე-18 მუხლების საფუძველზე გაუნახევრდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 6 თვით.

კასატორი: მსჯავრდებული უ.ღ. ითხოვს მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარემ ვერ მიუთითა ისეთ სამართლებრივ აქტზე, რომელიც შპს-ს ავალდებულებდა, სამუშაოთა შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებში მიეთითებინა მის მიერ მასალებში ფაქტობრივად გადახდილი ღირებულება, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ გაწეული ხარჯების უსაფუძვლოდ გაზრდის გზით უ.ღ-მ მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა სახელმწიფოს კუთვნილი ქონება.

ამასთან, საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ უ.ღ-მ № ხელშეკრულების საფუძველზე ჭ-სათვის შესრულებულ სამუშაოთა ჩაბარებისას გააყალბა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: უ.ღ. გამართლდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (№-ხელშეკრულების ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში. უ.ღ-ს ქმედება სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (№-ხელშეკრულების ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის 1-ელ ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 20000 ლარი.

8.2 დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა

სსკ-ის 214-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს მითითებული მუხლით, აუცილებელი არ არის, რომ პირმა საქართველოში მარკირებას დაქვემდებარებული ნივთი საქართველოს საბაჟო საზღვარზე აუცილებლად მარკირებული სახით გადაიტანოს ან გადმოიტანოს, არამედ აღნიშნული ქმედება უნდა განხორციელდეს საქონლის გადაადგილებასთან და არა – მარკირებასთან დაკავშირებული წესის დარღვევით;

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ ვინაიდან მსჯავრდებულები პირველი ინსტანციის სასამართლომ გაამართლა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში, ბრალდების მხარის მოთხოვნა ბრალდების მითითებულ ნაწილში გამართლებული პირების საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამტყუნების შესახებ იყო კანონშეუსაბამო, არღვევდა სისხლის სამართლის კანონით განსაზღვრულ საპროცესო შეთანხმების არსს და არ ემსახურებოდა სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლი, მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, იმავე მუხლის მე-3 ნაწილი, 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 41-ე და 52-ე მუხლები

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-215-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განმარტება საქმეზე №30¹-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.05.2018 წლის განაჩენით: ზ.ტ. და რ.ბ. გამართლდნენ სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და იმავე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რ.ბ. დამატებით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულებმა.

2018 წლის 24 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა პროკურორმა შუამდგომლობებით მსჯავრდებულების – რ.ბ-სა და ზ.ტ-ს მიმართ

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, რომლითაც მან მოითხოვა ზ.ტ-სა და რ.ბ-ს დამნაშავეებად ცნობა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილით, ასევე რ.ბ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, შესაბამისი სასჯელების მითითებით. ასევე, სსკ-ის 41-ე და 52-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით მათთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა და მსჯავრდებულების მფლობელობაში არსებული ავტობუსში უკანონოდ შენახული და გადაზიდული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 171220 ლარის ღირებულების საქონლის თამბაქოს ნაწარმის ქართული აქციზური მარკის ნიშანდების გარეშე და ავტობუსის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მსჯავრდებულებმა – ზ.ტ-მ და რ.ბ-მ განაცხადეს, რომ აღიარებდნენ და ინანიებდნენ ჩადენილ დანაშაულს და სურდათ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, რასაც დაეთანხმა მათი ადვოკატიც. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 1.10.2018 წლის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობები საქმის არსებითი განხილვის გარეშე ზ.ტ-სა და რ.ბ-ს მიმართ განაჩენის გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულებმა. კასატორებმა ითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობაში მითითებული პირობებითა და საფუძველებით.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 214-ე მუხლის შემადგენლობისათვის გადამწყვეტია დიდი ოდენობის ან განსაკუთრებით დიდი ოდენობის ღირებულების მქონე მოძრავი ნივთის საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადატანის ან გადმოტანის ფაქტი, ხოლო სსკ-ის მე-200 მუხლით პასუხისმგებლობა დაწესებულია საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციისა ან გადაზიდვისათვის, საქონლის შიდა – საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვიდან გამომდინარე. შესაბამისად, სსკ-ის 214-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს მითითებული მუხლით, აუცილებელი არ არის, რომ პირმა საქართველოში მარკირებას დაქვემდებარებული ნივთი საქართველოს საბაჟო საზღვარზე აუცილებლად მარკირებული სახით გადაიტანოს, ან გადმოიტანოს, არამედ აღნიშნული ქმედება უნდა განხორციელდეს საქონლის გადაადგილებასთან და არა – მარკირებასთან დაკავშირებული წესის დარღვევით. ამდენად, ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის არარელევანტურია საბაჟო წესების დარღვევით გადატანილი მოძრავი ნივთი ექვემდებარებოდა თუ არა მარკირებას.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მსჯავრდებულებმა 73380 ლარის საბაჟო ღირებულების საქონელი – 48920 კოლოფი თამბაქოს ნაწარმი არ დაადეკლარირეს, მალულად მოათავსეს მათ მფლობელობაში არსებული ავტობუსის სპეციალურად მოწყობილ სამალავში და ფარულად გადაიტანეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე. შესაბამისად, გამოკვეთილი იყო სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ყველა ნიშანი, კერძოდ: დადგენილი იყო უკანონოდ გადატანილი საქონლის საბაჟო ღირებულება, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის – თამბაქოს ნაწარმის (სიგარეტი) მალულად, ავტობუსში განთავსებული სამალავის გამოყენებით გადატანის ფაქტი, რაც წარმოადგენდა დამოუკიდებელ, დამთავრებულ დანაშაულს, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ ყოფილიყო და რომელსაც არ მოიცავს სსკ-ის მე-200 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მოცემულ საქმეში არ იყო წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად და ამასთანავე, კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან მსჯავრდებულები – რ.ბ. და ზ.ტ. პირველი ინსტანციის სასამართლომ გაამართლა სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში, ბრალდების მხარის მოთხოვნა ბრალდების მითითებულ ნაწილში გამართლებული პირების საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამტყუნების შესახებ იყო კანონშეუსაბამო, არღვევდა სისხლის სამართლის კანონით განსაზღვრულ საპროცესო შეთანხმების არსს და არ ემსახურებოდა სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს.

ბრალდების მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მათ შორის, სწორედ სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში მსჯავრდებულთა გამართლების ნაწილში და ითხოვა მათი დამნაშავედ ცნობა ამ კვალიფიკაციით როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე – სააპელაციო საჩივარში.

სააპელაციო პალატამ ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო პროკურორის სააპელაციო საჩივარი ზ.ტ-ს და რ.ბ-ს გამართლების ნაწილში მათი დამნაშავედ ცნობის შესახებ, კვლავ არ შეაფასა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მით უფრო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროკურორსა და მსჯავრდებულებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, მათ აღიარეს ჩადენილი დანაშაული და სადავოდ აღარ გახადეს წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაცია. ამასთანავე, ბუნებრივია, სააპელაციო პალატამ იმსჯელებდა სახელმწიფო ბრალმძებლის სააპელაციო საჩივრის არგუმენტებსა და მოთხოვნაზე იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი საერთოდ არ მიმართავდა სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შუამდგომლობით და მხოლოდ ის ფაქტი, რომ პროკურორმა მიმართა აღნიშნული შუამდგომლობით, არ წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის

განხილვასა და მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველს. სააპელაციო პალატას ამ შემთხვევაშიც უნდა ემსჯელა მსჯავრდებულებისათვის სსკ-ის 214-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ირგვლივ და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორისა და მსჯავრდებულების - ზ.ტ-სა და რ.ბ-ს ადვოკატის ს.ბ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დამტკიცდა პროკურორისა და მსჯავრდებულებს – ზ.ტ-ს და რ.ბ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმებები შუამდგომლობაში მითითებული პირობებითა და საფუძველებით.

9. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

9.1 დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა

ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვის ქმედების შემადგენლობის არსებობის აღიარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, დაარღვია თუ არა ბრალეულმა პირმა მასზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და უსაფრთხოების ის წესები და პირობები, რაც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ივლისის განმარტება საქმეზე №19აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.05.2016 წლის განაჩენით ლ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 238-ე მუხლით და განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.11.2016 წლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – ლ.გ. ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში წარმოდგენილი დასკვნა მსჯავრდებულ ლ.გ-ს ბრალეულობის თაობაზე და მიუთითა, რომ სასამართლომ ეს დასკვნა გამოიტანა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილით, იმავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილითა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნათა დაუცველად.

პალატამ მიიჩნია, რომ ლ.გ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება არ იყო დადასტურებული გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამისად, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც ითხოვს ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები. ამ ნორმებით გათვალისწინებული ფუნდამენტური მნიშვნელობის პრინციპებით დადგენილ მოთხოვნათა უზრუნველყოფისათვის საჭირო მტკიცებულებები ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, კერძოდ, სსკ-ის 238-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არსებობის აღიარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, დაარღვია თუ არა ბრალეულმა პირმა მასზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და უსაფრთხოების ის წესები და პირობები, რაც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

ამრიგად, ლ.გ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების ისეთი დარღვევის შერაცხვისათვის, რამაც შედეგად გამოიწვია ამ იარაღის მისი მეუღლის – ნ.ნ-ს ხელში მოხვედრა და მკვლელობის ჩასადენად გამოყენება, საჭირო იყო სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რასაც ითხოვს სსსკ-ით განსაზღვრული ფუნდამენტური პრინციპები პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. განხილულ სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებათა ასეთი ერთობლიობა, რაც შეიძლებოდა, რომ კანონიერი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი გამხდარიყო, არ მოიპოვებოდა, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი დაუდასტურებელი ეჭვი, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ლ.გ-ს მიმართ გაუქმდა, იგი გამართლდა სსკ-ის 238-ე მუხლით შერაცხულ ბრალდებაში.

ცივი იარაღის ტარება

კანონმდებლის მიერ ცივი იარაღის ტარებისათვის ნასამართლევი პირის დასჯადობა იმ მიზანს ემსახურება, რომ ვინაიდან პირმა წარსულში უგულბელო კანონის მოთხოვნები და გადალახა ის სამართლებრივი წინააღმდეგობა, რომელსაც კანონით დადგენილი აკრძალვები აწესებს, მისი მხრიდან ამ საგნის თანქონით კანონის კვლავ უგულბელოფის შანსი შედარებით მეტია. ამდენად, სსკ-ის 238¹-ე მუხლი წარმოადგენს სხვა დანაშაულის ჩადენის აღკვეთის შესაძლებლობას და იგი იცავს საზოგადოების ინტერესებსა და უსაფრთხოებას.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 13 აპრილის განმარტება საქმეზე №634აპ-16 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.05.2016 წლის განაჩენით მ.ვ. გამართლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.09.2016 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

პროკურორმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ განაჩენი იყო უკანონო, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ მ.ვ-ს ქმედებაში არ იყო დანაშაულის ჩადენის განზრახვა.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კუმულაციურად სავალდებულოდ მიიჩნევს ცივი იარაღის ტარების ფაქტს სწორედ განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ. ამასთან, ამავე მუხლის შენიშვნის 1-ლი ნაწილი ადგენს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც გამორიცხავენ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სხვა სახის გამონაკლისი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს. ამავე შენიშვნის მე-2 ნაწილის თანახმად, ტარება გულისმობს პირის მიერ იარაღის თან ქონას, კერძოდ, ხელში დაჭერას, სხეულზე მიმაგრებას ან ტანსაცმელში შენახვას. ამდენად, სსკ-ის 238¹-ე მუხლი ფორმალური დანაშაულია, ვინაიდან იგი დამთავრებულად ითვლება დანის ტარების მომენტიდან და არ მოითხოვს კონკრეტული ობიექტური შედეგის დადგომას.

რაც შეეხება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის, კერძოდ, განზრახვის არსებობას, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მისი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს დანაშაულის ჩადენის მიმართ განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით ღვინდებოდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ, ფაქტობრივ გარემოებათა

განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

კანონმდებლის მიერ ცივი იარაღის ტარებისათვის ნასამართლევ პირის დასჯადობა იმ მიზანს ემსახურება, რომ ვინაიდან პირმა წარსულში უგულებელყო კანონის მოთხოვნები და გადალახა ის სამართლებრივი წინააღმდეგობა, რომელსაც კანონით დადგენილი აკრძალვები აწესებს, მისი მხრიდან ამ საგნის თანქონით კანონის კვლავ უგულებელყოფის შანსი შედარებით მეტია. ამდენად, სსკ-ის 238¹-ე მუხლი წარმოადგენს სხვა დანაშაულის ჩადენის აღკვეთის შესაძლებლობას და იგი იცავს საზოგადოების ინტერესებსა და უსაფრთხოებას, მაგრამ ქმედების დასჯადობისათვის აღნიშნულ მუხლთან ერთად კონკრეტული დანაშაულის ჩადენა, ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნის დადგენა სავალდებულო გარემოება არ არის.

ყოველივე ზემოთ მითითებულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევ პირის – მ.ვ-ს მიერ ცივი იარაღის ტარება დადგენილად მიიჩნია და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ქმედების შემადგენლობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშნები. ამასთან, არ არსებობდა ისეთი სახის გარემოება, რომელიც სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დასჯადობას გამორიცხავდა და წარმოადგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან არც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებდა მითითებული მუხლის შენიშვნით განსაზღვრული რომელიმე საგამონაკლისო შემთხვევის არსებობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი მ.ვ-ს მიმართ გაუქმდა. მ.ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი. მასვე, სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა დანაშაულის საგანი – დანა.

ხულიგნობა, ჩადენილი იარაღად სხვა საგნის გამოყენებით

როდესაც ხულიგნობის ჩამდენი ძალადობას ან ძალადობის მუქარას სჩადის ცეცხლსასროლი იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებით, იარაღად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი საგანი, რითაც შეიძლება ადამიანი ან ქონება დაზიანდეს, მაგალითად: ცივი იარაღი, რკინის ჯოხი, დიდი ქვა და სხვა, ბუნებრივია, მათ შორის – ბილიარდის ჯოხიც.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილი

გ.ა-ს ბრალი დაედო სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ს.ხ-ს – სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგში: საბილიარდოში, ნასვამმა ს.ხ-მ ბილიარდის ჯოხის – კიის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით გ.ა-სთან, შ.ჯ-სთან, ზ.ბ-სა და ი.პ-სთან ერთად, უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რომლის დროსაც მათ გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაცენეს საბილიარდოში მყოფ პირებს და ფიზიკურად გაუსწორდნენ კ.ა-ს. ამის გამო საბილიარდო შეწყვიტა ფუნქციონირება და დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი. ს.ხ--სა და მისი თანამონაწილე პირების ქმედებით კ.ა-ს მიადგა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.10.2017 წლის განაჩენით გ.ა-ს მიმართ სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, ხ-ს მიმართ სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მსჯავრდებულმა ს.ხ-მ.

ბრალდების მხარე საჩივრით ითხოდა გ.ა-ს ქმედების სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ს.ხ-ს ქმედების – სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.05.2018 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა იმავე მოთხოვნით, რასაც იგი ითხოვდა სააპელაციო საჩივრით.

საკასაციო პალატის განმარტება: პალატამ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დგინდებოდა, რომ გ.ა. და ს.ხ., აგრეთვე მათი თანმხლები პირები მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით. შესაბამისად, ამ ნაწილში უსაფუძვლო იყო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა.

ს.ხ-ს მიერ ხულიგნობის ჩადენა მაკვალიფიცირებელ გარემოებაში, კერძოდ, იარაღად სხვა საგნის – ბილიარდის ჯოხის – კიის ფრაგმენტის გამოყენებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია და არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს

განმარტებას, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ბილიარდის ჯოხის – კიის ფრაგმენტი, რომლითაც ს.ხ. გაუსწორდა კ.ა-ს, ვერ იქნებოდა მიჩნეული ხულიგნური ქმედების ჩასადენად სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ იარაღად გამოყენებულ სხვა საგნად, ვინაიდან დაზარალებული ბილიარდის ჯოხის ფრაგმენტით ვერ მიიღებდა იმაზე მეტ ზიანს, ვიდრე მიიღო მუშტით ან/და წიხლით, მითუფრო იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტიზის დასკვნითაც არ დასტურდებოდა, რომ რომელიმე (უფრო ძვირად) დაზიანება დაზარალებულმა მიიღო ბილიარდის ჯოხის ფრაგმენტის გამოყენებით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ როდესაც ხულიგნობის ჩამდენი ძალადობას ან ძალადობის მუქარას სჩადის ცეცხლსასროლი იარაღის ან სხვა საგნის გამოყენებით, იარაღად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ საგანი, რითაც შეიძლება ადამიანი ან ქონება დაზიანდეს, მაგალითად: ცივი იარაღი, რკინის ჯოხი, დიდი ქვა და სხვა, ბუნებრივია, მათ შორის – ბილიარდის ჯოხიც. წარმოდგენილი საქმის მასალებით კი დადგენილი და უდავო იყო, რომ მსჯავრდებულმა ს.ხ-მ დაზარალებულს რამდენჯერმე დაარტყა ბილიარდის ჯოხის ფრაგმენტი. სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ პირი ძალადობის ჩადენისას (ან ძალადობის მუქარისას) იყენებდეს ცეცხლსასროლ იარაღს ან იარაღად სხვა საგანს და მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, თუ რა სახის დაზიანებას მიიღებს, ან საერთოდ მიიღო თუ არა პირმა დაზიანება ამ ქმედების შედეგად. შესაბამისად, დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე ძალადობას ან ძალადობის მუქარას სჩადის ცეცხლსასროლი იარაღისა თუ სხვა საგნის გამოყენებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ გ.ა-ს მსჯავრდების ნაწილში დარჩა უცვლელად, ხოლო მსჯავრდებულ ს.ხ-ს მიმართ შეიცვალა, მსჯავრდებულ ს.ხ-ს ქმედება სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის მე-3 ნაწილზე.

9.2 ნარკოტიკული დანაშაული

თანამონაწილეობა დახმარების სახით საქართველოში ნარკოტიკული საშუალების შემოტანაში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით

მსჯავრდებული არ იყო საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელი პირი, არც თანამშრომელი, მაგრამ მისი ქმედებებიდან და სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, იგი უფლებამოსილი იყო, ჩაეტარებინა

შესაბამისი საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების შემომტანი პირების დადგენა-დაკავების მიზნით, რასაც იგი პერმანენტულად ასრულებდა კიდევ.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტები, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 18 მარტის განმარტება საქმეზე №558აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.05.2017 წლის განაჩენით ზ.ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით; სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.06.2018 წლის განაჩენით ზ.ს-ს ქმედება სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ზ.ს. საკასაციო საჩივრით ითხოვდა მის გამართლებას შერაცხულ ბრალდებებში, პროკურორი ითხოვდა მსჯავრდებულ ზ.ს-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და შესაბამისი სასჯელების შეფარდებას.

საკასაციო პალატის განმარტება: პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ზ.ს-ს ქმედების სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებიდან სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე გადაკვალიფიცირების შესახებ და მიუთითა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზი ნათლად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ზ.ს. სწორედ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და ავტორიტეტის გამოყენებით, როგორც კონკრეტული ქმედებებით, ასევე მოქმედებათა ერთობლიობით ეხმარებოდა ალ.ნ-ს ნარკოტიკული საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ შემოტანაში, კერძოდ: ერთ შემთხვევაში, სწორედ იმ დროს, როდესაც ალ.ნ-ს უნდა გადმოეკვეთა სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, ყურადღების გადასატანად, ზ.ს-ს ხელმძღვანელობით, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ვითომდა არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მითითებულ პუნქტზე

საგამოძიებო ჯგუფმა ჩაატარა შესაბამისი ღონისძიება ნარკოტიკული საშუალებების შემომტანი პირების დასაკავებლად, რაც უშედეგოდ დასრულდა. მეორე შემთხვევაში კი, ასევე ზ.ს-ს მხრივ სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და ავტორიტეტის გამოყენებით, 2016 წლის 7 აგვისტოს შსს-ს თანამშრომელმა – ი.შ-მ, ზ.ს-ს თხოვნის საფუძველზე, ალ.ნ. ყოველგვარი შემოწმებისა და შეფერხების გარეშე გამოატარა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ალ.ნ-მ საქართველოში სწორედ 7 აგვისტოს შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რომლის დიდი ნაწილიც იმავე წლის 12 აგვისტოს ამოიღეს პოლიციელებმა მისი პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას. გარდა ამისა, ასევე დადასტურებული იყო, რომ ზ.ს. და ალ.ნ. რამდენჯერმე ერთად იმყოფებოდნენ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე, სადაც ზ.ს. მას ვიზუალურად აკონტროლებდა, ელოდებოდა და შემდეგ მისი კუთვნილი სამსახურებრივი ავტომანქანით, ალ.ნ-ს უსაფრთხო და დაუბრკოლებელი გადაადგილების მიზნით, მიჰყავდა დანიშნულების ადგილზე. მართალია, ზ.ს. არ იყო საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელი პირი, თუ თანამშრომელი, მაგრამ მისი ქმედებებიდან და სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, იგი უფლებამოსილი იყო, ჩაეტარებინა შესაბამისი საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების შემომტანი პირების დადგენა-დაკავების მიზნით, რასაც, მოწმეთა ჩვენებებით, იგი პერმანენტულად ასრულებდა კიდევ. შესაბამისად, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ.ს. ალ.ნ-ს აქტიურად ეხმარებოდა არა მხოლოდ საქართველოს საზღვარზე უსაფრთხო შემოსვლაში, არამედ – ასევე საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო, დაუბრკოლებელ გადაადგილებასა და უფრო მეტიც, როგორც ფარული ჩანაწერებით დადგინდა, ალ.ნ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციაში, როდესაც ცდილობდა გაერკვია, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ნარკოტიკების სავარაუდო შემსყიდველი პირი – ვინმე ნ.ბ. აღნიშნული კი ნათლად მიუთითებდა ზ.ს-ს როლსა და ხასიათზე სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. ამდენად, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ბრალდების მითითებულ ეპიზოდში ზ.ს-ს ქმედება წარმოადგენდა არა სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, არამედ – სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებას. ზ.ს-თვის სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ეს ბრალდებები არ დასტურდებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობით და ბრალდების მითითებულ ნაწილებში ზ.ს-ს ბრალი დაედო შეცვლილი კვალიფიკაციით, კერძოდ – სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზ.ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 24,262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და 338-ე მუხლის 1-ლ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობა

ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანაში იგულისხმება, როდესაც ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გატანა მოხდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრიდან მისი გატანით. დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი მოახერხებს ამ ნივთიერების გატანას საქართველოდან, ე.ი. გადალახავს საზღვარს და ნარკოტიკულ საშუალებას გადაიტანს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის განმარტება საქმეზე №407აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ა.მ.ბ-ს ბრალი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენასა და შენახვაში, ასევე – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.02.2017 წლის განაჩენით ა.მ.ბ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება¹, როგორც ზედმეტად წარდგენილი. ა.მ.ბ. ცნობილ იქნა

¹ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ა.მ.ბ-ს არასწორად ამოერიცხა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, თუმცა აღნიშნა, რომ ვინაიდან ბრალდების მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, პალატა კანონისმიერად არ იყო უფლებამოსილი, დაემძიმებინა მსჯავრდებულის მდგომარეობა და ამდენად, შემოიფარგლა მხოლოდ განმარტებით, კერძოდ: უზენაესი სასამართლო 4.06.2010 წლის გადაწყვეტილებაში (საქმე №937აპ-09 მიუთითებდა, რომ „სსკ-ის 262-ე მუხლი თავისთავად არ მოიცავს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასაც, ვინაიდან საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა (მოცემულ შემთხვევაში გატანა) უცხო ქვეყნიდან წარმოადგენს სსკ-ით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წინ უსწრებდა მსჯავრდებულის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენა – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენა და შენახვა; ამიტომ თუ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას (მოცემულ შემთხვევაში გატანას) საქართველოში წინ უსწრებდა ამ ნივთიერების შექენა-შენახვა, სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით – სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით. შესაბამისად, არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ კოდექსის იმპაზინდელი რელაქცია არ იძლეოდა საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობას, მითითებული დანაშაულების სიმძიმედან გამომდინარე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არც სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლების იმჟამად და არც ამჟამად მოქმედი რელაქციით მითითებული მუხლებით ქმედების კვალიფიკაციისათვის არარელევანტურია, თუ რომელი მუხლით

დამნაშავედ სსკ-ის 19,262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა.მ.ბ-მ და ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 7.05.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა გამართლება შერაცხულ ბარდღებაში.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 262-ე მუხლით დასჯადია ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა. საერთაშორისო ტრანზიტში იგულისხმება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს ფიზიკურ პირთა, ტვირთის ან სატრანსპორტო საშუალებათა მსვლელობა. საერთაშორისო ტრანზიტით არის გზის ნაწილი, რომელიც იწყება და მთავრდება ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

პალატამ დადგენილად მიიჩნია დოკუმენტურად დადასტურებული ის ფაქტი, რომ 2016 წლის ივნისში ი-დან კ-ში ა.მ.ბ-ს საკუთრებაში არსებული საწვევარას მისაბმელით უნდა გადაეზიდა ბრინჯი მისსავე სახელზე რეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით, თუმცა იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ტვირთის (ბრინჯის) წამოსაღებად ა.მ.ბ. ფიზიკურად ვერ ჩავიდა ი-ში (უარი ეთქვა ი-ს ვიზაზე) და საქართველოში ჩამოვიდა 2016 წლის 8 ივნისს, მანამ, სანამ მისი კუთვნილი საწვევარა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს გადმოკვეთდა; შემდეგ, იმავე წლის 10 ივნისს, მისმა ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა არა ა.მ.ბ., არამედ - ს.ო., უპრობლემოდ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი ... გავლით; საწვევარა 2016 წლის 10 ივნისიდან – იმავე წლის 12 ივნისის შუალედში განთავსებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ავტოსადგომზე – არ არსებობდა არცერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა, თუ სად, რომელ ქვეყანაში და როდის განთავსდა ავტომანქანის სამალავში ნარკოტიკული ნივთიერება. ამდენად, ა.მ.ბ-ს ქმედებაში გამოკვეთილი იყო სსკ-ის 19,262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნები, თუმცა, არა ბრალად შერაცხული კვალიფიკაციით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობა), არამედ – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობის შემადგენლობა.

გათვალისწინებული დანაშაული წარმოადგენს უფრო მსუბუქსა, თუ მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ვინაიდან, როგორც საკასაციო პალატამ უკვე განმარტა, 262-ე მუხლი თავისთავად არ მოიცავს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და ისინი წარმოადგენს სსკ-ით გათვალისწინებულ სხვადასხვა დამოუკიდებელ დანაშაულს.“

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 262-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოდან „უკანონო გატანაში“ იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანა, ე.ი. როდესაც ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გატანა მოხდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრიდან მისი გატანით. დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი მოახერხებს ამ ნივთიერების გატანას საქართველოდან, ე.ი. გადალახავს საზღვარს და ნარკოტიკულ საშუალებას გადაიტანს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ ა.მ.ბ-ს ქმედება, გათვალისწინებული სსკ-ის 19,262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობა), გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 19,262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობა);

მსჯავრდებული ა.მ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონოდ გატანის მცდელობა) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონოდ შექმნა-შენახვა არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, შეესაბამება ამჟამად მოქმედი სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილს. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი შესაბამისი მუხლი მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-6 ნაწილი იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის წარმოადგენს მძიმე დანაშაულის კატეგორიას. აღნიშნული გარემოება კი მიუთითებს იმაზე, რომ ახალი კანონით ამ დანაშაულის ჩადენისათვის შემსუბუქდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-6 ნაწილი, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტები და 273-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განმარტება საქმეზე №429აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 12.01.2017 წლის განაჩენით ა.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-ნ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთა 9 წლით. სსკ-ის 273-ე მუხლით – ჯარიმა 1000 ლარი. საბოლოოდ დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.05.2017 წლის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა დადგინდეს, რომ ა.მ-მ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა, ჩადენილი არაერთგზის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-ნ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით; ასევე – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 273-ე მუხლით, რაც გამოიხატა შემდეგში: სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევა ა.მ-მ გამოძიებით დაუდგინელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 1181,99 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში; ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებულ ა.მ-ს ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად კვლავ დაუდგინდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ უკანონო მოხმარების ფაქტი.

კასატორი – მსჯავრდებული ითხოვდა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას სსკ-ის 260-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში.

საკასაციო პალატის განმარტება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 30.11.2017 წლის გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო სსკ-ის 273-ე მუხლის სიტყვების – „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ – ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის. ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენით ა.მ. მსჯავრდებული იყო სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, კერძოდ, „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანა“) უკანონოდ მოხმარებისათვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული

გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მის მიმართ უნდა შეწყვეტილიყო სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

რაც შეეხება სსკ-ის 260-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილს, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონის თანახმად, სსკ-ს დაემატა 273¹-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში ა.მ. მსჯავრდებული იყო განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 1181,99 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც შეესაბამებოდა ამჟამად მოქმედი სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილს. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებდა 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას, რაც მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-6 ნაწილი იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებდა 2-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც წარმოადგენდა მძიმე დანაშაულის კატეგორიას. აღნიშნული გარემოება კი მიუთითებდა იმაზე, რომ ახალი კანონით ამ დანაშაულის ჩადენისათვის შემსუბუქდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ა.მ-ს დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილზე.

ანალოგურია: სსკ-ის 273-ე მუხლის ნაწილში სუსგ №533აპ-17, 15.02.2018

9.3 სატრანსპორტო დანაშაული

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა

იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 276-ე მუხლს გააჩნია ბლანკეტური ხასიათი, ამდენად, უსაფრთხოების წესის დარღვევის დადგენის სახელმძღვანელო ნორმატიულ აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“. უსაფრთხოების წესის დარღვევის დამადასტურებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ექსპერტიზის დასკვნა, ვინაიდან იმის დასადგენად,

წინდახედულობის ნორმის დარღვევამ გამოიწვია თუ არა სისხლისსამართლებრივად დასჯადი შედეგი, საჭიროა სპეციალური ცოდნა. ამიტომ სატრანსპორტო დანაშაულებთან მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ექსპერტიზის დასკვნასა და მის უტყუარ/კატეგორიულ ხასიათს ენიჭება.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ივლისის განმარტება საქმეზე №119აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

გ.ლ-ს ბრალი დაედო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევაში, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანებები.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 27.09.2017 წლის განაჩენით გ.ლ. გამართლდა სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და გ.ლ-ს სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით დამნაშავედ ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 15.01.2018 წლის განაჩენით გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. გ.ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. მასვე 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

კასატორი – მსჯავრდებული გ.ლ. ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: გ.ლ-ს დამნაშავედ ცნობას საფუძველად არ ელოდო საკმარისი მტკიცებულებითი ბაზა. შესაბამისად, ბრალდების მხარის ვერსია გ.ლ-ს ბრალეული ქმედების შესახებ, რამაც გამოიწვია ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, ვერ სცდებოდა ვარაუდს, რის გამოც არ იქნა გაზიარებული. ბრალდების მოწმეთა ჩვენებები არ იყო თანმიმდევრული და ურთიერთთავსებადი, ისინი არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, განსხვავებული შეფასებების საფუძველს იძლეოდა და წარმოშობდა გონივრულ ეჭვს გ.ლ-ს მიერ ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის – „in dubio pro reo –ს“ გათვალისწინებით, უნდა გადაწყვეტილიყო ბრალდებულის სასარგებლოდ.

პალატამ მიუთითა, იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 276-ე მუხლს გააჩნია ბლანკეტური ხასიათი, ამდენად, უსაფრთხოების წესის დარღვევის დადგენის სახელმძღვანელო ნორმატიულ აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“. უსაფრთხოების წესის დარღვევის დამადასტურებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ექსპერტიზის დასკვნა, ვინაიდან იმის დასადგენად, წინდახედულობის ნორმის დარღვევამ გამოიწვია თუ არა სისხლისსამართლებრივად დასჯადი შედეგი, საჭიროა სპეციალური ცოდნა. ამიტომ სატრანსპორტო დანაშაულებთან მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ექსპერტიზის დასკვნასა და მის უტყუარ/კატეგორიულ ხასიათს ენიჭება. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარის ექსპერტიზები, პალატის შეფასებით, ვერ აკმაყოფილებდა უტყუარობის სტანდარტს, კერძოდ: ექსპერტიზის დასკვნები ემყარებოდა იმ მოწმეთა მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა ჩვენებების მართებულობა თავად ექსპერტიზის დასკვნის გამცემა ექსპერტებმა უარყვეს.

დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები, რომელთა სისწორეშიც პალატას ეჭვის შეტანის საფუძველი არ გასჩენია, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდნენ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზით დადგენილ გარემოებებს, ამდენად, სააპელაციო პალატის მიერ გამამტყუნებელი განაჩენისათვის საკმარისად მიჩნეულ მტკიცებულებათა ერთობლიობას თავისი არსით არ გააჩნდა ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი ხასიათი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. გ.ლ. გამართლდა სსკ-ის 276-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში.

ანალოგიურია: სუსგ №462აპ-16, 10.01.2017

10. დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

10.1 სამოხელეო დანაშაული

სამსახურებრივი გულგრილობა

ის ფაქტი, რომ შესაძლოა, სხვა მოხელეებმაც გამოიჩინეს დაუდევარი დამოკიდებულება საქმისადმი, არ გამორიცხავს მსჯავრდებულის ვალდებულებას,

კეთილსინდისიერად შეესრულებინა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ჯეროვნად გამოეკვლია საკითხები.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივნისის განმარტება საქმეზე №714აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.05.2016 წლის განაჩენით გ.თ. გამართლდა სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.10.2016 წლის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. გ.თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.10.2016 წლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

საკასაციო პალატის განმარტება: გ.თ., როგორც საჯარო მოხელე, ვალდებული იყო, კეთილსინდისიერად შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, ჯეროვნად გამოეკვლია საკითხი, რა დროსაც იგი ნახავდა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხებოდა უძრავი ძეგლის დემონტაჟს, რისი სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობდა, ვინაიდან „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც ძეგლის დემონტაჟის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება უხეშად დაარღვევდა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, გ.თ-ს, სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, საკითხის გულდასმით შესწავლის შემდეგ თუკი ჩათვლიდა, რომ ძეგლს არ გააჩნდა არავითარი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე შეეძლო გაეტანა არა ძეგლის დემონტაჟის, არამედ – ძეგლისთვის სტატუსის მოხსნის შესახებ შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის საკითხი, რაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ... მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის

– ... არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, შედიოდა საბჭოს უფლებამოსილებაში.

პალატამ მიუთითა: ის ფაქტი, რომ შესაძლოა, სხვა მოხელეებმაც გამოიჩინეს დაუდევარი დამოკიდებულება საქმისადმი, არ გამორიცხავდა გ.თ-ს ვალდებულებას, კეთილსინდისიერად შეესრულებინა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ჯეროვნად გამოეკვლია საკითხები. გ.თ-ს არ უნდა მიეცა ელექტრონული თანხმობა იმ ბრძანებაზე, რომელიც შეუსაბამო იყო „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ.თ-მ, რომელიც იყო მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის სანებართვო განყოფილების უფროსი, სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის ბრძანებაზე ელექტრონული თანხმობის გაცემისას, არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, არ გამოითხოვა ინფორმაცია შესაბამისი უწყებებიდან, არ შეისწავლა არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რასაც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის უხეში დარღვევით შედეგად მოჰყვა ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, რამაც არსებითად ხელყო სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

10.2 დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ

ყოველი სახის მაკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვისას, აუცილებელია შემოწმდეს ქმედების შემადგენლობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარე. ამასთან, აუცილებელია, რომ პირს ობიექტური შემადგენლობის ყოველი ნიშნის მიმართ გააჩნდეს განზრახვა.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მარტის განმარტება საქმეზე №527აპ-16 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.12.2015 წლის განაჩენით ფ.კ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 27 ივნისს, ფ.კ-ს და გამოძიებით დაუდგენელ პირს შორის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის აღსაკვეთად მისული შსს-ის უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროსი მ.ბ. და ბ.ი. საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორ გამომძიებელი ზ.წ. წარუდგინა მათ, როგორც პოლიციის მუშაკები, მოუწოდეს წესრიგის დარღვევის აღკვეთისაკენ, ასევე შეეცადნენ გაშველებასა და კანონიერი ზომების გატარებას, მაგრამ ფ.კ-მ ზ.წ-ს მისვლისთანავე, მისი საქმიანობის ხელის შეშლის, შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით, გაუწია წინააღმდეგობა, მის მიმართ გამოიყენა ძალადობა, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ასევე შემოახია სამსახურებრივი მაისური.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.06.2016 წლის განაჩენით, პროკურორის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება. ფ.კ-ს ქმედება სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. კასატორი – მსჯავრდებული ფ.კ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი იყო უკანონო და დაუსაბუთებელი.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მართალია, დადგენილად მიიჩნევა შემთხვევის ადგილზე ფ.კ-ს უცნობ პირთან ერთად ყოფნას, მაგრამ ფაქტი, რომ დასახელებულმა ორმა პირმა წინასწარი შეთანხმების გარეშე, ჯგუფურად განიზრახა დანაშაულის ჩადენა, წარმოადგენდა ვარაუდს, რომელიც არ იყო განმტკიცებული ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით. სააპელაციო პალატას მიღებულ გადაწყვეტილებაში ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარეზე არ უმსჯელია. ყოველი სახის მაკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვისას კი, აუცილებელი იყო, ქმედების შემადგენლობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარის შემოწმება. ამასთან, აუცილებელი იყო, რომ პირს ობიექტური შემადგენლობის ყოველი ნიშნის მიმართ ჰქონოდა განზრახვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემომითითებულ მოტივთა ერთობლიობაში გათვალისწინებით, პირთა შორის კონკლუდენტურად, წინასწარ შეთანხმებლად ჯგუფური დანაშაულის ჩადენის განზრახვა წარმოადგენდა ეჭვს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე უტყუარად ვერ დადასტურდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ ფ.კ-ს ქმედება სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

თვითნებობა

თუ პირმა იცის, რომ უფლება, რომელსაც ის ახორციელებს, მას არ ეკუთვნის, თვითნებობის შემადგენლობა გამოირიცხება.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განმარტება საქმეზე №531აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 30.03.2017 წლის განაჩენით ნ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.07.2017 წლის განაჩენით ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად. სასამართლომ დაადგინა, რომ ნ.მ-მ ჩაიდინა თვითნებობა, ე.ი. თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

მსჯავრდებულმა ნ.მ-მ საკასაციო საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატის განმარტება: თვითნებობისას, პირი, რომელიც მოქმედებს დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, ახორციელებს თავის ნამდვილ ან თავისად დაგულებულ უფლებას. თავისად დაგულებული უფლება ისეთი უფლებაა, როცა პირი შეცდომით ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს, ისარგებლოს ან არ ისარგებლოს კონკრეტული უფლებით. თუ პირმა იცის, რომ უფლება, რომელსაც ის ახორციელებს, მას არ ეკუთვნის, თვითნებობის შემადგენლობა გამოირიცხება.

პალატამ ასევე აღნიშნა, რომ თვითნებობა განზრახი დანაშაულია, რა დროსაც პირი აცნობიერებს, რომ თავის/თავისად დაგულებულ უფლებას კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ახორციელებს.

ბრალდების მხარის მოსაზრებით, უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება გამოიხატა იმაში, რომ ნ.მ-მ შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე ისარგებლა მიწის ნაკვეთით, რაც პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად დადასტურებულად მიიჩნია, რომ ნ-ს რაიონის გამგებლის გადაწყვეტილებით სადავო მიწის ნაკვეთით 2003 წლიდან სარგებლობდა ნ.მ.. მართალია, ოფიციალურად აღნიშნული ფაქტი არ დარეგისტრირებულა (არ ასახულა შესაბამისი მონაცემები საჯარო რეესტრის ბაზაში), მაგრამ მოწმეთა ჩვენებებით დგინდებოდა, რომ ეს ფაქტობრივი გარემოება არ იყო სადავო. ამდენად, საფუძველს იყო მოკლებული ბრალდების მხარის მოსაზრება, რომ ნ.მ. არ იყო უფლებამოსილი, ესარგებლა სადავო მიწის ნაკვეთით. ამასთან, მას შემდეგ, რაც სადავო მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა ა.ა-ს საკუთრების უფლება, ბუნებრივია, ნ.მ-ს შეეზღუდა მიწით სარგებლობის უფლება, თუმცა იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მან ამის შესახებ შეიტყო ქმედების განხორციელების შემდეგ, მისი ქმედება ვერ შეფასდებოდა თვითნებობად, ვინაიდან მისი განზრახვა ქმედების ჩადენის მომენტისთვის არ მოიცავდა თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელებას, რის გამოც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და ნ.მ. გამართლდა სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის დაუდასტურებლობის მოტივით.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება

სსკ-ის 362-ე მუხლის დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია და იგი დამთავრებულად ითვლება მოქმედების ჩადენისთანავე. აღნიშნული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამასთან ამ მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, პირმა იცოდეს, რომ ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც ის იყენებს, არის ყალბი.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 12 მარტის განმარტება საქმეზე №529აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

დ.ქ-ს ბრალი დაედო ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებაში, რაც გამოიხატა შემდეგში: დ.ქ-მ 25.02.1978 წელს შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შედეგად მიიღო მართვის მოწმობა „C“ კატეგორიით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებით, რომელშიც დაუდგენელმა პირმა

ყალბად მიუთითა „B“ კატეგორიით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება. მან აღნიშნული ყალბი მართვის მოწმობა 2017 წელს წარადგინა (გამოიყენა) სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოში და მოითხოვა მასში აღნიშნული, მათ შორის – ყალბი „B“ კატეგორიით ახალი მართვის მოწმობის გაცემა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 29.03.2018 წლის განაჩენით დ.ქ. გამართლდა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.06.2018 წლის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. დ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებული, საკასაციო საჩივრით ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის ძალაში დატოვებას.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 362-ე მუხლის დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია და იგი დამთავრებულად ითვლება მოქმედების ჩადენისთანავე, იქნება ეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება, თუ გამოყენება. ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება დამთავრებულად ითვლება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის ოფიციალური წარდგენის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მიაღწია თუ არა პირმა სასურველ შედეგს. აღნიშნული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამასთანავე, ამ მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, პირმა იცოდეს, რომ ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც ის იყენებს, არის ყალბი.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, რომ დ.ქ-ს გაცნობიერებული ჰქონდა ყალბი მონაცემების შემცველი დოკუმენტის ფლობისა და გამოყენების ფაქტი და მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მოტივაცია, რომ ბრალდების მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ დ.ქ-მ იცოდა მართვის მოწმობის გაყალბების ფაქტი და ამასთანავე, მას გააჩნდა მის სახელზე გაცემული სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობისა და გაფრთხილების ტალონში

მითითებული მონაცემებისადმი კანონიერი ნდობის საფუძველი, რასაც ადასტურებდა საქმეში არსებული მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი და უტყუარად ვერ ადასტურებდა, რომ დ.ქ-მ ჩაიდინა ბრალად შერაცხული ქმედება, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

11. დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

11.1 დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ

ცრუ დასმენა

ცრუ დასმენა ხდება მაშინ, როდესაც პირი სამართალდამცავ ორგანოში, მას შემდეგ, რაც მას დადგენილი წესით ოფიციალურად გააფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, გააკეთებს განცხადებას დანაშაულის თაობაზე ან მისი ჩამდენის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 22 ნოემბრის განმარტება საქმეზე №435აპ-19 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ა.ა-ს ბრალი დაედო: ბინაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლაში, რომელიც არღვევს ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობას; დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენაში; ცრუ დასმენაში, რასაც თან ერთვის ბრალდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ჩადენილი სხვა პირადი მოტივით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 16.10.2018 წლის განაჩენით ა.ა. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის

160-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 5.04.2019 წლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვდა ა.ა-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილითაც და მისთვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას, ხოლო ადვოკატი— ა.ა-ს გამართლებას სსკ-ის 160-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

საკასაციო პალატის განმარტება: ცრუ დასმენა ხდება მაშინ, როდესაც პირი სამართალდამცავ ორგანოში, მას შემდეგ, რაც მას დადგენილი წესით ოფიციალურად გააფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, გააკეთებს განცხადებას დანაშაულის თაობაზე ან მისი ჩამდენის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს. განსახილველ შემთხვევაში, ა.ა-ს განცხადება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისა და მისი ჩამდენის შესახებ სამართალდამცავ ორგანოში არ გაუკეთებია, არამედ მან ასეთი განცხადება გააკეთა სსიპ 112-ის ოპერატიულ სამსახურთან სატელეფონო კომუნიკაციის დროს, რომელიც არ წარმოადგენს სამართალდამცავ ორგანოს და რომლის ფუნქციას მხოლოდ ინფორმაციის (შეტყობინების) მიღება და გადაცემა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის, მომხდარი შემთხვევის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მსგავს შემთხვევასთან დაკავშირებით ერთხელ უკვე გააკეთა სათანადო განმარტება თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელშიც მიუთუთა, რომ პირის ქმედებაში გამოკვეთილი იყო არა ცრუ დასმენა, არამედ ცრუ შეტყობინება საინფორმაციო ცენტრ 112-ში, რაც არ იყო სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება, რადგან მოქმედი კანონმდებლობით მხოლოდ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება წარმოადგენს დასჯად ქმედებას. საინფორმაციო ცენტრ 112-ის სამსახურის არამიზნობრივად გამოყენება (კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში) წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ გადაცდომას და მისთვის შესაბამისი სახდელია დაწესებული (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 4 ოქტომბრის განჩინება №212 აპ-17 საქმეზე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მსჯავრდებულის ადვოკატის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებული ა.ა. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

11.2. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ

აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის/კერძო აღმასრულებლისათვის ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა

სსკ-ის 377¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობისათვის აუცილებელია სავალდებულო სუბიექტის არსებობა. ამასთან, სავალდებულო სუბიექტი სათანადო წესის დაცვით უნდა იყოს გაფრთხილებული ქონების ნუსხის წარდგენის ვალდებულების და ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ.

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377¹-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 5 აპრილის განმარტება საქმეზე №628აპ-15 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 4.04.2016 წლის განაჩენით დ.ვ. გამართლდა სსკ-ის 377¹-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში; 2015 წლის 21 აგვისტოს სააღსრულებო წარმოების ფარგლებში დ.ვ-ს კურიერის ა.ლ-ს მეშვეობით ჩაბარდა აღმასრულებლის მოთხოვნა ქონებრივი ნუსხის წარდგენის შესახებ და ამასთან, გააფრთხილეს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მან არ წარადგინა ქონებრივი ნუსხა აღმასრულებელთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.09.2016 წლის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და განაჩენი დარჩა უცვლელად. პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა დ.ვ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 377¹-ე მუხლით და მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის შესახებ, რომ სსკ-ის 377¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობისათვის აუცილებელი იყო სავალდებულო სუბიექტის არსებობა. ამასთან, სავალდებულო სუბიექტი სათანადო წესის დაცვით უნდა ყოფილიყო გაფრთხილებული ქონების ნუსხის წარდგენის ვალდებულების და ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული საქმის სასამართლო განხილვისას ბრალდების მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურდებოდა დ.ვ-ს მიერ დანაშაულის ჩადენა. კერძოდ, საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდებოდა, რომ დ.ვ. სათანადო წესის დაცვით გააფრთხილეს ქონების ნუსხის წარდგენის ვალდებულების და ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქმეში წარმოდგენილი იყო სავარაუდო ხასიათის ურთიერთსაწინააღმდეგო მასალები. ვარაუდი კი გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი ვერ გახდებოდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ზოგადი ნაწილი

1. სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა და პრინციპები

1.1 სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მისი ამოცანები და მოქმედების სფერო

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გამოყენების წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოქმედი სსსკ-ის შესაბამისი ნორმების მიხედვით, ხოლო დასაშვებობის ეჭაპის გადალახვის

შემთხვევაში საქმის არსებითი განხილვა უნდა წარიმართოს იმ საპროცესო კოდექსით, რომლითაც კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მიმდინარეობდა საქმისწარმოება და მიღებულ იქნა განაჩენი.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2, 314-ე მუხლები, 329-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 აპრილის განმარტება საქმეზე №108აგ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.07.2007 წლის განაჩენით გ.ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელების შეკრებითა და სსკ-ის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.02.2008 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: გ.ვ-ს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სასჯელების შეკრებითა და სსკ-ის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

უზენაესი სასამართლოს 15.09.2008 წლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მსჯავრდებულ გ.ვ-ს საკასაციო საჩივარი.

21.01.2015 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ა/ვ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა, რომელმაც სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.02.2008 წლის განაჩენის გადასინჯვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 28.01.2014 წლის განჩინების „გ.ვ. საქართველოს წინააღმდეგ“ საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 5.09.2017 წლის განაჩენით მსჯავრდებულის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.02.2008 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 5.09.2017 წლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელიც ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

საკასაციო პალატის განმარტება: მოქმედი სსსკ-ის (9.10.2009 წლის კანონი) მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის

დროს. ანალოგიური დათქმა ძველ – 20.02.1998 წლის სსსკ-შიც, კერძოდ: ამ კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. მოქმედი სსსკ-ის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება 20.02.1998 წლის სსსკ-ით დადგენილი წესით, გარდა ამავე კოდექსის 168¹-ე და 168²-ე მუხლებით გათვალისწინებული განრიგების გამოყენების შემთხვევებისა.

ამდენად, ა/გ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოქმედი – 9.10.2009 წლის სსსკ-ის შესაბამისი ნორმების მიხედვით, ხოლო დასაშვებობის ეტაპის გადალახვის შემთხვევაში საქმის არსებითი განხილვა უნდა წარმართოს იმ საპროცესო კოდექსით, რომლითაც კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მიმდინარეობდა საქმისწარმოება და მიღებულ იქნა გასაჩივრებული განაჩენი.²

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გ.ვ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა წარმართული იყო ძველი – 20.02.1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემდეგ საქმე უნდა განეხილა და განაჩენი გამოეტანა ამავე კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა და 5.09.2017 წლის განაჩენი გამოიტანა ამავე მოქმედი – 9.10.2009 წლის სსსკ-ის მიხედვით, ეს გარემოება, 20.02.1998 წლის სსსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 5.09.2017 წლის განაჩენი გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

ანალოგიურია: სუსგ №72აგ-17, 22.01.2018; №75აგ-17, 8.02.2018

1.1 სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია

² იხ. უზენაესი სასამართლოს 18.05.2017 წლის №222აგ-16 განჩინება; 4.07.2017 წლის №27აგ-17 განჩინება.

მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის განმარტება საქმეზე №482აპ-16 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

მ.ფ-ს ბრალი დაედო სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში: მ.ფ-მ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა ხ-ის მუნიციპალიტეტთან მდებარე, კომერციული თვალსაზრისით მიმზიდველი, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, 366080 ლარად ღირებული 3328 მ² მიწის ნაკვეთი. დანაშაულის ჩადენაში მხილების თავიდან აცილების მიზნით, მან ჩანაფიქრი თავის მეგობარს, ი.ყ-ს გაანდოდა შესთავაზა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების (ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ) საფუძველზე ხ-ს მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისიისათვის განცხადებით სწორედ ამ უკანასკნელს მიემართა. დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიების შემდეგ მ.ფ-მ შეაგროვა კომისიაში წარსადგენი დოკუმენტები და ი.ყ-ს ხელი მოაწერინა 2007 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ, ყალბი შინაარსის შემცველ განცხადებაზე.

მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებმა 2008 წლის 3 იანვრის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის სოფელში მდებარე 3328 მ² მიწის ნაკვეთის ი.ყ-ს საკუთრებად აღიარების შესახებ და იმავე წლის 3 იანვარს მის სახელზე გაიცა საკუთრების მოწმობა. რითაც მათ მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 26.11.2015 წლის განაჩენით მ.ფ. გამართლდა სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 7.06.2016 წლის განაჩენით პროკურორის

სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – პროკურორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მ.ფ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

საკასაციო პალატის განმარტება: ბრალდების მხარეს არ მოუპოვებია უტყუარ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა მ.ფ-ს მიერ სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. განსახილველ შემთხვევაში ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა სახეზე არ არის. ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.³

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესი, მათ შორის პროცესუალურ ასპექტებთან დაკავშირებული ელემენტები, შეჯიბრებითი უნდა იყოს და ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანასწორობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი, 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტები, 273-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის განმარტება საქმეზე №96აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 21.06.2016 წლის განაჩენით გ.ვ. გამართლდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. გ.ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი. საბოლოოდ,

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.01.2017 წლის გამამართლებელ განაჩენს მ.ფ-ს მიმართ ერთვის ერთი მოსამართლის განსხვავებული აზრი.

განაჩნთა ერთობლიობით, გ.ვ-ს სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი და 7 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26.12.2016 წლის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26.12.2016 წლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელიც საკასაციო საჩივრით ითხოვდა გ.ვ-ს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობას.

საკასაციო პალატის განმარტება: სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესი, მათ შორის პროცესუალურ ასპექტებთან დაკავშირებული ელემენტები, შეჯიბრებითი უნდა იყოს და ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანასწორობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის უფლება გულისხმობს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში როგორც ბრალდებას, ასევე დაცვას, მეორე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და მოსაზრებების გაცნობის საშუალება უნდა ჰქონდეს.

სსსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე; სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ; სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს მხარემ წარადგინოს დამატებითი მტკიცებულება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ არ წარადგინეს საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებით წარდგენილი მტკიცებულებები წინასასამართლო სხდომაზე, იყო დაცვის მხარის მიერ დაშვებული უხეში საპროცესო შეცდომა მტკიცებულებათა მოპოვების დროს. პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შესაბამისად არ იყო უფლებამოსილი დასაშვებად ეცნო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, იმის გამო, რომ დაცვა სათანადოდ არ იყო განხორციელებული, მსჯავრდებულის ინტერესებიდან გამომდინარე, მაინც დასაშვებად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით წარმოდგენილი მტკიცებულებები და ამასთან, შემდგომში სასამართლომ ისინი არასწორად გააანალიზა და შეაფასა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მტკიცებულებების შეფასების შედეგად დაასკვნა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი და სასამართლო

სხდომაზე გამოკვლეული უტყუარი და ურთიერთთავსებადი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდებოდა გ.ვ-ს მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით შერაცხული ქმედების ჩადენა, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილება იქნა შეტანილი: გ.ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით გ.ვ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. მტკიცებულება

2.1 მტკიცებულება, მტკიცების საგანი და პროცესი

პრეიუდიცია

გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 27 მარტის განმარტება საქმეზე №90აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 17.11.2016 წლის განაჩენით გ.ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 141-ე მუხლით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენით გ.ვ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.12.2016 წლის განაჩენით მსჯავრდებულ გ.ვ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 17.10.2016 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ვ.გ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მსჯავრდებულ ვ.გ-ს განმარტება, რომ იგი იყო უდანაშაულო და მიუთითა, რომ საქმის მასალების თანახმად, ვ.გ-მ როგორც 1-ლი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში აღიარა ჩადენილი დანაშაული და სადავოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი არცერთი მტკიცებულება, რის გამოც მათ მიენიჭათ პრეიუდიციული ძალა. სსსკ-ის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ. ამასთან, რაიმე ახალი მტკიცებულება, რაც ვ.გ-ს პოზიციას დაადასტურებდა, მას საკასაციო პალატაში არ ჰქონდა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ ვ.გ-ს მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში ჩამოყალიბებული დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებაში ვ.გ-ს ბრალეულობის თაობაზე, სავსებით აკმაყოფილებდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებდა საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ვ.გ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

პრეიუდიცია

სსსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეები საქმის ფაქტობრივ გარემოებებს გამოკვლევის გარეშე იღებენ მტკიცებულებად, ესე იგი ისინი თავისუფლდებიან მტკიცების ტვირთისგან, ხოლო ინფორმაცია კი ავტომატურად იძენს მტკიცებულებით ხასიათს, რაც, ბუნებრივია, არსებით სხლომაზე მათ დამატებით გამოკვლევას აღარ საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეიუდიციის ინსტიტუტი საერთოდ აზრს დაკარგავდა, რადგან ყველა ის მტკიცებულება, რომელსაც მხარეები პრეიუდიციად მიიჩნევდნენ, ნებისმიერ დროს გახდებოდა მხარეთათვის მიუღებელი და სადავო. შესაბამისად, სსსკ-ის 73-ე მუხლის მიხედვით, პრეიუდიცია გათანაბრებელია მტკიცებულებასთან და გათავისუფლებულია გამოკვლევის პროცესისგან.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები

ფოთის საქალაქო სასამართლოს 6.12.2017 წლის განაჩენით:

ა.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით.

გ.ჭ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 5.06.2018 წლის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: გ.ჭ. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

ა.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ წარმოდგენილი საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში ბრალდებულებმა აღიარეს მათთვის ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენა, დაცვის მხარე დაეთანხმა ბრალდების დადგენილებებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და უდავოდ ცნო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება (გარდა 3 მოწმის გამოკითხვის ოქმებისა, რომლებიც შემდეგ მოწმის სახით დაიკითხნენ სასამართლო სხდომაზე). ვინაიდან მხარეებმა სადავოდ არ გახადეს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, სსკ-ის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, ისინი სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა და იმავე კოდექსის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მათ მიენიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა, რის გამოც გამოკვლევის გარეშე მიიღეს მტკიცებულებად.

დადგენილი იყო ისიც, რომ ბრალდებულის სახით დაკავების მომენტიდან, საქმის არსებითი განხილვის ჩათვლით, ა.ა. თავს ცნობდა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რის შესაბამისადაც, იგი არსებით სხდომაზე აღარ დაკითხულა, ვინაიდან სასამართლოში მტკიცებულებები არ გამოკვლეულა (გარდა სამი მოწმის ჩვენებისა) და მის მიერ გამოძიებაში ბრალდებულის სახით მიცემული ჩვენება და, შესაბამისად, ჩვენებიდან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები როგორც თავად ა.ა-მ, ისე გ.ჭ-მ მიიჩნიეს პრეიუდიციად.

სსსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხარეები საქმის ფაქტობრივ გარემოებებს გამოკვლევის გარეშე იღებენ მტკიცებულებად, ესე იგი ისინი თავისუფლდებიან მტკიცების ტვირთისაგან,

ხოლო ინფორმაცია კი ავტომატურად იძენს მტკიცებულებით ხასიათს, რაც, ბუნებრივია, არსებით სხდომაზე მათ დამატებით გამოკვლევას აღარ საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეიუდიციის ინსტიტუტი საერთოდ აზრს დაკარგავდა, რადგან ყველა ის მტკიცებულება, რომელსაც მხარეები პრეიუდიციად მიიჩნევენ, ნებისმიერ დროს გახდებოდა მხარეთათვის მიუღებელი და სადავო. შესაბამისად, სსსკ-ის 73-ე მუხლის მიხედვით, პრეიუდიცია გათანაბრებულია მტკიცებულებასთან და გათავისუფლებულია გამოკვლევის პროცესისგან.

ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ა.ა-ს და გ.ჭ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის როგორც აღიარების, ასევე უდავოდ ცნობილი მტკიცებულებების, მათ შორის – ა.ა-ს ჩვენების, ლეგიტიმურობის საეჭვოდ მიჩნევის არანაირი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: გ.ჭ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი ა.ა-ს მსჯავრდების ნაწილში, დარჩა უცვლელად.

ანალოგიურია: საქმე №759 აპ-16, 11.04.2017

დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა

მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად სისხლის სამართლის საქმეზე უცხო სახელმწიფოს მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

– სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 მარტის განმარტება საქმეზე №567აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 20.07.2017 წლის განაჩენით გ.ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 27.06.2018 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატის განმარტება: სსსკ-ის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში ექსპერტი, რომელმაც უშუალოდ დაადასტურა ბრალდებულის დნმ-ის იდენტურობა შვეიცარიის ინტერპოლის მიერ საინფორმაციო ფურცელში ასახულ დნმ-თან, დაკითხული იყო. დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა, დაეკითხა ექსპერტი თავისი დასკვნის ფარგლებში. საკასაციო პალატას არ გააჩნდა საფუძველი საეჭვოდ მიეჩნია შვეიცარიაში გ.ჩ-გან დნმ-ის ნიმუშის აღების ფაქტი. საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც გ.ჩ-ს მიმართ გერმანიაში წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე შვეიცარიის დაინტერესებაზე მიუთითებდა.

სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადმოგზავნილ სისხლის სამართლის საქმეზე უცხო სახელმწიფოს მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა. საზღვარგარეთ მოპოვებული/შექმნილი მტკიცებულების შეფასების სხვაგვარი წესი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასამართლომ გ.ჩ-ის ბრალეულობის დასადგენად ინელმძღვანელა მტკიცებულებებით, რომლებიც გერმანიის სახელმწიფომ გამოუგზავნა საქართველოს. საქმის მასალების თანახმად, საკასაციო პალატას არ

გააჩნდა საფუძველი საეჭვოდ მიეჩნია შვეიცარიის ინტერპოლის ცნობა, ექსპერტიზის დასკვნები და მოწმე დ.კ.მ-ის ჩვენება. აღინიშნა, რომ ნიურნბერგ-ფიურტის მიწის სასამართლოს სისხლის სამართლის მე-5 პალატამ აგრეთვე გაიზიარა დოქტორ მ-ის კვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა ერთობლიობაზე დაყრდნობით საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ.ჩ-მ თანაამსრულებელთან ერთად ჩაიდინა: ყაჩაღობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ა.მ-ის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული.

მტკიცებულებათა შეფასება

მტკიცებულებები, რომლებიც საფუძველად ედება გამამტყუნებელ განაჩენსა და პირის დამნაშავედ ცნობას, უნდა შეფასდეს ორი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ, მათი უტყუარობის თვალსაზრისით, პირველ რიგში, ხოლო შემდეგ – მათი საკმარისობის თვალსაზრისით, თუკი ისინი უტყუარად იქნება მიჩნეული.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი, 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 269-ე მუხლის მე-2 ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის განმარტება საქმეზე №560აპ-16 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.10.2015 წლის განაჩენით ო.ც., ა.ა. და ო.ჭ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით; 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და განესაზღვრათ ა.ა-ს და ო.ჭ-ს 4-4 წლით, ო.ც-ს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 8.07.2016 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულებმა ა.ა-მ და ო.ჭ-მ საკასაციო საჩივრით ითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის ნაწილში, ხოლო მსჯავრდებულმა ო.ც-მ ითხოვა გამართლება.

საკასაციო პალატის განმარტება: მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად ედება გამამტყუნებელ განაჩენსა და პირის დამნაშავედ ცნობას, უნდა შეფასდეს ორი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ, მათი უტყუარობის თვალსაზრისით, პირველ რიგში, ხოლო შემდეგ – მათი საკმარისობის თვალსაზრისით, თუკი ისინი უტყუარად იქნება მიჩნეული, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ამავე დროს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი კიდევ უფრო აზუსტებს აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებას კონკრეტულად მტკიცებულებებთან მიმართებით, რომლის მიხედვით, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. გარდა ამისა, იმავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს აგრეთვე სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულება, რომლის მიხედვით, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, რომლებზეც სააპელაციო სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენში უთითებდა ო.ც-ს ბრალეულობის დასასაბუთებლად, საერთოდ არაფერ ხელჩასაჭიდს არ იძლეოდა ზემოაღნიშნულ დანაშაულში უშუალოდ ო.ც-ს მონაწილეობის დადასტურებისათვის. ამიტომ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ო.ც-ს ბრალეულობა მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდის დონეზე რჩებოდა და არ მოიპოვებოდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც აუცილებელი იყო პირის დამნაშავედ ცნობისათვის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით, რის გამოც დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულ ო.ც-ს უდანაშაულოდ ცნობისა და მისი გამართლების თაობაზე იყო საფუძვლიანი და ის დაკმაყოფილდა.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულების ა.ა-სა და ო.ჭ-ს საკასაციო საჩივრებში წარმოდგენილი მოთხოვნა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელების, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ერთი მესამედის პირობით ჩათვლის თაობაზე, არ დააკმაყოფილა, რადგან სასამართლომ გაითვალისწინა მათი აღიარებითი ჩვენებები და ისე განუსაზღვრა მათ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომა. ამავე დროს, მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ მათ სხვადასხვა დროს სამჯერ ჩაიდინეს ერთი და იგივე დანაშაული ერთსა და იმავე ობიექტზე, რის შედეგადაც სახეზე იყო საკმაოდ მოკლე დროის განმავლობაში ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, რაც მიუთითებდა მათ მტკიცე დანაშაულებრივ ნებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ა.ა-ს, ო.ჭ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. მსჯავრდებულ ო.ც-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: ო.ც. გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

ანალოგიურია: სუსგ №570აპ-16, 20.03.17

მტკიცებულებათა შეფასება

დაუშვებელია, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ტოვებდეს კითხვებს და ბალებდეს ეჭვს ისეთი სახის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს პირის ბრალეულობაზე.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე, მე-13 მუხლები, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტები
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ივნისის განმარტება საქმეზე №4აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1.08.2016 წლის განაჩენით ი.კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში. ზ.ხ-ს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ზ.ხ-მ და პროკურორმა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2.11.2016 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ზ.ხ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა გამართლებას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მის დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა იყო განაჩენში ცვლილების შეტანა: ი.კ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და შესაბამისი სასჯელების განსაზღვრა.

საკასაციო პალატამ განმარტება: დაუშვებელია, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ტოვებდეს კითხვებს და ბადებდეს ეჭვს ისეთი სახის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს პირის ბრალეულობაზე. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ როგორც ზ.ხ-თან, ისე ი.კ-თან მიმართებით ყაჩაღობის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენდა მხოლოდ ერთი, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი, რომელიც ვერ ქმნიდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებით სტანდარტს. ამდენად, ი.კ-ს და ზ.ხ-ს მიერ მითითებული ქმედების ჩადენა წარმოადგენდა ბრალდების მხარის ეჭვს, რომელიც უნდა გადაწყვეტილიყო მსჯავრდებულების სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ზ.ხ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: -ზ.ხ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში. ზ.ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა, მათ შორის ი.კ-ს გამართლების ნაწილში დარჩა უცვლელად.

ანალოგიურია: სუსგ №482აპ-16, 25.01.17; №291აპ-17, 9.11.18

მტკიცებულებათა შეფასება

არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოყალიბებული სტანდარტი, რომელთან მისადაგებთაც განისაზღვრება – საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, მათ შორის – მოწმის ჩვენება, პირდაპირია თუ ირიბი. ცალკეულ შემთხვევაში საამისოდ შესაძლოა, საჭირო გახდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრული ანალიზი მცდარი სამართლებრივი დასკვნების თავიდან ასაცილებლად.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლი, 75-ე-76-ე მუხლები

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №231აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ლ.კ-ს ბრალი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი ღარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში: შს სამინისტროს ... მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსს – ლ.კ-ს შეკამათება მოუვიდა ამავე განყოფილებაში მისულ ადვოკატ გ.მ-სთან, მისი დაცვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვან დ.ბ-თვის გაწეული იურიდიული კონსულტაციის – ბრალდებულის მიერ ღუმილის უფლების არჩევის გამო. ლ.კ-მ ძალადობით გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და გ.მ-ს მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.10.2017 წლის განაჩენით ლ.კ-ს ქმედება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 10000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.03.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

სასამართლომ დაადგინა, რომ ლ.კ-მ ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი ღარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა მისი მხრიდან ადვოკატ გ.მ-ს ადმინისტრაციული წესით დაკავების ბრძანების გაცემაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა იყო ლ.კ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრით, ხოლო დაცვის მხარის – გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ლ.კ-ს უდანაშაულოდ ცნობა.

საკასაციო პალატის განმარტება: სასამართლოები ზოგჯერ საკითხს იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ინფორმაცია ან საქმეში არსებული რაიმე ფაქტობრივი მონაცემი პირდაპირ თუ ირიბ ჩვენებას, ან სხვა პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მტკიცებულებას, წყვეტენ ამ მტკიცებულების წარმოშობის წყაროს, მისი ფორმირების პირობების, მომხდარი შემთხვევის განვითარებისა და დანაშაულის ჩადენის ვითარების თავისებურებებისა და სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. მხედველობაშია მისაღები, რომ არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოყალიბებული სტანდარტი, რომელთან

მისადაგებიანაც განისაზღვრება – საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, მათ შორის – მოწმის ჩვენება, პირდაპირია თუ ირიბი. ცალკეულ შემთხვევაში საამისოდ შესაძლოა, საჭირო გახდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრული ანალიზი მცდარი სამართლებრივი დასკვნების თავიდან ასაცილებლად.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ლ.კ-ს საქმეში პროკურატურის მიერ მისთვის წარდგენილი ბრალის დამადასტურებლად მხოლოდ ერთადერთი პირდაპირი ჩვენება არსებობდა, რომელიც ეკუთვნოდა დაზარალებულ გ.მ-ს, ხოლო სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა გ.მ-ს ჩვენების სისწორე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია, ამასთან, აღნიშნული ჩვენება არ იყო თანხვედრილი სხვა მტკიცებულებებთან. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ისეთ დასკვნას ვერ გაიზიარებდა, რომელიც ემყარებოდა იმ არასწორ წანამძღვარს, რომ მოწმე დ.ბ-ს მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო როგორც პირდაპირი ჩვენება, ვინაიდან მას არ დაუნახავს ოთახში (იგულისხმება პოლიციის თანამშრომლის – გ.ს-ს სამუშაო კაბინეტი) განვითარებული მოვლენები. საქმე ისაა, რომ აღნიშნული მოწმე უშუალოდ შეესწრო ლ.კ-ს მხრივ გ.მ-ს მიმართ დაწყებულ ძალადობას, კერძოდ, ის ამბობდა, რომ ურთიერთშელაპარაკების შემდეგ ლ.კ-მ ხელი ჰკრა გ.მ-ს სახესა თუ მკერდში, შეათრია ოთახში, რა დროსაც დაიყვირეს – „ხელობრიკილები მოიტანეთო“. ვინაიდან ოთახის კარი ოდნავ ღია იყო, ესმოდა ხელის დარტყმის ხმა და გ.მ-ს ხმა – „ადვოკატი ვარ, ნუ მირტყამთო“. ამ ჩვენებით ირკვეოდა, რომ ლ.კ-ს უკანონო ძალადობა გ.მ-ს მიმართ ჯერ კიდევ გ.ს-ს კაბინეტის გარეთ დაიწყო, რაც უწყვეტად გაგრძელდა ჯერ კაბინეტის კარებამდე, ხოლო შემდეგ – კაბინეტში, საიდანაც მოწმეს მოესმა დაზარალებულის ყვირილი – „ნუ მირტყამთო“. თუ რა გაგრძელება ჰქონდა კაბინეტში ლ.კ-ს ძალადობას, ამას უკვე აზუსტებდა თვით დაზარალებულ გ.მ-ს თანმიმდევრული და დეტალური ჩვენება, რომელშიც იგი დეტალურად აღწერდა ლ.კ-ს მიერ მასზე განხორციელებულ ძალადობას.

პალატის მითითებით, განხილული ორი ჩვენებიდან მოწმე დ.ბ-ს ნაამბობი წარმოადგენდა პირდაპირ ჩვენებას ლ.კ-ს მიერ ჯერ კიდევ კაბინეტის გარეთ გ.მ-ს მიმართ დაწყებული ძალადობის ნაწილში, რომელიც სრულად შეესაბამებოდა დაზარალებულის პირდაპირ ჩვენებას, რომელშიც წარმოდგენილი იყო უკვე კაბინეტში მის მიმართ მსჯავრდებულის მხრიდან კიდევ უფრო მძიმე ფორმით გაგრძელებული ძალადობის სურათი. ორივე ჩვენება, რომლებიც ერთმანეთს ავსებდნენ და შესაფასებელი ფაქტის სრულ, დამაჯერებელ სურათს წარმოადგენდნენ, ერთობლივად იძლეოდა სრულიად არაორაზროვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მომხდარის თაობაზე, კერძოდ: ნამდვილად ლ.კ. ახორციელებდა უკანონო ძალადობას გ.მ-ს მიმართ, რაც მის ცემაში გადაიზარდა და სწორედ ამაში გამოიხატებოდა მსჯავრდებულის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რითაც არსებითად დაირღვა დაზარალებულის

პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. დაზარალებულ გ.მ-სა და მოწმე დ.ბ-ს ურთიერთთავსებადი პირდაპირი ჩვენებების სისწორეს ადასტურებდა სხვა არაპირდაპირი ჩვენებებიც, ამრიგად, აქ განხილული პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში იყო, არავითარ საფუძველს არ ტოვებდა ობიექტური დამკვირვებლისათვის, რომ გასჩენოდათ გონივრული ეჭვი მაღალი სტანდარტით დადასტურებული ფაქტის მიმართ, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულმა ლ.კ-მ დაზარალებულ გ.მ-ს მიმართ ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედება – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულისათვის საუარესოდ: ლ.კ-ს ქმედება სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და ლ.კ-ს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

მტკიცებულებათა შეფასება

ძალადობრივი ქმედების ჩადენისას, როდესაც საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულება, ფაქტი ან მონაცემი, რომელიც შეიძლება საფუძველი გახდეს გონივრული ეჭვისთვის, რომ დაზარალებულს შესაძლოა, დაზიანებები მიეღო სრულიად სხვა ვითარებაში, სხვა დროს, სხვა პირისგან და არა ბრალდებულის მიერ მის მიმართ ჩადენილი ძალადობის შედეგად, სასამართლო-სამედიცინო თუ სხვა სახის ექსპერტიზის დასკვნა, როდესაც ის პირდაპირ და ობიექტურად ასახავს დამნაშავის მიერ ჩადენილი ძალადობის კვლებსა და შედეგებს, იძენს პირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობას და დაზარალებულის (მოწმის) თუნდაც ერთ პირდაპირ ჩვენებასთან, ასევე სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებებთან ერთად ქმნის მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რაც სავსებით საკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

იმ საკითხის შეფასება და გადაწყვეტა – ესა თუ ის მტკიცებულება წარმოადგენს თუ არა პირდაპირ ან არაპირდაპირ მტკიცებულებას, ანდა უტყუარად ცნობილი მტკიცებულებების ერთობლიობა საკმარისია თუ არა საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დონეზე, უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევისადმი ინდივიდუალური მიდგომით, კონკრეტული ფაქტების, გარემოებებისა და მომხდარი შემთხვევის კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით. მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას ნებისმიერი შემთხვევისათვის მხოლოდ ზოგადი ნორმატიული მოთხოვნებია სავალდებულო, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული. მაგრამ კონკრეტული შემთხვევის

განხილვისას, ცალკეული მტკიცებულებისა თუ მტკიცებულებათა ერთობლიობის სტატუსის განსაზღვრა მთლიანად სასამართლო შეფასების საკითხია, ისევე როგორც ეს ხდება მტკიცებულების უტყუარობის შეფასებისას.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 01 ნოემბრის განმარტება საქმეზე №346აპ-19 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

რ.უ-ს ბრალად წარედგინა: ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი; სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა; ძალადობით პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით; ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება, შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 18.12.2018 წლის განაჩენით რ.უ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (იმ ნაწილში, რომელიც ეხება ყალბი პირადობის მოწმობის დამზადებას) წარდგენილ ბრალდებებში. რ.უ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი პირადობის მოწმობის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 7.03.2019 წლის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა რ.უ-ს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება) წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნობას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ძალადობრივი ქმედების ჩადენისას მოცემულ საქმეზე აღწერილ და სხვა მსგავს ვითარებაში (მათ შორის განზრახ ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისა თუ სხვადასხვა ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებშიც), როდესაც საქმეში არ

მოიპოვება ისეთი მტკიცებულება, ფაქტი ან მონაცემი, რომელიც შეიძლება საფუძველი გახდეს გონივრული ეჭვისთვის, რომ დაზარალებულს შესაძლოა, დაზიანებები მიეღო სრულიად სხვა ვითარებაში, სხვა დროს, სხვა პირისგან და არა ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ მის მიმართ ჩადენილი ძალადობის შედეგად, სასამართლო-სამედიცინო თუ სხვა სახის (მაგალითად, ბიოლოგიური) ექსპერტიზის დასკვნა, როდესაც ის პირდაპირ და ობიექტურად ასახავს დამნაშავეს მიერ ჩადენილი ძალადობის კვლევას და შედეგებს, იძენს პირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობას და დაზარალებულის (მოწმის) თუნდაც ერთ პირდაპირ ჩვენებასთან, ასევე სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებებთან (მათ შორის – არაპირდაპირ ჩვენებებთან) ერთად ქმნის მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რაც სავსებით საკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. ხოლო ამგვარი საკითხის გადასაწყვეტად რაღაც ერთიანი, უნივერსალური ტრაფარეტის დადგენა და გამოყენება არც მიზანშეწონილია და არც შესაძლებელი.

საკასაციო პალატამ დამატებით ასევე განმარტა, რომ იმ საკითხის შეფასება და გადაწყვეტა – ესა თუ ის მტკიცებულება წარმოადგენს თუ არა პირდაპირ ან არაპირდაპირ მტკიცებულებას, ანდა უტყუარად ცნობილი მტკიცებულებების ერთობლიობა საკმარისია თუ არა საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დონეზე, უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევისადმი ინდივიდუალური მიდგომით, კონკრეტული ფაქტების, გარემოებებისა და მომხდარი შემთხვევის კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით. მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას ნებისმიერი შემთხვევისათვის მხოლოდ ზოგადი ნორმატიული მოთხოვნებია სავალდებულო, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული. მაგრამ კონკრეტული შემთხვევის განხილვისას, ცალკეული მტკიცებულებისა თუ მტკიცებულებათა ერთობლიობის სტატუსის განსაზღვრა მთლიანად სასამართლო შეფასების საკითხია, ისევე როგორც ეს ხდება მტკიცებულების უტყუარობის შეფასებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: რ.უ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2016 წლის 14 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი პირადობის მოწმობის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება) და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით; დანარჩენ ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

2.2 შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი

შუამდგომლობის დაყენების უფლება და წესი

20.02.1998 წლის სსსკ-ით წარმართულ საქმეზე სამოქალაქო სარჩელთან მიმართებით, მათ შორის – ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით დადებული ყადაღის მოხსნის მოთხოვნა, მაშინ, როდესაც საქმეზე დამთავრებულია სამართალწარმოება, არ წარმოადგენს მოქმედი – 9.10.2009 წლის სსსკ-ით განსახილველ მოთხოვნას.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი, მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 თებერვლის განმარტება საქმეზე №331-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.10.2004 წლის ბრძანებით, სს „... ბანკისთვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო ბრალდებულების ვ. და მ. ნ-ების ქონებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს 26.02.2007 წლის განაჩენით მ.ნ. გამართლდა სსკ-ის 19,109-ე მუხლის „თ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მ.ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 220-ე მუხლით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდისგან გათავისუფლდა სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 ნაწილის, 503-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. მ.ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წ. 1-ელ ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და ერთობლივად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სს „... ბანკის“ სამოქალაქო სარჩელი და სამოქალაქო მოპასუხე მ.ნ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 225700 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 13000 ლარის გადახდა. ამასთან, ძალაში დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.10.2004 წლის ბრძანება ვ. და მ. ნ-ების ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.07.2007 წლის განჩინებით თბილისის საოლქო სასამართლოს 26.02.2007 წლის განაჩენი შეიცვალა მხოლოდ მსჯავრდებულ ვ.ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

2017 წლის 21 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივრით მიმართა მ.ნ-ს ადვოკატმა, რომელიც ითხოვდა ვ. და მ. ნ-ების ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.10.2004 წლის ბრძანების გაუქმებას იმ საფუძველით, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 26.02.2007 წლის განაჩენი სამოქალაქო მოპასუხე მ.ნ-ს მიმართ სს „... ბანკის“ სამოქალაქო სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში ვერ აღსრულდებოდა, რადგან გასული იყო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნისთვის კანონით დადგენილი 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.10.2017 წლის განჩინებით მ.ნ-ს ადვოკატის საჩივარი (შუამდგომლობა) არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.11.2017 წლის განჩინებით მ.ნ-ს ადვოკატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.10.2017 წლის განჩინება დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ.ნ-ს ადვოკატმა, რომელიც ითხოვდა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.10.2017 წლის განჩინების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.11.2017 წლის განჩინებისა და ვ. და მ. ნ-ების ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.10.2004 წლის ბრძანების გაუქმებას.

საკასაციო პალატის განმარტება: მოქმედი – 9.10.2009 წლის სსსკ-ის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება წარადგინონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო შუამდგომლობას, საჩივარს იხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით, ხოლო მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენცია არის ამ კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოქმედი სსსკ არ ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დადებული ყადაღის მოხსნის მოთხოვნით სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვისა და სასამართლოს მიერ ასეთი მოთხოვნის განხილვის პროცედურას (რაც სამოქალაქო წესით განსაზღვრული მოთხოვნაა), საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მ.ნ-ს ადვოკატის ზემოაღნიშნული შუამდგომლობის განხილვა არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას და, შესაბამისად, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, სისხლის სამართლის წესით განეხილა წარმოდგენილი საჩივარი.

ამასთან, მართალია, 20.02.1998 წლის სსსკ-ით შესაძლებელი იყო სს საქმესთან ერთად სამოქალაქო სარჩელისა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხილვა, მ.ნ-ს საქმეც ძველი საპროცესო კოდექსით იყო განხილული და ვ. და მ. ნ-ების

ქონებასაც ყადაღა იმავე კოდექსის საფუძველზე დაედო, მაგრამ, ვინაიდან აღნიშნულ საქმეზე დამთავრებული იყო სამართალწარმოება (მით უფრო, რომ განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსით მსჯავრდების ნაწილში იყო აღსრულებული), საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ვრცელდებოდა მოქმედი სსსკ, რომელიც არ ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად დადებული ყადაღის მოხსნის მოთხოვნის განხილვას და, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს არ ჰქონდა ასეთი მოთხოვნის განხილვის საკანონმდებლო საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.11.2017 წლის განჩინება მ.ნ-ს ადვოკატის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დარჩა უცვლელად.

3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, აღკვეთის ღონისძიების შერჩევა, საპროცესო შეთანხმება

პირის ბრალდებულად ცნობა

როდესაც ფაქტობრივი გარემოებების აღწერასა და ქმედების კვალიფიკაციასთან ერთად საბრალდებო დოკუმენტსა თუ გამამტყუნებელ განაჩენში შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციის შინაარსიცაა წარმოდგენილი, ეს უფრო მეტ სისრულესა და სრულყოფილებას ანიჭებს პირის მიმართ წარდგენილ ან შერაცხულ ბრალს, მაგრამ მისი არარსებობა არ შეიძლება გახდეს ბრალისა და დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 9 იანვრის განმარტება საქმეზე №456აპ-16 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით გ.ჩ-ას ბრალი დაედო სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა, ოჯახში ძალადობა, ე.ი. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, რასაც არ მოჰყოლია სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი (2 ეპიზოდი) და რაც გამოიხატა

შემდეგში: 2016 წლის 14 მარტს, დაახლოებით 22.51 საათზე, გ.ჩ-ა თავის საცხოვრებელ სახლში, დაუკავშირდა 112-ის ოპერატორს და განზრახ გადასცა ცრუ შეტყობინება ქურდობის შესახებ, თითქოსდა მას მოჰპარეს 200 კგ თხილი. 2016 წლის 17 მარტს გ.ჩ-ამ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე რამდენჯერმე დაარტყა ხელი სხეულის სხვადასხვა ადგილას ოჯახის წევრებს: დედას – ი.ბ-ას და დას – ც. ხ-ას, რის გამოც მათ განიცადეს ფიზიკური ტკივილი. 2016 წლის 24 მარტს გ.ჩ-ამ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ოჯახის წევრს – ი.ბ-ას მოქაჩა თმა და წიხლი ჩაარტყა ფეხში, რა დროსაც მან განიცადა ფიზიკური ტკივილი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 19.04.2016 წლის განაჩენით გ.ჩ-ას ქმედება სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (17.03.2016 წლის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (24.03.2016 წლის ეპიზოდი) და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა. შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით გ.ჩ-ას საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა. მან ითხოვა გ.ჩ-ას დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სასჯელის ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.06.2016 წლის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 19.04.2016 წლის განაჩენი შეიცვალა: გ.ჩ-ას ქმედება სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან (17.03.2016 წლის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (24.03.2016 წლის) და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა. შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით გ.ჩ-ას საბოლოოდ მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი – პროკურორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ სასამართლომ არასწორად გადააკვალიფიცირა მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რადგან ბრალის დისპოზიციაში, სადაც არ წერია „ორი ან მეტი პირი“, არ იყო კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვდა ქმედების სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირებას და სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე გ.ჩ-ასათვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

საკასაციო პალატის განმარტება: იმის გამო, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში 2016 წლის 17 მარტის ეპიზოდთან დაკავშირებით არ იყო

მითითებული ბრალდებულის მიერ ამ ქმედების ორი პირის მიმართ ჩადენის შესახებ, სასამართლოებმა მიიჩნიეს: ხსენებული საბრალდებო დოკუმენტით გ.ჩ-ს ფაქტობრივად ბრალი არ ჰქონდა წარდგენილი ოჯახში ძალადობის მაკვალიფიცირებელ გარემოებაში ანუ ორი პირის მიმართ ჩადენაში.

სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების სავალდებულო რეკვიზიტებს, არ არის მითითებული ბრალდების ამ დოკუმენტში სამართლებრივი შეფასების სახით შესაბამის სისხლისსამართლებრივ ნორმაში მოცემული დისპოზიციის შინაარსის გადმოცემის ვალდებულებაზე და ამ უკანასკნელზე, როგორც სავალდებულო რეკვიზიტზე. ამ საპროცესო ნორმის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ ხსენებულ დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, საშუალება და იარაღი, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეული შედეგი. რაც შეეხება იმავე საპროცესო ნორმის „დ“ ქვეპუნქტს, მასში ნათქვამია, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს სსკ-ის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ჩადენილი დანაშაული. ამ მიმართებით რაიმე სხვა მოთხოვნას სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილი ბრალდების მხარეს არ უყენებს.

საკასაციო პალატის აზრით, საპროცესო კანონით დადგენილი ყველა სავალდებულო მოთხოვნა ბრალდების მხარეს შესრულებული ჰქონდა. მართალია, უმრავლეს შემთხვევაში, როგორც პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებში, ასევე მათ შესაბამისად გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში, გარდა ზემოაღნიშნული რეკვიზიტებისა, მითითებულია ასევე შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაზეც, მაგრამ ასეთი მითითება მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკითაა დამკვიდრებული, თუმცა ის არც ამჟამად წარმოადგენს და არც წინათ წარმოადგენდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნას. რა თქმა უნდა, როდესაც ფაქტობრივი გარემოებების აღწერასა და ქმედების კვალიფიკაციასთან ერთად საბრალდებო დოკუმენტსა თუ გამამტყუნებელ განაჩენში შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციის შინაარსიცაა წარმოდგენილი, ეს უფრო მეტ სისრულესა და სრულყოფილებას ანიჭებს პირის მიმართ წარდგენილ ან შერაცხულ ბრალს, მაგრამ მისი არარსებობა არ შეიძლება გახდეს ბრალისა და დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: გ.ჩ-ს ქმედება სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (2016 წლის 17 მარტის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ მუხლით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 373-ე

მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელები და გ.ჩ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს. შეურაცხაობის საკითხის განხილვა

მართალია, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მოთავსების პერიოდი არ ითვლება სასჯელის ვადაში, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სსკ არ აწესრიგებს სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით მოთავსების პერიოდის ჩათვლის საკითხს სასჯელის მოხდის ვადაში – განაჩენის გამოტანამდე. საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით პირის მიმართ შეფარდებული სასჯელის აღსრულება არ შეჩერებულა, ხოლო ბოლო – თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დგინდება, რომ მას სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვს და ამჟამადაც აგრძელებს მის მოხდას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული საკითხი, მსჯავრდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ და ზემოხსენებული ვადა მას უნდა ჩაეთვალოს სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილი

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი, იმავე კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 მარტის განმარტება საქმეზე №549 აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.05.2018 წლის განაჩენით ვ.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, ბოლო განაჩენით შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.09.2017

წლის განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – რეალურად მოსახდელი თავისუფლების აღკვეთა 8 თვე, 2 დღე და 4 წელი პირობითი მსჯავრი, იმავე გამოსაცდელი ვადით და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ, მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ.ა-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო განაჩენის მიღების დღიდან – 2018 წლის 18 მაისიდან და მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა წინა განაჩენით ნაწილობრივ მოხდილი სასჯელი – 3 თვითა და 28 დღით (2017 წლის 16 აგვისტოდან 2017 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით) თავისუფლების აღკვეთა.

სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულმა დანიშნული სასჯელი უნდა მოიხადოს შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო დაწესებულებაში) – შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხონი-ქუტირი), გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდა უნდა გააგრძელოს საერთო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.05.2018 წლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში, კერძოდ: მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ განაჩენის გამოტანისას არ იყო ნასამართლევი, სასამართლომ არ მიუსაჯა სასჯელის მინიმუმი. გარდა ამისა, 2017 წლის 14 დეკემბრიდან 2018 წლის 18 მაისამდე პერიოდი – 5 თვე და 3 დღე, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა სამკურნალო დაწესებულებაში, არ ჩათვალა სასჯელის მოხდის ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.07.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებულის ადვოკატი, საკასაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებასა და მსჯავრდებულისათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას; ამასთან, იმ ვადის სასჯელის ვადაში ჩათვლას, რომლის განმავლობაშიც იგი მოთავსებული იყო სამკურნალო დაწესებულებაში, კერძოდ, 5 თვისა და 3 დღის ჩათვლას სასჯელის ვადაში.

საკასაციო პალატის განმარტება: სააპელაციო პალატის მსჯელობასთან დაკავშირებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.05.2018 წლის განაჩენის გამოტანამდე ვ.ა-ს მიერ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხონი-ქუტირი) ყოფნის პერიოდი – 5 თვე და 3 დღე მოიცავდა ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, ფსიქიატრიულ მკურნალობას, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლებოდა სასჯელის მოხდის ვადაში, საკასაციო პალატამ მიუთითა: მართალია, სააპელაციო პალატა სწორად აღნიშნავდა, რომ ვ.ა-ს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხონი-ქუტირი) მოთავსების პერიოდი არ

ითვლებოდა სასჯელის ვადაში, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სსკ არ აწესრიგებს სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით მოთავსების პერიოდის ჩათვლის საკითხს სასჯელის მოხდის ვადაში – განაჩენის გამოტანამდე. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზეც, რომ როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვეოდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.09.2017 წლის განაჩენით ვ.ა-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის აღსრულება არ შეჩერებულა, ხოლო ბოლო – თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.07.2018 წლის განაჩენით დგინდებოდა, რომ მას სასჯელის მოხდა განსაზღვრული ჰქონდა და იმჟამადაც აგრძელებდა მის მოხდას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული საკითხი, მსჯავრდებულ ვ.ა-ს საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყვეტილიყო მის სასარგებლოდ და ზემოხსენებული ვადა ვ.ა-ს უნდა ჩათვლოდა სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.07.2018 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება: ვ.ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და დანაშაულთა ერთობლიობით ვ.ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.09.2017 წლის განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – რეალურად მოსახდელი თავისუფლების აღკვეთა 8 თვე, 2 დღე და 4 წელი პირობითი მსჯავრი, იმავე გამოსაცდელი ვადით და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ ვ.ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის დღიდან – 18.05.2018 წლიდან და სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა წინა განაჩენით ნაწილობრივ მოხდილი სასჯელი თავისუფლების აღკვეთა – 9 თვე და 2 დღე (2017 წლის 16 აგვისტოდან – 2018 წლის 18 მაისამდე პერიოდი).

სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულმა სასჯელი უნდა მოიხადოს შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში – შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხონი-ქუტირი) გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც სასჯელის მოხდა უნდა გააგრძელოს საერთო წესით.

5. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიებანი

აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგი

თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე განჩინებით გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მე-200 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილები, 307-ე მუხლია 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განმარტება საქმეზე №372აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 7.11.2017 წლის განაჩენით ვ.ხ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. გაუქმდა ვ.ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით გადახდილი თანხა სრულად დაუბრუნდა მის შემტან პირს. გამართლებულ ვ.ხ-ს განემარტა სსსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოითხოვნის უფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 4.05.2018 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – პროკურორი ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და ვ.ხ-ს დამნაშავედ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში, ასევე – გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დაბრუნებას, რადგან გამართლებულმა დაარღვია გირაოს პირობები და არ შეასრულა ვალდებულება – პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლებისთანავე ჩაებარებინა საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ვ.ხ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.07.2017 წლის განჩინებით შეფარდებული ჰქონდა გირაო – 15000 ლარი, საპატიმრო უზრუნველყოფით. მასვე იმავე განჩინებით პენიტენციური

დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაეკისრა გამომძიებლისათვის პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ყველა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება. იმავე წლის 14 ივლისს ბრალდებულმა გადაიხადა გირაოს თანხა და გათავისუფლდა პატიმრობიდან, თუმცა, მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ ჩააბარა ზემომითითებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ჯერ 2017 წლის 14 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის, ხოლო იმავე წლის 15 ივლისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიმართულებით გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.07.2017 წლის გადაწყვეტილებით ვ.ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო, შეიცვალა პატიმრობით, ხოლო პროკურორის 2017 წლის 19 ივლისის დადგენილებით გამოცხადდა მისი ძებნა. აქვე აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილების შესაბამისად, გირაოს შეტანის წინ როგორც ვ.ხ., ისე უშუალოდ მისი შემტანი მ.ხ. გაფრთხილებულები იყვნენ წერილობითი ვალდებულებით, ბრალდებულ ვ.ხ-ს მიერ გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ვ.ხ-მ არ შეასრულა თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.07.2017 წლის განჩინებით დაკისრებული ვალდებულება, არ ჩააბარა მისი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ყველა დოკუმენტი და გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რითაც დაარღვია მითითებული ღონისძიების გამოყენების პირობა, რაც, თავის მხრივ, სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, წარმოადგენს – გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის საფუძველს. საკასაციო პალატამ ასევე არასწორად მიიჩნია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 4.05.2018 წლის განჩინებით ვ.ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს გაუქმება, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უკვე გაუქმებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება გირაოს გამოყენების შესახებ და დაკმაყოფილებული პროკურორის შუამდგომლობა ვ.ხ-თვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში შევიდა ცვლილება აღკვეთის ღონისძიების ნაწილში. გაუქმდა ვ.ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა, ხოლო გირაოს სახით შეტანილი თანხა – 15000 ლარი სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. განჩინი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

6. წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

კასაცია

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამოძინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამოძინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქმარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლია 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 7 მარტის განმარტება საქმეზე №507აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 21.11.2016 წლის განაჩენით ზ.ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.06.2017 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

სასამართლომ დაადგინა, რომ ზ.ფ-მ ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით.

კასატორი – მსჯავრდებული ზ.ფ. საჩივრით ითხოვს მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცეს ზ.ფ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და მათ მიერ გამოტანილი დასკვნა მისი ბრალეულობის შესახებ არ აკმაყოფილებს სსსკ-ით დადგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ. განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან.

ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად საკასაციო პალატა ვერ დარწმუნდა ზ.ფ-ს ბრალეულობაში, ვინაიდან ისინი წინააღმდეგობრივი და ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ზ.ფ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

ანალოგურია: სუსგ №393აპ-17, 3.01.2018; №549აპ-17, 22.03.2018

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

გარემოებები, რაც დადგენილი იყო ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სრულიად გამორიცხავდა თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს – „სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“ და ასევე თაღლითობის სუბიექტურ მხარეს – განზრახვას, რომ პირს გათვითცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა, ასევე, გამორიცხავდა ანგარების მოტივისა და მიზნის არსებობას.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლია 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განმარტება საქმეზე №5აკ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 17.03.2017 წლის განაჩენით გ.დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 20500 ლარი.

იმავე განაჩენით დ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 10500 ლარი.

იმავე განაჩენით მ.ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 2500 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.11.2017 წლის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2012 წლის 3 ოქტომბერს მ-ს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის – გ.დ-ს ორგანიზებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ.დ-ს დეიდაშვილს – დ.ქ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქონების ურთიერთგადაცემის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1947 მ² მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული 88 მ² პოლიციის ყოფილი შენობა დამხმარე ნაგებობებით ... მდებარე 15 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ გადაეცა დ.ქ-ს.

აღნიშნული ურთიერთგაცვლელი ქონება, მათ გაცვლამდე შპს „ა“-ის ექსპერტ მ.ტ-ს დახმარებით, კერძოდ, გ.დ-სა და დ.ქ-თან დანაშაულებრივი შეთანხმებით, შეფასდა თითოეული – 128000 ლარად, რის საფუძველზეც მითითებულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა მოახერხა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოტყუება და საქართველოს მთავრობის თანხმობის მიღება ქონებათა გაცვლაზე.

გამოძიების მიერ ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ გაცვლის მომენტში სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების რეალური ღირებულება შეადგენდა 982420 ლარს, ხოლო დ.ქ-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის ღირებულება – 102742 ლარს, ხსენებული ქმედებით სახელმწიფოს მიაღდა 879678 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

მსჯავრდებულები მ.ტ, გ.დ. და დ.ქ. საკასაციო საჩივრებით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თავად ბრალდების მხარის მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ ქონების გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დაცვით განხორციელდა და დ.ქ-ს ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა, ხოლო პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ მ.ტ-ს განზრახვას – დახმარება გაეწია სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებაში, საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა. შესაბამისად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არ იკვეთებოდა. განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი მტკიცებულებებით, დადასტურებული არ იყო, რომ მ.ტ-მ გ.დ-თან და დ.ქ-თან დანაშაულებრივი შეთანხმებით, ურთიერთგადასაცემი ქონება განზრახ შეაფასა არარეალურ ფასად, შემდგომში სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით.

ხსენებული საკითხის განხილვისას მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ის ფაქტიც, რომ აუდიტმა მ.ტ-მ ურთიერთგადასაცემი ქონება შეაფასა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე.

საკასაციო პალატის მითითებით, გარემოებები, რაც დადგენილი იყო ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სრულიად გამორიცხავდა მოცემულ შემთხვევაში თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს – „სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“ და ასევე თაღლითობის სუბიექტურ მხარეს – განზრახვას, რომ პირს გათვითცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა, ასევე, გამორიცხავდა ანგარების მოტივისა და მიზნის არსებობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ გახდებოდა გ.დ-ს, მ.ტ-სა და დ.ქ-ის მსჯავრდების საფუძველი.

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული არ იყო შესაბამისი ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ეჭვი, მსჯავრდებულის შერაცხადობასთან დაკავშირებით, მსჯავრდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყვეტილიყო მის სასარგებლოდ.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ზ.ს-ს ბრალი დაედო ძარცვაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.04.2017 წლის განაჩენით ზ.ს. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.11.2017 წლის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. ზ.ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ზ.ს-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ.გ-მ. კასატორი საჩივრით ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო პალატის მოტივაცია იმ მიმართებით, რომ საქმეზე პირის ფსიქიკური შერაცხადობის დასადგენად, აუცილებელი იყო შესაბამისი ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის არსებობა, რომლითაც დადგინდებოდა შერაცხადობა/შეუარაცხადობის საკითხი, რაც საქმეზე წარმოდგენილი არ იყო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის ჩადენიდან მსჯავრდებულმა მალევე მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, სადაც მას ჩაუტარდა ფსიქიატრიული მკურნალობა, დაზარალებულის ჩვენების გათვალისწინებით, რომელმაც ვერ გაიგო რას ითხოვდა მსჯავრდებული და არაადეკვატური ეჩვენა იგი, არაეფექტურად განხორციელებული დაცვის, საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის აშკარად არაადეკვატური ქმედებებისა და ყველა აღნიშნული გარემოებების ერთობლივად მხედველობაში მიღებით მსჯავრდებულის შერაცხადობასთან დაკავშირებით, გაჩნდა რეალური ეჭვი და ბუნდოვანება, რომლის გაბათილებისა და აღმოფხვრის შესაძლებლობა საკასაციო პალატას საკასაციო განხილვის ეტაპზე კანონისმიერად არ გააჩნდა, ვინაიდან არ იყო უფლებამოსილი, მოეპოვებინა დამატებითი მტკიცებულებები და დაედგინა ზ.ს-ს შერაცხადობის საკითხი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მითითებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული არ იყო შესაბამისი ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ეჭვი,

მსჯავრდებულ ზ.ს-ს შერაცხადობასთან დაკავშირებით, მსჯავრდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყვეტილიყო მის სასარგებლოდ.
აღნიშნულის გათვალისწინებით, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი. ზ.ს. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

მოწმის ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტს, რის გამოც (კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა) არ შეიძლება პირის მსჯავრდების საფუძველი გახდეს.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 იანვრის განმარტება საქმეზე №448აპ-18 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 31.01.2018 წლის განაჩენით მ.ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი. მასვე 2 წლით ჩამოერთვა საქმიანობის – ნადირობის უფლება.

აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მ.ვ-მ ჩაიდინა უკანონო ნადირობა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ნადირზე, რაც გამოიხატა შემდეგში: სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე მ.ვ-მ სანადირო გლუვლულიანი თოფით უკანონოდ მოკლა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გარეული ცხოველი – არჩვი, რითაც გარემოს მიაღვა – 30000 ლარის მატერიალური ზიანი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.05.2018 წლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა გამართლება შერაცხულ ბრალდებაში.

საკასაციო პალატის განმარტება: საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მართალია, დადასტურებულია, რომ მოკლული ცხოველი გარემოს დაცვის

დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს იმ ავტომანქანიდან, რომელშიც ისხდნენ მ.ვ. და ა.გ., ასევე დადასტურებულია მსჯავრდებულის კუთვნილი სანადირო თოფიდან გასროლისა და მისი ვარგისიანობის ფაქტიც, თუმცა ის, რომ არჩვი უშუალოდ მ.ვ-მ მოკლა, არ არის დადგენილი პირდაპირ მტკიცებულებათა ერთობლიობით. ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც ბრალდების მხარეს წარმოდგენილი აქვს, არის გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი სპეციალისტის შედგენილი აქტი, რომელშიც დაფიქსირებულია მ.ვ-ის განმარტება, რომ არჩვი მოკლა კუთვნილი თოფიდან გასროლით, მაგრამ მხოლოდ ეს მტკიცებულება არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭირო აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტს.

რაც შეეხება გარემოს დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების ჩვენებებს, ისინი ირიბი ხასიათისაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მოწმის ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტს, რის გამოც (კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა) არ შეიძლება პირის მსჯავრდების საფუძველი გახდეს.

სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ანალოგიური შინაარსის შემცველია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც: „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ.ვ. მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უნდა გამართლდეს სსკ-ის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

შესაბამისად, მსჯავრდებულ მ.ვ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მ.ვ-ს მიმართ; მ.ვ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

დაზარალებულის მიერ პირის ამოცნობის ოქმი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ მტკიცებულებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყარო იყო ერთი და იგივე პირი. სხვა რაიმე სახის მასალა კი, რომელიც დაზარალებულის ჩვენებაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს დაადასტურებდა, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განმარტება საქმეზე №541აპ-19 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.06.2018 წლის განაჩენით: გ.თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.05.2019 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ: 2017 წლის 23 სექტემბერს, 03:00 საათიდან – 04:00 საათამდე ღროის მონაკვეთში, თბილისში ... ქუჩის მიმდებარედ, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნასამართლევნი გ.თ. თავს დაესხა ტაქსის მძღოლ გ.ო-ს, მისი თანხის მისაკუთრების მიზნით, დაადო დანა გულმკერდის არეში და სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაეუფლა მის კუთვნილ თანხას – 20 ლარს.

კასატორი – მსჯავრდებული გ.თ. ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი გ.თ-ს ყაჩაღობაში დამნაშავედ ცნობისათვის. მართალია, ამოცნობის ოქმის თანახმად, დაზარალებულმა გ.ო-მ ამოიცნო გ.თ., მაგრამ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დაზარალებულის მიერ გ.თ-ს ამოცნობის ოქმი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ მტკიცებულებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყარო იყო ერთი და იგივე პირი, კერძოდ, გ.ო. (მოცემულ საკითხზე არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა; იხ. 12აპ-14 გადაწყვეტილება). სხვა რაიმე სახის მასალა კი, რომელიც დაზარალებულის

ჩვენებაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს დაადასტურებდა, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ.თ-ს ბრალის შინაარსის უტყუარობასთან დაკავშირებით გაჩნდა ეჭვი, რომელიც სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ გადაწყდა. საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაუქმდა: გ.თ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. გამართლებულს განემარტა სსსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 259-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი

გამამართლებელი განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ არსებითად დაარღვია სსსკ-ის 259-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები იმის თაობაზე, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული და ის უნდა გამომდინარეობდეს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომლებიც საქმის სასამართლო განხილვის დროს იყო გამოკვლეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მარტის განმარტება საქმეზე №626აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.12.2016 წლის განაჩენით ა.ბ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 4.10.2017 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორებმა. კასატორები საჩივრით ითხოვდნენ ა.ბ-ის დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა დასაბუთებული საფუძველი საიმისოდ, არ მიეღო საქმეში არსებული კანონიერი მტკიცებულებები, აგრეთვე – ის ფაქტობრივი

გარემოებები, რომლებიც დადგენილი იყო მოცემულ საქმეზე ჩატარებული სასამართლო გამოძიების შედეგად და პირდაპირ გამომდინარეობდა აღნიშნული მტკიცებულებებიდან. ეს მტკიცებულებები, რომლებიც ა.ბ-ს ამხელდნენ დ.ო-ს განზრახ მკვლელობის ჩადენაში, მთლიანად აკმაყოფილებდა მათ მიმართ წარდგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მოთხოვნას და ერთობლიობაში, ისინი სავსებით საკმარის საფუძველს ქმნიდნენ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისა და ა.ბ-ის დამნაშავედ ცნობისათვის. მოცემულ შემთხვევაში მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ ა.ბ-ის ბრალეულობას, სავსებით შეესაბამებოდნენ შეფასების იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გამომდინარეობენ სსსკ-ის 82-ე მუხლიდან და, ამის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან.⁴

საბოლოოდ საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა.ბ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ არსებითად დაარღვია სსსკ-ის 259-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები იმის თაობაზე, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული და ის უნდა გამომდინარეობდეს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომლებიც საქმის სასამართლო განხილვის დროს იყო გამოკვლეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. ა.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ანალოგიურია: სუსგ №699აპ-17, 17.05.2018

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა

ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული ან მოწმე პირდაპირ ასახელებს განსასჯელის ვინაობას, ამასთან, თითქმის მომხდარი შემთხვევის მომენტში ადასტურებს, რომ ის არის მისი ნაცნობი და აღწერს მის გარეგნობას, არ არსებობს დაზარალებულის მიერ ბრალდებულის ამოცნობის აუცილებლობა, რადგან მსგავს შემთხვევაში ასეთი საპროცესო მოქმედება პრაქტიკულ მნიშვნელობას კარგავს.

⁴ საქმე №397აპ-14

დაუშვებელია პირდაპირი ჩვენების არსი იმდენად ვიწრო ფარგლებში განვიხილოთ და ისეთ უკიდურესობამდე შევზღუდოთ, რომ ასეთი სახის მტკიცებულების შეფასებისას, ყოვლად გაუმართლებლად, მოწყვეტილი აღმოვჩნდეთ რეალური სინამდვილისა და მისი ადეკვატური სამართლებრივი შეფასებისგან, რაც უთუოდ დიდად დაზარალებს კანონიერი და ობიექტური მართლმსაჯულების ინტერესებს.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 75-ე-76-ე, 82-ე მუხლები

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის განმარტება საქმეზე №117აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 11.07.2017 წლის განაჩენით ლ.ყ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 8.01.2018 წლის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელიც ითხოვდა ლ.ყ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საკასაციო პალატის განმარტება: ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული ან მოწმე პირდაპირ ასახელებს განსასჯელის ვინაობას, ამასთან, თითქმის მომხდარი შემთხვევის მომენტში ადასტურებს, რომ ის არის მისი ნაცნობი და აღწერს მის გარეგნობას, არ არსებობს დაზარალებულის მიერ ბრალდებულის ამოცნობის აუცილებლობა, რადგან მსგავს შემთხვევაში ასეთი საპროცესო მოქმედება პრაქტიკულ მნიშვნელობას კარგავს.

საკასაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, რომელმაც საქმეზე მოწმედ დაკითხული პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები მიიჩნია ირიბ ჩვენებებად და მხოლოდ დაზარალებულ ლ.ტ-ს ჩვენება მიიჩნია პირდაპირ ჩვენებად, რაც არასაკმარისი იყო გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. პალატამ განმარტა, რომ დაუშვებელია პირდაპირი ჩვენების არსი იმდენად ვიწრო ფარგლებში განვიხილოთ და ისეთ უკიდურესობამდე შევზღუდოთ, რომ ასეთი სახის მტკიცებულების შეფასებისას, ყოვლად გაუმართლებლად, მოწყვეტილი აღმოვჩნდეთ რეალური სინამდვილისა და მისი ადეკვატური სამართლებრივი

შეფასებისგან, რაც უთუოდ დიდად დააზარალებს კანონიერი და ობიექტური მართლმსაჯულების ინტერესებს. ლ.ყ-ს დანაშაულთან მიმართებით მოცემულ საქმეზე მოწმედ დაკითხული პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები სრულიად შესაძლებელი იყო, განხილულიყო პირდაპირი ჩვენებების რანგში, რადგან შემთხვევის ადგილზე მოვლენები – მათი დასაწყისიდან დასასრულამდე – განვითარდა დროის უმოკლეს მონაკვეთში, რისი მეშვეობითაც პოლიციის თანამშრომლებმა დანაშაულის ჩადენის ადგილზევე წაასწრეს შეიარაღებულ ლ.ყ-ს და მის ახლოს მყოფ დაზარალებულ ლ.ტ-ს, რომელსაც დაზიანებული სახიდან სისხლი ჩამოსდიოდა და რომელმაც მასზე მიუთითა, როგორც მის მიმართ ყაჩაღური თავდასხმის ჩამდენ პირზე, ხოლო ლ.ყ-ს ისევ ეჭვითაა ხელში ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის გამოყენებითაც მან ჩაიდინა დაზარალებულზე ყაჩაღური თავდასხმა. მსგავს შემთხვევაში, როდესაც მოწმე შემთხვევის ადგილზევე წაასწრებს დამნაშავეს დაზარალებულთან ერთად, რომელსაც აშკარად ამჩნევია დანაშაულის შედეგად მიყენებული დაზიანების კვალი, ამასთან, ამგვარ წასწრებას თან ახლავს სხვა არსებითი და საგულისხმო გარემოებებიც, მაგალითად, სროლის ხმა, რაიმე იარაღი სავარაუდოდ დამნაშავეს ხელში, ასევე, სისხლის ან სხვა საეჭვო კვალი ამ უკანასკნელის სხეულსა თუ ტანსაცმელზე, დაზარალებულის ყვირილი და საშველად მოხმობა და სხვა, ასეთი მოწმის ჩვენება სავსებით შესაძლებელია, ჩაითვალოს პირდაპირ ჩვენებად, რომელიც დაზარალებულის ჩვენებასთან ერთად მოგვცემს პირდაპირი ჩვენებების ისეთ ერთობლიობას, რაც შეიძლება საკმარისად დასაბუთებული და კანონიერი საფუძველი გახდეს პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. რა თქმა უნდა, აუცილებლად იგულისხმება, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი მტკიცებულებების სანდოობის შემოწმება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

განხილული გარემოებებისა და მათ საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში მოიპოვებოდა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილი და საპროცესო ნორმების დაცვით გამოკვლეული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამისად, დასტურდებოდა, რომ ლ.ყ-მ ჩაიდინა ყაჩაღობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ლ.ყ-ს მიმართ; ლ.ყ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა

პირის ბრალდება ემყარებოდა არა მხოლოდ მოწმეების დეპონირებულ ჩვენებებს, არამედ ასევე სხვა მტკიცებულებებს, კერძოდ: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც სრულად იყო თანხვედნილი სხვათა ჩვენებებთან და რომლითაც დადგენილი იყო, რომ დაზარალებულს აღენიშნებოდა დაზიანება გულმკერდის არეში.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განმარტება საქმეზე №334აპ-18 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

ა.ხ-ს ბრალი დაედო ცემაში (ძალადობაში), რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 8.01.2018 წლის განაჩენით ა.ხ. გამართლდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2016 წ. 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.) წარდგენილ ბრალდებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 27.04.2018 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და ა.ხ-ს დამნაშავედ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში.

საკასაციო პალატის განმარტება: სააპელაციო პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარის პირდაპირი მოწმეები არ დაკითხულან არსებითი განხილვის სხდომაზე, არ გაიზიარა მათი ჩვენებები და, შესაბამისად, არც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადგენილი იყო, რომ დაზარალებულ გ.მ-ს მიყენებული ჰქონდა დაზიანება. პალატამ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია იმ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ა.ხ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო პალატამ მტკიცებულებათა დასაშვებობისა და მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, კერძოდ, მიუთითა: ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ, თუმცა ადამიანის

უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი იცავს პირის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, აღნიშნული მუხლი არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესებს. იგი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრეროგატივაა, ხოლო ევროპული სასამართლოს ფუნქციაა, მთლიანობაში შეაფასოს სამართალწარმოების სამართლიანობა („ფრუმკინი რუსეთის წინააღმდეგ“)

როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვეოდა, გამოძიებამ დაზარალებული გ.მ. და მოწმე გ.მ. გამოკითხა შემთხვევის დღესვე – 2016 წლის 27 ივლისს, ხოლო მოგვიანებით, 2016 წლის 4 აგვისტოს, ვინაიდან ორივე მათგანი იყო აზერბაიჯანის მოქალაქე და დიდი ხნით ტოვებდნენ საქართველოს, პროკურორმა მოსამართლის წინაშე დაკითხვის შესახებ შუამდგომლობით მიმართა მაგისტრატ მოსამართლეს. ისინი მოწმის სახით იმავე დღეს დაკითხნენ მოსამართლესთან. მოწმეთა დაკითხვას ესწრებოდა ბრალდებულ ა.ხ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ბ.ბ., რომელმაც მოწმეებს კითხვები დაუსვა. რაც შეეხება ბრალდების მხარის დანარჩენი მოწმეების – კ.ს-ს, ზ.მ-ს და მ.მ-ს ჩვენებებს, მათი გამოკითხვის ოქმები, სსსკ-ის 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გამოქვეყნდა სასამართლო სხომაზე.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესით წინასწარი გამოძიების ეტაპზე მიეცა და ჰქონდა შესაძლებლობა, მოსამართლის წინაშე დაეკითხა ბრალდების მხარის მოწმეები – გ.მ. და გ.მ., რითიც მან ისარგებლა კიდევ.

საკასაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ ა.ხ-ს ბრალდება ემყარებოდა არა მხოლოდ მოწმეების – გ.მ-ს და მოწმე გ.მ-ს დებონირებულ ჩვენებებს, არამედ ასევე სხვა მტკიცებულებებს, კერძოდ: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც სრულად იყო თანხვედრილი გ.მ-ს და გ.მ-ს ჩვენებებთან და რომლითაც დადგენილი იყო, რომ გ.მ-ს აღენიშნებოდა დაზიანება გულმკერდის არეში; ასევე – მოწმე მ.ფ-ს ჩვენებას, რომელიც, მართალია, უშუალოდ არ შესწრებია მომხდარ ფაქტს, თუმცა ადასტურებდა, რომ ა.ხ-ს და მასთან მდგმურად მყოფ დამსვენებლებს შორის მართლაც მოხდა კონფლიქტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა.ხ-მ ჩაიდინა ცემა (ძალადობა), რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. ა.ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2016 წ. 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

განაჩენში ცვლილების შეტანა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

ის ფაქტობრივი გარემოება, რომელმაც გამოიწვია პირის მსჯავრდება სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აღარ იწვევდა, რის გამოც პირის მიმართ შეწყდა დევნა სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლია 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი და 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განმარტება საქმეზე №405აპ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 29.03.2017 წლის განაჩენით რ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა მის მიმართ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 10.08.2016 წლის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – დაემატა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ რ.მ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 19.05.2017 წლის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის საუარესოდ სასჯელის ნაწილში, კერძოდ: სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით რ.მ-ს მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 10.08.2016 წლის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ რ.მ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ.მ-მ ჩაიდინა ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა, რაც გამოიხატა შემდეგში: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 25.04.2016 წლის განაჩენით რ.მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით. ამავე განაჩენით, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სხვა უფლებებთან ერთად, 3 წლით ჩამოერთვა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; მიუხედავად აღნიშნულისა, მან არ შეასრულა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის მოთხოვნა

და 2016 წლის 5 ნოემბერს მართავდა თავისავე კუთვნილ ავტომანქანას, რაშიც ამხილეს შსს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

კასატორი – მსჯავრდებული ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას.

საკასაციო პალატის განმარტება: განსახილველ შემთხვევაში სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების საფუძველი წარმოშვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 25.04.2016 წლის განაჩენით რ.მ-ს სსკ-ის 273-ე მუხლით დამნაშავედ ცნობამ („ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანის“) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება). ის ფაქტობრივი გარემოება, რომელმაც გამოიწვია რ.მ-ს მსჯავრდება სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აღარ იწვევს, რის გამოც რ.მ-ს მიმართ უნდა შეწყდეს დევნა სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება: შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა რ.მ-ს მიმართ სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 10.08.2016 წლის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი დარჩა ძალაში და რ.მ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება

სასამართლოთა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის გენეტიკური პროფილის აღმოუჩენლობა ნივთზე ადასტურებს მის უდანაშაულობას, დაუსაბუთებელია და საკასაციო პალატა მას არ იზიარებს. მეტიც, თუკი სასამართლოები მსგავს პოზიციას განამტკიცებენ, ამით შესაძლოა, წახლისდეს კრიმინალი იმ თვალსაზრისით, რომ ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა და ა.შ. ისეთი საშუალებით, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც ნივთზე არ დარჩება პირის გენეტიკური პროფილი, უპირობოდ იქნება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი, რაც, ბუნებრივია, საკასაციო სასამართლოსთვის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაზე ზედამხედველი უმაღლესი ორგანოსათვის, მიუღებელია.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №262აპ-17 (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

კ.კ-ს ბრალი ედებოდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.08.2016 წლის განაჩენით კ.კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 16.02.2017 წლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატის განმარტება: საკასაციო პალატა არ დაეთანხმა 1-ლი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენების დასაბუთებას – ნარკოტიკული საშუალების შენაფუთზე კ.კ-ს გენეტიკური პროფილის აღმოუჩენლობის მოტივაციით კ-ს უდანაშაულობის შესახებ მაშინ, როდესაც საკასაციო პალატამ გ.ვ-ს საქმეზე ერთხელ უკვე გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, რომლითაც ვ. სწორედ ანალოგიური საფუძვლით იყო გამართლებული⁵. აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როცა მოწმე პოლიციელების ჩვენებების სანდობაში არავითარი ეჭვის საფუძველი არ არსებობდა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამოღებული ნივთიერების შენაფუთზე არ გამოვლინდა პირის გენეტიკური პროფილი – არ წარმოადგენდა მისი გამართლების საფუძველს, ვინაიდან ექსპერტთა განმარტებით, შესაძლოა, პირი შეხებოდა საგანს და მასზე არ დარჩენილიყო მისი გენეტიკური პროფილი.

სასამართლოთა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის გენეტიკური პროფილის აღმოუჩენლობა ნივთზე ადასტურებდა მის უდანაშაულობას, დაუსაბუთებელია და საკასაციო პალატა მას კვლავაც არ იზიარებს. მეტიც, თუკი სასამართლოები მსგავს პოზიციას განამტკიცებენ, ამით შესაძლოა, წახლისდეს კრიმინალი იმ თვალსაზრისით, რომ ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, ცეცხლსასროლი

⁵ საქმე №96აპ-17, 10.05.2017

იარაღის უკანონო შექენა-შენახვა და ა.შ. ისეთი საშუალებით (მაგ. ხელთათმანებით), რომლის გამოყენების შემთხვევაშიც ნივთზე არ დარჩება პირის გენეტიკური პროფილი, უპირობოდ იქნება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი, რაც, ბუნებრივია, საკასაციო სასამართლოსთვის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაზე ზედამხედველი უმაღლესი ორგანოსათვის, მიუღებელია.

ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებდა, რომ იმ პირობებში, როდესაც არსებობდა მოწმე პოლიციელების თანმიმდევრული, თანხდენილი ჩვენებები, რომელთა ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის საფუძველი არ არსებობდა, ასევე საქმეში იყო ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმი, შედგენილი საპროცესო ნორმების სრული დაცვით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, საპროცესო მოქმედებები ჩატარებული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით და პოლიციელთა მხრიდან ბრალდებულის მიმართ რაიმე ინტერესი არ იკვეთებოდა, მხოლოდ ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რომ ნივთზე არ აღმოჩნდა ბრალდებულის გენეტიკური პროფილი, თანაც, როდესაც ექსპერტები განმარტავდნენ, რომ შესაძლო იყო, ნივთზე შეხების შემთხვევაშიც კი არ დარჩენილიყო გენეტიკური პროფილის კვლევისთვის საჭირო მინიმალური კონცენტრაცია, არ წარმოადგენდა უპირობოდ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს.

წინამდებარე ბრალდების საქმეზე კი, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები უნდა გადაწყვეტილიყო ბრალდებულის სასარგებლოდ, მითუმეტეს, რომ ამას ემატებოდა ბრალდებულის ჩვენებაც, რომელიც სრულიად განსხვავებულად აღწერდა თავისი დაკავების ფაქტს, რასაც ადასტურებდა ბრალდებულის მეუღლეც. ყოველივე ეს ობიექტურ დამკვირვებელში აჩენდა ეჭვს, რომელიც არ იყო გაქარწყლებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი დარჩა უცვლელად.

6.2 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველები

საქმეებზე, როდესაც ვლინდება მსჯავრდებულის მიმართ სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, ბრალდების მხარე არ უნდა შეიზღუდოს და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სრულყოფილად განახორციელოს კანონით დაკისრებული მოვალეობა, რისი წინაპირობაც არის წარდგენილი

შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განხილვა სასამართლოში.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 7 აპრილის განმარტება №25აგ-17 საქმეზე (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 27.10.2008 წლის განაჩენით თ.ბ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 24,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. თ.ბ. დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.02.2013 წლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე მსჯავრდებულ თ.ბ-ს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი სასჯელი 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2017 წლის 1 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორმა, რომელიც სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვდა მსჯავრდებულ თ.ბ-ს მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვას და საქმის არსებითად განხილვას იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არსებითად დაირღვა მსჯავრდებულ თ.ბ-ს პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება. აღნიშნული დადგინდა ახალი გამოძიების პირობებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14.02.2017 წლის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა.

საკასაციო პალატის განმარტება: სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი იყო საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორის 2017 წლის 17 იანვრის დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ

სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც ირკვეოდა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არსებითად დაირღვა მსჯავრდებულ თ.ბ-ს პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება, რაც დადგენილი იქნა ახალი გამოძიების პირობებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებებით.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსგავს საქმეებზე, როდესაც ვლინდება მსჯავრდებულის მიმართ სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, ბრალდების მხარე არ უნდა შეიზღუდოს და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სრულყოფილად განახორციელოს კანონით დაკისრებული მოვალეობა, რისი წინაპირობაც არის წარდგენილი შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განხილვა სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ დაკმაყოფილდა და გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები

სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მსჯავრდებულს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ესარგებლა განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებით, რა ღროსაც მისთვის საბოლოო სასჯელი განისაზღვრებოდა ახალი კანონის შესაბამისად, საკასაციო პალატამ, მის წინაშე არსებული კონკრეტული მოცემულობის გათვალისწინებით, არ გაიზიარა და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარე შუამდგომლობდა განაჩენის გადასინჯვას მხოლოდ სასჯელის ნაწილში, რაც მსჯავრდებულის მიერ სამომავლოდ განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში არ იქნებოდა შემაფერხებელი საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოსთვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლო არ აფასებდა განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არ მსჯელობდა ქმედების კვალიფიკაციის სისწორესა და შეფარდებული სასჯელის სამართლიანობაზე.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე, 332¹-ე მუხლები
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე, მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 21 აპრილის განმარტება №211აგ-16 საქმეზე (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.08.2009 წლის განაჩენით კ.ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 12.03.2013 წლის განჩინებით კ.ტ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.08.2009 წლის განაჩენით დანიშნული სასჯელები გაუნახევრდა და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა, რომლებიც ითხოვდნენ კ.ტ-ს მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.08.2009 წლის განაჩენის გადასინჯვას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლისა და სსკ-ის 59-ე მუხლში 17.04.2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 12.10.2016 წლის განჩინებით მსჯავრდებულის ადვოკატების შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებულ კ.ტ-ს ადვოკატები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განხილვას.

საკასაციო პალატის განმარტება: სსკ-ის 332¹-ე მუხლის თანახმად, სსკ-ის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძველებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება იმ შემთხვევაშიც, თუ სსკ-ის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილით მსჯავრდებულის მდგომარეობა უმჯობესდება.

ვინაიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.08.2009 წლის განაჩენის თანახმად, კ.ტ. იყო ნასამართლობის არმქონე, მისი მდგომარეობა, სსკ-ის 59-ე მუხლის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, უმჯობესდებოდა, რაც სსკ-ის 332¹-ე მუხლის თანახმად, განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-100 მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, ამ კოდექსის დებულებებს ჰქონდა უკუძალა, თუ ამით უმჯობესდებოდა არასრულწლოვნის მდგომარეობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენით არასრულწლოვან კ.ტ-ს მიმართ არ იყო გამოყენებული იმ დროს მოქმედი სსკ-ის 88-ე მუხლით დადგენილი შეღავათები, მოსალოდნელი იყო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უკუძალით გავრცელების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მსჯავრდებულს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ესარგებლა განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებით, რა დროსაც მისთვის საბოლოო სასჯელი განისაზღვრებოდა ახალი კანონის შესაბამისად, საკასაციო პალატამ, მის წინაშე არსებული კონკრეტული მოცემულობის გათვალისწინებით, არ გაიზიარა და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარე შუამდგომლობდა განაჩენის გადასინჯვას მხოლოდ სასჯელის ნაწილში, რაც მსჯავრდებულის მიერ სამომავლოდ განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში არ იქნებოდა შემაფერხებელი საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოსთვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლო არ აფასებდა განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არ მსჯელობდა ქმედების კვალიფიკაციის სისწორესა და შეფარდებული სასჯელის სამართლიანობაზე.

სასამართლოს უნდა შეესრულებინა მხოლოდ კანონის იმპერატიული მოთხოვნა დანაშაულთა ერთობლიობისას საბოლოო სასჯელის შეფარდებისა და არასრულწლოვნისთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრის შესახებ, რაც არ წარმოადგენდა შეფასების საგანს და, შესაბამისად, განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაშიც არც ერთ ასპექტში არ იქნებოდა საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს შემბოჭავი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 12.10.2016 წლის განჩინება მსჯავრდებულ კ.ტ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ გაუქმდა და წარმოება დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის განსახილველად დაშვებისათვის.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გაუქმება და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტი

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განმარტება საქმეზე №80აგ-17 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>)

თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.03.2008 წლის განაჩენით ი.შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.04.2008 წლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.01.2009 წლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მსჯავრდებულ ი.შ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე.

2016 წლის 28 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა, რომელიც სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვდა ი.შ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვას და საქმის არსებითად განხილვას იმ მოტივით, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის 2016 წლის 25 ივლისის დადგენილებით „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“ გაირკვა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არსებითად დაირღვა მსჯავრდებულ ი.შ-ს თავისუფლების, პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება, რაც ცნობილი არ იყო გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.06.2017 წლის განაჩენით პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.03.2008 წლისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.04.2008 წლის განაჩენები დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელიც ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღებას.

საკასაციო პალატის განმარტება: 310-ე მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას

ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო.

მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“ დადგენილებითა და ახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მასალებით გაირკვა, რომ ი.შ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არსებითად დაირღვა მისი უფლებები, რაც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო, კერძოდ: საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში დაწყებულია გამოძიება საქართველოს შ.ს. სამინისტროს სოდ-ის თანამშრომლების მიერ ი.ჯ-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

აღნიშნული გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ახალი მასალების, საქმის გარემოებებისა და სააპელაციო სასამართლოს სხდომებზე გამოკვლეული ახალი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ მოცემულობით აღარ დასტურდებოდა ი.შ-ს მიერ სადავო განაჩენით დადგენილი დანაშაულებრივი ქმედების – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის – ჩადენის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.06.2017 წლისა და 29.04.2008 წლის განაჩენები გაუქმდა და ი.შ-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით – 0,8492 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონო შეძენასა და შენახვაში.

შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება

დაუსრულებელი სამართალწარმოების საქმეზე განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შესაძლოა, გადაისინჯოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მათ შორის – როდესაც ეს სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა, ან როდესაც საკითხი ეხება სასჯელის განსაზღვრას კანონის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ შეიძლება შეფასების საგანი იყოს და განსხვავებულად გადაწყდეს საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილი

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 23.04.2008 წლის განაჩენით ლ.ბ. (დაუსწრებლად) ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 31.08.2016 წლის განჩინებით მსჯავრდებულ ლ.ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე არ იქნა დაშვებული განსახილველად.

2017 წლის 26 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ლ.ბ-მ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 23.04.2008 წლის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა მისი დანაშაულში მონაწილეობა, გარდა იმ დაზარალებულ პოლიციელთა ჩვენებებისა, რომლებიც იძლეოდნენ ურთიერთგამომრიცხავ და არაღამაჯერებელ ჩვენებებს, როგორც გამოძიებაში, ისე – სასამართლოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 4.08.2017 წლის განჩინებით მსჯავრდებულ ლ.ბ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

კასატორი – ლ.ბ. საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას.

საკასაციო პალატის განმარტება: კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს სსსკ-ით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 23.04.2008 წლის განაჩენი ლ.ბ-ს მიმართ გამოიტანა მის დაუსწრებლად, რომლის სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებაც დღეის მდგომარეობითაც აქვს მსჯავრდებულს. შესაბამისად, ამ ეტაპზე საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის.

დაუსრულებელი სამართალწარმოების საქმეზე განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, შესაძლოა, გადასინჯოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მათ შორის – როდესაც ეს სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა, ან როდესაც საკითხი ეხება სასჯელის განსაზღვრას კანონის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ შეიძლება შეფასების საგანი იყოს და განსხვავებულად გადაწყდეს საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენს შეფასების საგანს, რაც საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს და რაზეც სააპელაციო სასამართლო იმსჯელებს ლ.ბ-ს

მიერ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 23.04.2008 წლის განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ ლ.ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე იყო კანონიერი, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც დარჩა უცვლელად.

ანალოგიურია: №230აგ-16, 22.05.2017; №1აგ-18, 15.06.18; №77აგ-18, 29.11.2018

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძველები

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ მსჯავრდებულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას მათ მიმართ გამოტანილი შესაბამისი გამამტყუნებელი განაჩენებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332¹-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 12 აპრილის განმარტება №199აგ-16 საქმეზე (prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 9.12.2011 წლის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და დ.ჭ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. დ.ჭ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 222-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2 წელი განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 2 წელი ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

18.07.2016 წლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა და სსსკ-ის 332¹-ე მუხლის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა და გამართლება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით

დევილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილების საფუძველზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 19.09.2016 წლის განაჩენით მსჯავრდებულის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელიც ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

საკასაციო პალატის განმარტება: სსსკ-ის 332¹-ე მუხლში, ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძველებთან ერთად, მითითებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დამატებითი საფუძველები, კერძოდ, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება: „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულის მიმართ, თუ ეს განაჩენი გამოტანილია აღნიშნული დადგენილების მიღებამდე და შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს 2017 წლის 1 ივლისამდე წარედგინება.

აღნიშნული დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად მიჩნეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე დამტკიცებულ, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა დანართი სიაში დასახელებული მსჯავრდებულები, მათ შორის დ.ჭ., ხოლო ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს დაევალა ამ დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების უმოკლეს ვადაში შექმნა, რაც განხორციელდა კიდევ. ამასთან, აღნიშნულ პირთა დარღვეული უფლების აღსადგენად ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის საფუძველების გაფართოებისა და ამ გზით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა სამართლებრივი რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი, რომლის თანახმად, სსსკ-ის 332¹-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომელმაც გაითვალისწინა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის კიდევ ერთი, დამატებითი საფუძველი, კერძოდ – „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-IX დადგენილებით განსაზღვრულ პირებს მიეცათ მათ

მიმართ გამოტანილი განაჩენების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის (საქმის ხელახლა განხილვის) შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა მსჯავრდებულმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინა სსსკ-ის 332¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო წარდგენილი შუამდგომლობა და განიხილა კიდევ, მაგრამ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული აქტები არ წარმოადგენდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და მსჯავრდებულის უპირობოდ გამართლების საფუძველს, რადგან მოცემულ საქმეში არსებობდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდებოდა მსჯავრდებულ დ.ჭ-ს მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 9.12.2011 წლის განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა.

ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ მსჯავრდებულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება არ ნიშნავდა უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას მათ მიმართ გამოტანილი შესაბამისი გამამტყუნებელი განაჩენებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში. პირი, პოლიტიკური აქტიურობის მიუხედავად, ვერ მიიჩნეოდა უდანაშაულოდ სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, თუნდაც ასეთი ქმედება პოლიტიკური აქტიურობის დროს ყოფილიყო ჩადენილი. ამასთან, სამართლიანი სასამართლოს უფლება და საქმის ხელახლა გადასინჯვა არ გულისხმობდა მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ავტომატურ გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის მიღებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარებოდა რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობდა, რის გამოც მსჯავრდებულ დ.ჭ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 19.09.2016 წლის განაჩენი დარჩა უცვლელად.